საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

# არილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 2 ლარი

1134
2020



2020 / ივნისი
3 (289)

## ვახტანგ ჯავახაძე
## თამაში და მელანქოლია

# სარჩევი


პოეზია 1 ლელა სამნიაშვილი

5 ბელა ჩეკურიშვილი

8 ნატა ვარადა

პროზა 12 ოთარ ჭირკვალიშვილი | ბიზანტია

22 გიორგი შერვაშიძე | ცხოვრება ტკბილი...

პორტრეტი 27 ნუგზარ ზაზანაშვილი | თამაში და მელანქოლია

თარგმანი 34 რობერტ ლოუელი
*თარგმნა დალილა გოგიამ*

35 ელიზაბეთ ბიშოპი
*თარგმნა მანანა მათიაშვილმა*

37 სიტყვები ჰაერში | ფრაგმენტები ელიზაბეთ ბიშოპისა და რობერტ ლოუელის მიმოწერიდან
*ინგლისურიდან თარგმნეს მანანა მათიაშვილმა და დალილა გოგიამ*

45 ნადერ ნადერფური (1929-2000), ჰამიდ მოსადეყი (1940-1998)
*სპარსულიდან თარგმნა გიორგი ხულორდავამ*


გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი


# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
**მალხაზ ხარბედია**
**შადიმან შამანაძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ინა არჩუაშვილი**

მხატვარი **მამუკა ტყეშელაშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თამაზ ჩხაიძე**

პროექტის მენეჯერი **ეკა ხარბედია**



სარედაქციო საბჭო

**რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.**


არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა
*სულხან-საბა*

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი
*ხალხური*


ელექტრონული ფოსტა: [illegible]
ვებგვერდი: [illegible]

გამოდის 1993 წლიდან



**© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია**



ჟურნალი გამოდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

მწერალთა სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელა სამნიაშვილი

## ვეშაპი ხმელეთზე

რა ვუყოთ, თუკი დაგროვდა ამდენი ლამაზი ნაგავი -
სავსე საწყობები, სავსე ვიტრინები, სავსე კარადები.
აკარდიონივით პირგაწელილია ყოველი საგანი -
გილიმის, გილიმის და მოდის მესიჯიც - სწრაფი განვადება.
მტვერია პატრონი. როცა ყველაფერი პატრონს ჩაბარდება
და მოიზილება ერთად - ნაცრისფერში ამდენი ფერადი,
არც განცდა იქნება, რომ ამ მატერიით ვინც კი ავადდება,
ყველა განვიკურნეთ, ასე რომ, ცხადია, ტყუილად ღელავდი.
დაგროვდეს ამდენი ლამაზი ნაგაეი - ქსოეილთა ორგია.
მაგრამ დედამიწას ეს პლასტიკატები თუ სულმთლად შეფუთავს,
თუკი ამოშლიან შორი ვარსკვლავები მზის კატალოგიდან,
პლანეტას, რომელზეც ვილაც არსებები ცხოვრობდნენ მეფურად
(ერთ დროს. დღეს ეს დროა. ხვალ რა დრო იქნება, იცის მომავალმა.) -
ძალიან სევდიან ამბავს ჰგავს. სევდაში არასდროს უჭირდა
მეფეს-ადამიანს, მაგრამ ეს ესთეტი თვალები რომ არა,
ამდენი ნაგავი არ დაილევრებოდა ვეშაპის კუჭიდან.
რა ვუყოთ, თუკი დაგროვდა ამდენი ლამაზი ნაგავი -
ფანტაზიაში ხომ მეტიც კი ეტევა - სალი და ჭიანი.
თუ ვინმე შორიდან უყურებს, ალბათ ვერაფერს ამგვანებს
და მხოლოდ ახლოდან, ხელის გაწვდენაზე ელავს და ბრჭყვიალებს.



## ჰამლეტის დაბრუნება

სახე აქვს ამ ვარდს. ვარდად ყოფნის ამბავს უსტვენს ნოემბრის ბალში.
უფლისწულია, გვირგვინი რომ მაინც არ ერგო.
მისი ფურცლების სიტყვებს მალე ქარი გადაშლის,
ჩამოიშლება ოქროსფერი ბალის საწეფო,
და მიწას, ზედ რომ დასცქეროდა, უნდა გაეგოს
წამიერ ნოხად მისი სახის მთელი ხავერდი.
ვინც უკვე ჩაქრა, სიცოცხლიდან ვინც კი გავიდა,
ნოემბრის ბალში იბადება თითქოს ხელახლა.
თითქოს თავიდან, ბრმა თვალიდან გამოახედათ
უკვე მიმქკნარმა ყვავილებმა, ბზამ და ვენახმა.
ცოცხლები ასე სიცოცხლეს ვერ შეიყვარებდნენ.
ამ სილამაზის დაჭერაა დროის მოგება.
ხოლო დანარჩენს მოერგება გველის სრიალი
და სამოსივით გაცვდებიან მოგონებებიც,
მაღალი ძაბვის გრძნობები და სერიალები,
მონოლოგებით, არავინ რომ არ მოისმინა.

## უკან არ მიიხედო

წინ თუ არ ნახვალ, ვერსად ნახვალ, რადგან გზა უკან
აღარ არსებობს - ფითილია, თავს ინვავს რათა
წინ გაანათოს. თითქოს ჩამქრალ საუკუნეებს
აი, ამ წამის ასანთებად ეკიდა, წვავდა.
არა და წამი - ეს წამია რომ ჩაქრა, წინა
წამების წყებად თუკი ღირდა, ხომ უნდა რამე-
ნაირად მეტი ყოფილიყო. არც გაიბრწყინა,
არც გაიელვა უფრო მეტად, არც სისადავე
არ ჰქონდა მეტი; ახალ წამშიც ისე შეცურდა,
არც ანაბეჭდი გასჩენია, არც ვიწრო რკალი.
წინ თუ არ წახვალ, ვერსად წახვალ. მოკლედ, შენც უნდა
მიჰყვე შიმშილის, წყურვილის და სიზმრების ძალით
მეკონინებულ პროგრესს, თუ გსურს დარჩე უვნებლად.
თუმცა პოპკორნი მოუხდება უკან ყურებას.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კვირა დილა

ჩაქრა შაბათი.
ჩაქრება კვირა დღეც,
რომ ისევ სწრაფადვე
ამოყირავდეს
ქვიშის საათი
მოვალეობების,
მითიურ მომავალს
ვიდრე ვეომებით
აღქურვილები
ბასრი მოთმინებით,
გაძევებულები
მსგავსი მოტივებით -
სურვილით გაღწევის
წრიდან, გრაფიკიდან,
თუმც მთავარ უქმეზე
ფიქრიც კი არ გვინდა.
მივყვებით ქარავანს -
საერთო კალენდარს
და ქუჩის ძაღლები
გვიყეფენ გარედან.

## რა შეიძლება დაემართოს სიყვარულს

ყველაზე უარესი,
რა თქმა უნდა, სიკვდილია.
ერთ გულში რომ თავისთვის ბჟუტავს,
მეორეში კი კარგა ხანია, ჩონჩხად იქცა
და ზედ წარსულის ყვავილები თუ ამოდიან -
შემთხვევითი მოგონებები
ძველი, ძლიერი ხელით - ხელზე ჩაჭიდებული -
თითები, თითებს ისე ჩაზრდილი,
თითქოს მათი შეხორცება
ჩანდა იმ დროს გარდაუვალი.
მაგრამ დედის საშვილოსნოში ხორცდება
ყველა შიშველი ნერვი,
გულის გარშემო ჩონჩხს იკეთებს,
კანს გადაიკრავს
და თავიდანვე განწირულია -
სიყვარულშიც მარტოდმარტომ იხეტიალოს.
და იმ გულშიც, რომელშიც ბჟუტავს,
დაბერებული ფერიები
თავებს ამაოდ აკანტურებენ.
მათ ჯადოსნურ ჯოხებს წლების წინ
ახალთახალ სიყვარულზე დაუხარჯავთ
შეხების მთელი ჯადო და კენკრა.
გამაყუჩებელ ნემსებადაც არ ივარგებენ.
ულიმღამო ტიტრები რჩება ანიმაციას.
ბჟუტავს და ბჟუტავს
და მოთმინების ამბავია -
სადამდე გასტანს.
დაძინებამდე შობის სანთელს
ზოგი ცერა თითით ჩააქრობს.
ზოგი ბოლომდე ელოდება,
რომ ნამწვიდან ამოსული კვამლი
ძილში ჩაიყოლოს მწარე სურნელად.
მაგრამ ეს ხომ მშვენიერი დასასრულია,
მაშინ როცა ეკრანები თითქმის ყოველდღე
უფრო ზუსტ და გულახდილ პასუხს
გვაფარებენ რომანტიკით სავსე თვალებზე:
ახალგაზრდა ქალის გვამი
საძინებელში, ეზოს კართან, გზაჯვარედინზე -
უტყუარი მტკიცებულება,
რომ სიყვარულს შეიძლება ეს დაემართოს -
კი არ მოკვდეს,
ურჩხულად იქცეს,
ურჩხულებად, რომელთაც სჯერათ კუთვნილი ხორცის
და უფლების - კოცნონ და ხოცონ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტურიზმი პანდემიაში

ძველი წიგნები სავსე იყო ქოლერით, ჭირით.
ნათელ დღეებში ვკითხულობდით, როგორც ფიქციას.
პომპეის ფერფლშიც ვსეირნობდით და ლეღვის ჩირი
ხელშეუხებლად ლურჯად ენთო. თუ მიგვიცია
თავებისათვის ნება - ფიქრით ფერფლში ჩაყოლის,
სხეულებების ქვაბულებში - ისეთი სიღრმე
არ გვიძებნია, წაკითხული და მონაყოლი -
აგვკიდებოდა ტანზე კეთრად. თუმცა, ვიკითხეთ,
ვწერეთ, ვაქციეთ ფილმებად და ტილოზეც დავდეთ.
ვუცქირეთ, დავტკბით ჩვენებურად - ფასიც დავადეთ.
თანაგრძნობასაც შევეცადეთ. გულწრფელსაც ჰგავდა.
გადავავადეთ დასასრული ისევ ხვალამდე.
დღეს კი გათენდა ყველა წიგნი, ყველა ნახატი,
ჩვენ რომ გვეგონა - დავხედავდით, შევინახავდით.

## ინფიცირება

იყო ედემშიც კარანტინი -
იტევდა მხოლოდ ადამს და ევას.
ვაშლის მოკბეჩა - ღალატივით,
იმ ღალატში გველის გარევა
და უხილავი ავატარი -
მათ თავზემოთ - ღმერთი მრისხანე,
მხილველი - უკვე ავად არიან,
უკვე შხამის ნაყოფს ისხამენ, -
გაფრთხილებაა პირვანდელი -
სიტყვის კანში რომ ვერ ეტევა.
დღესაც გავყურებთ პირბადიდან -
იმ კარანტინს უცხო ედემად.

## ნიღბები

ვენეციური ნიღბები და აზიური, მძიმე ბურკები -
გამოფენილი პიაცებზე
და ქალების სახეებზე,
მათგან მხოლოდ თვალებს რომ ტოვებს -
გადატანილი სახადების ნარჩენებია -
ყველა უკლებლივ.
გადარჩენილთა ზეიმი და გლოვაა -
გზებზე გაბნეულ ტომებს -
კაცობრიობად აკინძულებს,
გენების და სიტყვების მწკრივით,
ქორწინებების და ომების შეჯვარებებით -
დღემდე რომ მოჰყვა,
თაობების ნაკადს მინებდა.
რაც გამორიყა, წამოვკრიფეთ სუვენირებად.
ზოგი მოვხატეთ, ჩამოვფხიკეთ ძველი ვნებები,
ზოგი ერთმანეთს შევატოვეთ,
როგორც სასჯელი
და ახუები მოვისინჯეთ.
მაგრამ ამჯერად
ახალ სახადთან ვრჩებით მარტო,
კარსაც ვიკეტავთ,
წამალს დავეძებთ,
ვერ ვიძინებთ, ეკრანს მივეებით,
გარეთ გავდივართ კიდევ უფრო ერთნაირები.

## ღამის მელომანია

მოცარტმა და აფრიკულმა რიტმებმა
ქორწინეს ამერიკის მიწაზე
და ბგერებით ამოივსო ფილტვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყვირების გზა გაიხსნა. იმნამსვე -
ჩაკარგული ხმები - დოლებს, კლავიშებს
აჰყვა. მათი ნმინდა ნყლები ვინამეთ.
ნაკადიდან პაუზას თუ გვანიშნებს -
შეშდებიან მხრებიცა და მუხლებიც.
ჩავისუნთქავთ - ალარსაით გაგვიშვებს.
ჩავყვებით და სილრმეები მუქდება.
ფსკერი გვითრევს, მაგრამ ამ აუზიდან
ყველა გრძნობას ამოვიტანთ უკლებლივ.
გადაფარეს დლეები და რუკები
და ამბები - მყვირალა თუ უსიტყვო,
რითაც თვალებს ცხადი გამოვუკვებეთ.
ჩვენზე მეტი დარდი უნინ უზიდავთ.
ჩვენ რა გვიჭირს - ვტოვებთ ყრუ საუკუნეს
და ცოცხლები ამოვცურავთ ბლუზიდან.

## კონვენცია

დრო მიაქანებს,
სხეულს ერევა -
ძვლებად შეკრული ტივივით.
და ყველაფერი მაინც ისე მშვენიერია,
რომ გვაქვს უფლება -
ტირილის.
გზად კი - ჩვენია,
რასაც გავივლით -
საბრძანებელი სივრცითი.
და ყველაფერი მაინც ისე სევდიანია,
რომ გვაქვს უფლება -
სიცილის.

## ნატურმორტი მარნყვით

შეიძლებოდა გვეჭამა მარნყვი
უშაქროდ, მაგრამ მუდამ ვაყრიდით,
ან გულისგულში ვუდებდით ნამცხვარს,
ან იოგურტი გვქონდა ნაყიდი
მარნყვით და მოცვით ამოვსებული.
ერთ დღეს კი მივხვდით - მუდამ ვამლაშებთ -
სიტკბოს. და მსუყეს და არარსებულს
ვაკონნინებთ და მეტად დავამშევთ
ამ თავებს, თვალებს. არა და, რა გვსურს,
თუ ასე სალი - თვალნინ ანყვია.
და რას დავეძებთ უსასრულობას,
როდესაც მარნყვი - თვითონ მარნყვია.
გაიკენკება ბაღებში კენკრა,
ცოცხალი მარნყვის სეზონი გადის,
ვიდრე თავებს და ერთმანეთს ვკვებავთ
უმადურობის ძლიერი მადით.



## თავდასხმა პანდემიაში

ფრთხილად! ქალაქში დაფრინავს ყვავი,
რომელიც ესხმის მოქალაქეებს
და ვერც იჭერენ, და ვერც მოძღვრავენ,
პიროვნებასაც კი ვერ არკვევენ.
თუ მოარიდებთ ბავშვებს და თავებს,
თითო კოშმარი აგცდებათ ყველას.
ყვავის ფრთებშია ახლა სადავე
და კადრის ნახვა ან გადახვევა
ვერაფერს არგებს გამოძიებას.
დარჩით სახლებში, თუკი გდევნიან
ყვავები. სცადეთ გამოძინება
და გადალახეთ ეს პანდემია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბელა ჩეკურიშვილი

## Unlocked - ჰელენე ჰაბოტ ბაუტისტას ლითოგრაფიები

ჩარაზული კარი და კლიტე
კიბის ჩრდილები
ლითოგრაფიებზე, ონლაინ
ვუყურებ:
ბოლოს ყველა კარი იღება.

როცა მაჩვენებ დახურულს
და ყრუს და დაგმანულს,
გჯერა (მაჯერებ),
გაიხსნება, უნდა მხოლოდ დავაკაკუნო,
ხელი ვკრა, განზე გადავწიო
რაზა, ურდული
სულ ერთია, რა არის იქით, რა მელოდება,
თუ ღიაა, სინათლეც მოჩქეფს -
გჯერა (მაჯერებ)
და მუქს გამლილ ფრთებივით მიფენ
ზღურბლზე,
და აი: ჩრდილები ქრება,
ჩემს წინ ფრინველის
და გახსნილი კარების ფრთები
ირხევა,
მრჩება მხოლოდ გასვლა, ერთი აქნევა...

კლიტე აღარ ჩანს
კლიტე თავის რიგს ელოდება:
იქნება, ეჭვი შემეპაროს,
კარს ხელი ვკრა და
მომდევნო ლითოგრაფიისკენ გადავინაცვლო.



## ხმები

მეგობრები დაცარიელდნენ,
სადგურში შესული მატარებლის ვაგონებივით
და მსუბუქად მიიკვლევენ ვიწრო გვირაბებს.

ქალაქში კი ჩიტები გაქრნენ.

ამბობენ, რომ ტურისტების სიჭარბეა
ყველაფრის თავი,
მობილური ინტერნეტის სიმძლავრე
და სასუქებში ქიმური დანამატები,
თორემ რაღა დროს ქვასროლია ბიჭები და შურდულებია?

აყურადებ,
ყველა ხმა ჩაკვდა,
მხოლოდ მატარებლის კივილი აღწევს,
შეუჩერებლად გზას რომ მიჰყვება,
დღეს დილიდან კი - წყლის შხუილიც,
რადგან სარდაფში მილი გასკდა,
და მალე მას სულმთლად დატბორავს,
ამოახრჩობს,
ძველი დღეების სულებთან ერთად,
იქ ჩატანილ ნივთებში ჯერაც რომ ბინადრობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალუბლის კერკი



ალბათ ზამთარი იქნებოდა,
ალუბლის კერკი რადგან ვახსენე,
ღუმელის სითბო და თხილი,
თხილი მუდამ იყო თამაშში
და შეკრულ მუჭებში
ლუწად თუ კენტად დამალული,
ჩემი ყველა ამბავი ხომ ამით მთავრდება,
მივადგები ისევ იმ დღეებს
და გამოკეტილ ჭიშკარს შევზმუვლებ,
სადაც ქალები
ნაცრისფერი, ხამი ტილოსგან
ნვრილ-ნვრილ პარკუჭებს კერავდნენ ჩვენთვის:
ნუშის,
ნიგვზის,
ჩირიჩურების...
თამაში კი ყველას ბავშვობაში ერთნაირია,
მოგებას და ნაგებას იქ არავინ გითვლის,
ალუბლის კერკს მაინც მოგცემენ,
შენ კი კურკების გაგიკვირდა,
რომ ვახერხებდით და არ ვყლაპავდით
და ენის ქვეშ სათითაოდ ვიგროვებდით.
ესეც იმ ზამთრების გასართობი იყო,
ვიდრე ყველაფერს ეროტიული ფანტაზიები ჩაანაცვლებდა,
ვიდრე, ერთხელაც, მესინჯერში ლაყბობისას
ამას მოგნერდი და ნვრილმანებზე ვიხალისებდით.

## ეს იყო

ეს იყო დიდი მარტოობა
უცხო ქვეყნის უცხო ქალაქში
სიარული ეულად და ხელისცეცებით
სადაც საგნები სამჯერ უფრო დიდები მოჩანს
ჩიტის ფრთები ხიდის თაღები
პირმოკუმულნი აღმართულან სახლები შენს წინ
დახუჭული თვალებით თითქოს
არაფერი გააჩნდეთ უკვე გასაცემი ან გასამხელი
მხოლოდ ხეები აფენენ ჩრდილებს
და თანაგრძნობით მიგაცილებენ
გაურკვევლობის მომნარო სუნში
ტროტუარებზე არ ჭაჭანებს ერთი სულდგმულიც
რომ გითხრას მოდი ჩამოვსხდეთ და
გადავხედოთ დღეებს შორიდან
ნუ იფიქრებ საით აქვთ გეზი შენგან ნასულ ადამიანებს
შენც ხომ აი აქ ჩამოჰყევი გზას და საკუთარ თავს დაატარებ
პილიგრიმივით უცხო მინის შეცნობის ჟინით
როცა არსად არ მიგელიან
და წყალი მაინც შუა იყოფა რომ გაიარო
მერე იხსენებ რომ ფერები თანდათან გაქრა
და შემოგრჩა მხოლოდ ქვაზე ამოკანრული ნახატები და სახელები
და მეც - იმ ქვაში
როგორც სურვილი
რომელიც ბოლოს ისე დამძიმდა
ჩანთიანად სადღაც დატოვე

## სირენების ქვითინი

*(ია ქვაჩახიას)*

საგანგაშო სირენის ხმა არასოდეს გამიგონია
მის მოსასმენად
ინტერნეტის საძიებო სისტემაში ჩავნერე სიტყვა
და დოკუმენტურ ფილმებს ჩავყევი

პოეზია
ეროვნული ბიბლიოთეკა

ემოცია მჭირდებოდა
ერთი ლექსისთვის
გერმანული ენიდან რომ ვაქართულებდი
გვიან ღამით
სირენები აკივლდნენო
ომის ამბებზე დაწერილი წიგნებიდან ვიხსენებ
თუმცა
მგონი ყმუილს უფრო ჩამოჰგავს ქვითინს
ან ღნავილს
შიშზე ბევრია ალბათ როცა ეს ხმა ჩაგესმის
ხვდები იქიდან უნდა გაიქცე თვალს მიეფარო გადაიკარგო
ვუსმენ
მაინც რჩევა მჭირდება
ვერ გადავწყვიტე რომელი სიტყვა შევუსაბამო
საბედნიეროდ
ეს ხმა არასდროს თავს არ დამსხმია
და ვწერ მეგობარს (სოციალურ ქსელში ჯერაც მწვანედ ანათებს)
მოუსმინოს ერთ ვიდეოჩანაწერს
და გამოთქმა შემომაშველოს
ის კი დუმს
ალბათ შევაშინე
გვიანია საამისო დრო მართლაც არ არის
ბელა
მწერს ბოლოს
სოხუმიდან ვარ
ქალაქი ბოლო დღესაც დავტოვე
სწორედ ეს ხმა დამკიოდა სარდაფში
სადაც დაბომბვისას ვიყუჟებოდით
ეს ხმა
არ არის გაფრთხილება
რომ ცუდი მოდის,
ეს მოსული სიკვდილის ხმაა
როცა ყოველი სულიერი დუმდება და
სახლები იწყებენ ქვითინს კედლებით ქვებით



## ფერისცვალება

სასაფლაოზე მივდივართ
ამ დღეს
ან ქვეყნად მყოფნი,
ამ დროის და ჟამის მუშაკებს
არ გვავიწყდება:
თაბორის მთა მზისებრ გაბრწყინდა,
რომ მზემაც საქმე მოილია,
ხილი დამწიფდა
და მუქჩამდგარი თვალით ბრიალებს.
და გვახსენდება, ვინც გვიყვარდა, მაგრამ აქეთ ველარ ხედავენ,
ამიტომაც მივიჩქარით მათ საფლავებზე,
რომ მივახაროთ,
როგორ ჩადგა მზის სხივები ყურძნის მტევანში,
ცეცხლად აალდა
და ციალით როგორ გვიყვება,
რომ გაბრწყინდა მაცხოვარი თაბორის მთაზე.
შენც, ჩემო მამავ,
ამის ნიშნად გქონდეს საფლავზე მტევანი და სიმინდის ტარო,
არც აქეთ გვაქვს მეტი სინათლე,
ამ ცოდნის გარდა,
რომ ყოველ წელს მწიფდება ხილი,
და მიაი წილი ზადაგის სიტკბო
გვყოფნის ჩვენც და თაბორის მთასაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნატა ვარადა



## ხილი, სარკეები და იასამანიც

და ამ სარკეში მე უმწიფარი
წითელთვალებით, თევზივით ვჩანვარ -
სააბაზანოს, კიბისქვეშეთის.
ვერანდაზე, ბუხრის სარკეში, ფეხისწვერებზე,
არშემდგარი თვითნასწავლი ბალერინა,
გრუზა თმით და ჭროლა თვალებით,
დაღესტნური ხასიათით - დაბნეული ვჩანვარ,
არარეგულარული მენსტრუაციისადა გამო.
და აი, ამ ბებიის ნამზითვარ „შიფანერკის" ყანგიან
სარკეში,
გაგულისებული, გაბოროტებული
წილნასეული და სახეზე ბუსუსებდაყრილი.
ო, როგორ მშურს ჩემივე დისა, გაგიგონიათ
მას რომ ჰყავდეს ასობით შეყვარებული,
ვის სკოლის კართან, ვის სამუსიკო ათწლედისა,
ვის ეკლესიის და ვის კიდევ ჩვენი სახლის,
ვპოულობდეთ?! მე კი არც ერთი.
ჩემივე სისულელით რომ მომქონდა თავი
და ვის ვუნახავდი იმ ბიჭების თავს?!
ნაციმბირალ ხის ზანდუკში საზამთროდ გადანახულ
მკვახე ხილივით რომ მყავდნენ გულში?!
კახა, იყო კახაბალი.
გემრიელი და ლამაზი.
გიო იყო გიომარწყვი,
მარწყვივით ტკბილი და ჩასაყლაპი.
ავთო იყო ლორქლიავა, შაქარივით ენის ქვეშ
რომ დაგიდნება.
დათო იყო გარგარი, ყვითელი და უშნო.
ზვიადი, ალუბალი,
ალუბლის ყვავილობასავით და კავკასიონივით ზვიადი.
მყავდა ერთი მსხალი და საზამთრო,
ერთი ნესვი და ერთი ვაშლატამა.
ნეტავი რატომ არც ერთი არ ჩავკბიჩე, ტკბილად შემეჭამა.
განა ჩემი მამალმერთი ზევიდან მამიკითხავდა?!
ახლა მიწას გავიყოლებ, ამდენ ნარჩევ ხილსა,
უქმად, ერთად ჩავბერდებით,
იასამნის ფესვებში.

## სატყუარა თბილისი

გაუშვეს,
დაე მოყვეს
რანაირი თვალები გვაქვს
როცა სექსი გვინდა.

გაიაროს ქვიშიანი გზა და
მოჰყვეს
რანაირი სიცილი ვიცით,
როცა ალკოჰოლით ვიბრუჟებით.
გავიდეს, გაალწიოს.

პოეზიის ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ, ძველი მზის თაყვანისმცემლები
შივასა და
აჰურამაზდას მიმდევრები,
ისლამს რომ ვნრავთ და არაბ აბოს,
პატარა ბიჭსა,
საქვეყნოდ აბუჩად ვიგდებთ,
დაე,
მისნა ქრისტიანებმა განათლონ,
მტკვარშიაც აბანაონ.

ჩვენა ვართ მგლები
მთაწმინდიდან,
ოყროყანიდან,
შემოგარენის ტყეებიდან,
ჩვენ გვიყვარს სისხლი ქალწულთა,
დრუნჩების მოთხვრა,
მათ ვენებს მერე ყაყაჩოების წვენით გავულინთავთ,
მათი სისხლი ჩვენი სისხლია.

ჩვენ დანგრეული ციხის ქონგურებს ნესტიან სარდაფებში
ჩივაძუნძულებთ,
ჩვენ სარზე გასმა რას გვიშველის,
ამ ერთ ხმაზე -
ცისკარ-მიმნუხრზე ბაიათი,
ლოცვა,
მოლას გამყინავი ხმა,
ამ სიონის დედოზარის შვიდჯერ
დარისხვა,
ჩვენ მზის შვილებს ცეცხლის ტაძრის
კვამლიც უკვე ველარ გაგვნმენდს.

მოვიდეს ჭაბუკი....
მოვიდეს... ჩვენი სულისთვის...
ბედი,
მოვიდეს და არ შევაწუხებთ,
ჯვარს ვაცვამთ.
სადაც ჩვენი შვილები გავაკარით,
ჩვენი შვილები თოკებით,
ჩინ-მღდლების სიყვარულით.



## სამუდამო მსჯავრდებული, ყორანი

დაიკარგე ყორანო, დაიკარგე.
კიდობანი მიატოვე, წყალს გასცდი,
მიწა შეიყვარე, ზეთისხილის ხეს გადაუფრინე,
ცხენისწაბლის ყვავილი მომიტანე.
მიწის გროვა, წითელთიხა მომიტანე,
ხოვზილო, შიშველ ფეხებით, ნამიან თითებით
კაცუნა გამოვაცხო, ღმერთად ვაქციო.
ჩემ ყველა ნაკლს გამოვაჩენ, - მზეზე გავდებ,
შემომხედონ: რა უმსგავსი ვარ, ქალს მაინც ვგავდე.
გზა,
გზა გავფენ - ფეხით შემდგნენ, ნაიქცევიან.
ცხვირ- პირს გაიტეხენ, სისხლი ნასკდებათ,
ღლურიან და თავს მოიჭრიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემ ყველა ბილწ სურვილს და არაწმინდურს
გაეაყლერებ,
შენთან წოლაზე რომ სიზმრებს ვიტყუებ,
ვითომ ნერწყვით ლოკოკინას ხლართებს მიქსოვდე.
მაღლობზე შევდგები, ხელებს ავიქნევ -
ყველა ჩიტს ბუდეებიდან ავაფრენ,
ყველა კვერცხს გავტეხ.
მაინც რომ ვერ დაგივიწყებ, მაინც რომ ვერ დაგიბრუნებ -
ბოლო სიტყვა ისევ შენია.
მითხარ, გამენდე, შენი ღმერთი რა ფერისაა?!
მითხარ, გამენდე, შენი დედოფალი ცოცხალია?!
მითხარ, გამენდე, შენი ლოცვა,
შუაღამის საზეპიროა?
ვინ ნაგერთვას, რომ ჩემთან მოხვიდე?!
ვინ დაკარგო, რომ ჩემ ფეხებთან განახო,
რომ თრთოდე!
ჩემი სხეული სამლოცველოა, წვრილი ბრონწეულის წკნელები
დაანთე, ხმით ილოცე.
ყორანო, ნადი დაიკარგე, გაფრინდი კიდობნის კიჩოდან,
მამაჩემს აღარ დაუბრუნდე, გაიქეცი, გული გაუტეხე.
დაბრუნებამდე გაჩენის დღე აწყევლინე.
მოძებნე წითელმინა, მომიტანე, ყორანო,
მინა მოვზილო, შიშველი ფეხებით ვზილო,
თითებით ვზილო.... კაცი მინდა გამოვაცხო,
ვაღმერთებდე და სულს მხდიდეს.
როცა ვაღმერთებდე, ის სულს მხდიდეს.



## ღარიბების სუნი

ჩვენ ღარიბები
ქუქყის სუნით გაჟღენთილები, სარდაფების ნესტში
გამშრალი ტანისამოსით, ამწვანებულ ბუნებაში
გაბნეულები, მზის სინათლეს რომ გამოვყვებით
და ლოკოკინას ნერწყვივით ვტოვებთ სველ ნაფეხურებს.
როგორ ამრეზით დაგვცქერიან, ისინი ვინც,
დაუძვრნენ უწმინდურობას, როგორ დიდი ადამიანობით
აუკეცავეთ საკუთარი სიწმინდე, მხოლოდ საკუთარი,
ძაღლივით ფეხზე გამობმული სიმართლე,
საკუთარ ცხიმიან ტუჩებს და პირს რომ წმენდთ, მხოლოდ.
ჩვენ ღარიბები, ამ ზიზღის სიმდიდრით,
საით მივდივართ?! სად მიგვიყვანს ეს გზა?!
თუ ტელევიზორს ხმას გავუთიშავთ და მხოლოდ გამოსახულებას
დავტოვებთ?!
საბჭოთა რედაქტორებსა და მწერლებს, პოეტებს,
სამთავრობო აგარაკებსა და ზღვის სანაპიროს სახლებზე
ჩავტოვებთ,
დიდგვაროვნებს რომ წაუწვებიან მთელი სხეულით, ოღონდ
მიიღონ ეს მიწიერი სიამოვნება.
თუ ჩვენ მათ უკან თბილად ჩამოვიტოვებთ -
იქნებ, იმ სოფელს მივაღწიოთ, სადაც ღმერთი ოთხკედელშუა
არ ეყოლებათ გამომწყვდეული,
ბელლისა და თევზის სუნიც არ ექნება გადარეცხილი.
იქნებ, იქ მავთულხლართები მოძმე ხალხებს არ ჰქონდეთ გავლებული,
იქნებ, აეროპორტი არ ილებდეს ავტომატიან ბიძიებს,
იქნებ, ვინმე კეთილი დიდხანს გველოდებოდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ კბილებმოცვეთილები ამდენი ტყუილი საკენკით,
ფეხებდაგრძელებულები, ჭუჭყის სუნით გაჟღენთილები,
მშრალი ხიდებით გადავიაროთ,
მდიდრების სიწმინდე, მდიდრების კეთილდღეობა,
მდიდრების ხვრა და ხრაშა-ხრუში,
და იქნებ გადავრჩეთ: მათმა თავებმა ვერ მოიფიქრონ,
და ჩვენც გამდიდრების ვირუსით არ დაგვასნებოვნონ.



## კბილის ამოღება

პაუზისა და ჩაკეტვის დროს ატყდა პირში
სასიკვდილე წინა კბილი -
ენას ველარ დავაჭერდი და ამიტომაც, მას ვერაფრით შევეელეოდი.
თან, ფეხით წასვლა მეზარებოდა,
რა მანძილია მაიაკოვსკის ძეგლიდან ვაჟა ფშაველას ძეგლამდე,
სახლიდან სტომატოლოგიურ კლინიკამდე?!
აი, ვაჟა მცხეთიდან ფეხით რომ მიდიოდეს ჩარგლამდე.
მაგრამ, თურმე ჭიან კბილსაც შეუძლია შური იძიოს,
როგორც გაძევებულმა სიყვარულმა,
რომელიც მოიკვეთე სისხლის გამოშვებით და დაივიწყე.
მაგრამ ეს სიყვარული გულუბრყვილო კი არ იყო,
არამედ შურისმაძიებელი რაინდი.
მოდიოდა არამკითხე მოამბესავით, ჩამოჯდებოდა შორი-ახლოს,
მიტრიალებდა და დამაცხრებოდა ზუსტად იმ დროს, როცა
ვინმე მიხაროდა, როცა სადღაც მივიჩქაროდი.
კბილიც იყო დიდი თავზეხელაღებული, გამოხრული,
შეყვარებული თავის ფესვებზე.
არ მაპატია, როცა ჯერ კიდევ სამინისტროს თხელ კედლებში,
ვუპირებდი: გადავირბენ ფეხით მეთქი ბუდაპეშტიდან ვაჟაზე,
სტომატოლოგ ექიმ მაიას მივურბენინებ - ამოვიღებ და მოვიშორებ.
ამ კარანტინის და პაუზის დროს, როცა ჩაკეტა კომენდანტმა მთელი თბილისი,
და საყვარელი საყვარელს დააშორა, მე ჩემ კბილთან განშორება გადავიფიქრე.
თუმცა, აღმოჩნდა,
ვარყოფილ შეყვარებულთან თანაცხოვრება სახუმარო
როდია საქმე.
დილის ხუთზე მაღვიძებდა ნერვი ცოცხალი, აბეზარი თოთო ბავშვივით,
სანამ ძლიერ დამაძინებელს არ მივცემდი, ძლიერ ტკივილგამაყუჩებელს,
არ ისვენებდა.
-აბა, მიდი, ამომიღეო, გადამაგდეო, მომერიეო - შიში მკლავდა,
ფეხი უკან მიდგებოდა, კოვიდი რომ გადამედოს?! ეხუმრები პირის ღრუა?!
და ასე, დავრჩით მე და წინა კბილი ჭიანი, ამ გაგანია პანდემიას,
ასე შემოვრჩით. ცოტა გავერთეთ ტკივილებით, ძველით, ახალით.
ახლა კი, როცა გაიხსნა გზები, როცა ახალი წესების დაცვით ვაჟაზე წასვლა
ლურჯი ავტობუსითაც შესაძლებელია,
როცა უსაფრთხოების ზომებს იცავს ყველა სტომატოლოგი -
მაიაკოვსკის ძეგლთან ვდგავარ, გაჩერებაზე, ბუკინისტებთან, ა. მესხის საოჯახო
ბიბლიოთეკას ვათვალიერებ, გაყურსულია ჩემი კბილი,
თითქოს სამი თვის დილა-ბნელზე ბნედამორეულს არ ვიცნობდე,
კი, ხვალ იყოს, აღარ მტკივა, მგონი ნერვი მოკვდა თავისით.
ქქილეს ორესტეას წავიღებ. იფიგენია, მამამ ზაფრანისფერი კაბის
ტალღებით როგორ დაკლა ომისთვის, და ტროაც დაეცა.
მერე ცოლმა აგამემნონი, ხოლო ცოლი - კლიტემნესტრა საყვარელთან ერთად მიაკლა ძემ სანუკვარმა,
ქა გაყუყვა ბერძნებს დავუთმოთ, დაე ბრიტანელმა მეპიესემ მიისაკუთროს,
მე, ჩემ კბილთან, როგორიც არის გავაგრძელებ თანაცხოვრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოთარ ჯირკვალიშვილი

# ბიზანტია

*ვუძღვნი ბექა მინდიაშვილს*

*"ჩვენ დავტოვეთ ყველა წინა რელიგიებ*
*და მივადექით საჭურისს ბიზანტიას."*
*ტიციან ტაბიძ*

S/66 ხელნაწერის მიმაგრებულ არშიაზე გაკრული ხელით გაკეთებული მინაწერი:

ჩემი აზრით, თხრობა ასე უნდა დავიწყოთ: ვიღაცა ვიღაცაზე დაქორწინდა, იმის გამო, რომ დედამისი თანახმა არ იყო, ამ ვიღაცას ჯვარი არ დასწერეს, შემდეგ ამან დაიმუქრა, ჯვარს თუ არ დასწერდნენ მოწინააღმდეგეებს მიემხრობოდა. იმ ვილაცებს შეეშინდათ და თითქოს დასწერეს, მაგრამ თან არ დასწერეს, რადგან ამ ვილაცაზე მეტად დედამისისა ეშინოდათ. ეს ვილაცაც ადგა და იმ სხვა ვილაცებს მიემხრო. ამით ისარგებელეს ამ სხვა ვილაცებმა და დაუპირისპირდნენ იმ ვილაცებს, ვისაც ნახევრად ჯვარდაწერილისა და დედამისის ერთდროულად ეშინოდათ. დედაც ადგა და ამათ მოემხრო. ასე აღმოჩნდნენ დედა და შვილი სხვადასხვა მხარეს და იმპერიაში დაიწყო საუკუნის დავა: სულიწმინდა მამისაგან გამოვალს თუ მამისაგან და ძისაგან (Filioque)?..
იმპერატრიცას ცუდ ხასიათზე გაეღვიძა და ოთახში ჩამოკიდებულ ხატს ახედა. რა უცნაურად მიღიმის, მგონი დამცინის, 787 წლის კრების შემდეგ ესენი ნამეტანი დამასხდნენ თავზეო, გაიფიქრა და თამაშის გასაგრძელებლად სასახლეში სამეფო კარის მღვდელს უხმო:

- მამაო, ეს ნაკურთხია? მღვდელი შეაკრთო ასეთმა დაუფარავმა წინასწარგანზრახულმა ინფანტილურობამ. ცუდის მომასწავებელიაო, გაიფიქრა.

- დაახლოებით საუკუნის წინ, ჩვენო დედოფალო.

- ცვლილების შეტანა თუ შეიძლება?

- რას გულისხმობთ?

- ტუჩის კუთხეებს დააკვირდით. - ხატზე გამოსახული ფიგურისკენ მიუთითა. - აქ დახატული წმინდანის გამომეტყველება ძალიან ცინიკურია. დამეთანხმებით ალბათ, წმინდანს ცინიზმი არ შეშვენის, თუნდაც მთელ დედამიწას განსჯიდეს!

- გეთანხმებით, ეგრეც შეიძლება დანახვა, მაგრამ გააჩნია რომელი პოზიციიდან აღვიქ ვამთ, მორწმუნის თუ... (კინაღამ წამოსცდა), მაგრამ... მაგრამ საუკუნის წინ დაწერილ ხატში, რომელსაც თვით იოანე დამასკელი იხს ნიებს თავის "გარდამოცემაში", ცვლილებ შეტანა ხომ მრევლსაც და ღმერთსაც...

- გაანაწყენებს! - გააწყვეტინა დედოფალმა - საგულისხმოა, რომ პირველად ყოველ თვის მრევლს იხსენიებთ... - დედოფალს გა ლიმა და ოდნავ შერბილებული ტონით განაგ რძო: - თქვენ ფიქრობთ, რომ ვილაც ერეტიკო სი თავნება ხელოვანის მიერ აბუჩად აგდებუ ლი მრევლი ცინიზმს და სიწმინდეს ვერ არ ჩევს ერთმანეთისგან?

- იმპერატორმა თუ იცის რასაც გეგმავ დედოფალო? - წამოისროლა სასულიერო პირ მა. ეს შეკითხვა საკუთარი თავისთვის განაჩ ნის გამოტანის ტოლფასი იყო, მაგრამ მღვდე ლი იოაკიმე სიბრაზის გამო თავს ველარ მო რია.

- იმპერიას ერთადერთი იმპერატორი ჰყავს ლეონ IV ისავრიელის ქვრივი და კანონიერ მემკვიდრე, თქვენ ახლა მის წინაშე დგახართ ის, ვისაც გულისხმობთ, მცირე ხნით განვარ დე აქაურობას, მე კი ანგარიშს მხოლოდ ღმერთს ვაბარებ, ყველაფერი ხომ მისი ნებაა არ მეთანხმებით?! - მიხვდა მღვდელი რაზე მიანიშნეს.

- კეთილი, ამ დღეებში მოვუხმობ ჩვენ ხატმწერს, ვკითხავ რამის შეცვლა თუ შეიძ ლება, თუ არა და...

- ასე იცის მხატვრის ხელოვნებამდე დაყ ვანილმა რწმენამ. ნუთუ ადამიანის ფანტაზი ამ უნდა განსაზღვროს წმინდანის სახე? მგო ნი დადგა დრო, იმპერიიდან ექსორია-ვყოთ..

ოდეს ყოფილა ხატთთაყვანისმცემელი ათ ნელი ქალი ხელოვნების წინააღმდეგ გამოსუ ლიყოო, გაიფიქრა მამა იოაკიმემ, ხმამაღლ კი ეს თქვა:

- შეგახსენებთ დედოფალო, რომ მსგავს დავები თქვენ მიერ მოწვეულმა კრებამ რა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

დენიმე წლის წინ...

- მაგრამ ახლა სხვა დავა დაიწყო! ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ამ დავებს ბოლო არ ექნება.

- ყველაფერი ღვთის ნებაა, ჩემო დედოფალო. ნავალ, ფერმწერთან კაცს გავგზავნი. მანამდე კი, თუ ისურვებთ, ხატს ისევ წმინდა სოფიას საკათედრო ტაძარში დავაბრუნებთ.

- არ მსურს! რაც შეეხება მხატვრის მოხმობას... - დედოფალმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ამით მიანიშნა, რომ საუბარი დასრულებული იყო. მღვდელი სასწარაფოდ დიდი მოძღვრის სანახავად გაეშურა...

* * *

ეს გახლდათ თანამედროვე მკვლევრის მიერ X საუკუნის უცნობი (ვარაუდობენ, კონსტანტინე პორფიროგენეტის) ბიზანტიელი ისტორიკოსის ნაშრომის დაკარგული დასაწყისის აღდგენა/რეკონსტრუქციის მცდელობა. ასეთი გამოტოვებული, დაუდგენელი ადგილები ხელნაწერში სამწუხაროდ ხშირად გვხვდება. ზემოთ მოტანილი გამოტოვებული და თანამედროვე ინკოგნიტო ავტორის მიერ აღდგენილი ფრაგმენტის ციტირების შემდეგ თავად მემატიანე თხრობას ასე განაგრძობს:

“და ნამოვიდა დედა დედოფალისა ირინოს სასახლითგან ფრიად დამწუხრებულ და აღზნებულ მამა იოაკიმ და აღეძრა სულში შეცოდებაჲ ვნებაში გარდასული; შეიპყრო დემონმან მრისხანებისამ და აღუძრა ნდომა ტყუენვად და მოოხრებად და სრვად და ნაბილწვად დედა დედოფალისა ირინოსი, გამოუთქმელის მკრეხელობისათვის, რომელიც მას განეზრახა საუკუნო სიწმინდის შებილწვითა და ხელყოფით. დამძიმებული გულისთქუმითა და სიფიცხითა მამა იოაკიმ, დროზე მოეგო გონს, მშუიდ იქნა, რამეთუ უხმობდა მას ათორმეტთაგან ერთისა მიერ დაწერილი სიტყუა, ნარმოთქმული უფლისა მიერ მთასა ზედა ქადაგებისასა: “ხოლო მე გეტყვ თქუენ, რამეთუ რომელი განურისხდეს ძმასა თვისსა ცუდად, თანამდებ არს სასჯელისა; და რომელმან ჰრქუას ძმასა თვისსა რაკა, თანამდებ არს იგი კრებულისაგან განსვლად.” და მეორე: "ხოლო მე გეტყვ თქუენ, რამეთუ ყოველი, რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულის-თქუმად მას, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა შინა თვისსა.” და მამა იოაკიმ, დამშვიდებული გულითა და განსჯას დაბრუნებული გონებითა, გადასწყვეტს წარსვლად და ხლებად დიდისა მამისა ბერ-მონაზონისა ანტონისა, წმიდისა, ხელდასხმულისა და სახელდებულისა მამათა მიერ, როგორც ანტონი “წმინდასურნელმავრცელებელი”. და ეახლა მღვდელი იოაკიმ ანტონს, აკლდამაში დავანებულს, განრიდებულს ამა სოფლის ამაოებისაგან, განმარტოებულს, დამკვირდებულს ვიწროში კლდის ქვაბსა შინა, ისე, რომ ორნი სხეულნი ზეაკრულნი და ურთიერთას გადაჭდობილნი ძლივსა შეეტეოდიან შიგნით. წმინდა ანტონ, მოხრილი წელში, არა წლებისა სიჭარბისა გამო, არამედ ქვაბში მყოფი სიმაღლის სიპატარავისა, მოკუნტული: დაუჯდომელს დამჯდარი ალავლენდა. ამას შეესწრო მამა იოაკიმ, მდუმარედ შეჰყურებდა მნათობს აღმოსავლეთისასა. და განასრულა ანტონ აკათისტო და დადუმდა და მიაჩერდა იოაკიმს თვალებითა მეტყუელითა, თითქოს: ვიცი რისთვისაც მოსულხარო. იოაკიმ მდაბლად თაყვანი სცა და შესჩივლა:

მამაო ჩვენო წმინდასულნელმავრცელებელო, ეს და ეს ბოროტება განუზრახავს დედოფალსა ჩუენსა ირინოსს, რომელსაც ვუმაღლით ხატმებრძოლთა ალაგმვას და წმინდისა ხატებისა ჩუენისა გადარჩენას ბიზანტიონში, ახლა კი შესჩენია ბელზებელ, რამეთუ ეშმა ვერ თავს-იდვა, ხედვიდა რა ესოდენსა გულმოდგინებასა დედოფალისასა ჩუენისა ჩუენ სასარგებლოდ, შეუჩნდა იმას, ვინც ხატთაყვანისცემა გადაარჩინა და განაწყო ხატმბრძოლად, მსგავსად მისი ქმრის წინაპარისა, იმპერატორის ლევ ხატმებრძოლისა. ვერ ხელეწიფების წმიდისა შებღალვა, თუმც ცდილობს ამგვარი ბინით გამოსცადოს ერთარსი ჩუენი წმ სამება, ვისი მეოხებითაც ტახტი მისი დაფუძნებულია ჩუენთან, წმიდასა ქალაქსა შინა, ახალსა იეჰრუსალიმსა, დაარსებულსა მოციქულთასწორისა დიდისა იმპერატორისა ჩვენისა კონსტანტინეს მიერ და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერა ერეოდიან მას"

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ამ ადგილას ხელნაწერში გამოტოვებული ეპიზოდის შესავსებად ჯარისკაცებივით სამრიგად განლაგებული წერტილები გვხვდება, რაც ავტორის დახვეწილ გემოვნებაზე და გონივრულ ჩანაფიქრზე მიუთითებს. თითქოს მემატიანემ სცადა ტექსტში დამატებითი საზრისი სიმეტრიულად ჩამწკრივებული (წერტილებს შორის გამოტოვებული მანძილი ყველგან თანაბარია) იდენტური ნიშნებით შეეტანა, მან სრულიად ზედმეტად მიიჩნია სიტყვების გამოყენება, რითიც მკითხველიც დაასვენა და თან ოკამის სამართებლის პრინციპის გამოყენებით, თხრობა უფრო კომპაქტური გახადა. წერტილები რომ მისი დასმულია და არა გადამწერის გვიანდელი ინტერპოლაციაა, დას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურდება მელნისა და წერტილის დასმის სტილური ნიუანსების ანალიზით. ეს ეპიზოდი ასევე მიგვითითითებს, რომ მღვდელ იოაკიმს ბევრი ლაპარაკი ჰყვარებია, მემატიანეს მოჰბეზრებია მისი ციტირება. როგორც ჩანს, ამის პირდაპირ თქმას მორიდებია იმდროინდელი კონიექტურის ან სასულიერო ნოდების შეურაცხყოფის შიშის გამო, ამიტომ მან ეს წერტილებით და დუმილით გვითხრა, რითიც, უნდა ვაღიაროთ, მან იმაზე მეტის გამოხატვა მოახერხა, ვიდრე სიტყვების გამოყენებით შეიძლებოდა. შემდეგ თხრობა ასე გრძელდება:

"... და ნარმოველ შენსა, რათა ვუწყოდე რა სურს ჩუენგან უფალსა ჩუენსა, მივიღო რჩევა გარდმოსული წმინდათა ბაგეთაგან და არა მხოლოდ ბაგეთაგან... რადგან ვფიქრობ და ვერაფერს მივმხვდარვარ დაბნელებულითა გონებითა ჩემითა, რა დაემართა დედოფალს ჩუენსას ირინოს, დაე შენგან წამოსულმა სულნელმა, როგორც ეს არაერთხელ ყოფილ-არს, ნათლითა ალავსოს დაბინდული გონება ჩემი..."

..................................................

..................................................

..................................................

აქაც წყდება თხრობა და ინყება წერტილები, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ მამა იოაკიმემ სათხოვარი ფუქსიტყვაობით გააუბრალოვა. როგორც ჩანს, ბერმა ანტონმა მას ამის საშუალება მისცა, ბოლომდე მოუსმინა, მაგრამ ჩვენი მემატიანე არ აძლევს მღვდელ იოაკიმეს თხრობის გაფუჭების შესაძლებლობას. ამის გათვალისწინებით, მემატიანეს უარი უთქვამს იოაკიმეს თხოვნის დეტალურ გადმოცემაზე და ეგრევე ბერი ანტონის აღწერის საქმეს შესდგომია:

"... ანტონი იბერიელი, გამავრცელებელი წმიდისა სულნელებისა ზეციერისა მოკვდავთა მიმართ, ხუთნივ საგრძნობით (ხედვით, სმენით, შეხებით, გემოს-ხილვითა და უფრო შეტად, განრჩევით) შემგრძნებელი ღვთაებრივისა. მკვიდრი ძეჲ დიდისა წინაპარისა მონაზონისა ანტონისი ეგვიპტელისა სულისმიერი და არა ხორცით (ნუ იქნების!). მასავით სავსე სიმხნევითა და წლოვანებითა: სახელი მისი მოედო მაშრიყს და განივრცო ვიდრე მაღრიბამდე. კიდეთაგან ქვეყნიერებისაჲ ივლტოდეს მოსვლად და მოსმენად სიბრძნისა ანტონისი და შეხებად სამოსელისა პირველისა მისისაჲ, ვითარცა დედოფალსა მას საბიასსა ესმა სახელი სიბრძნითა მეიგავე სოლომონისი და მოვიდა იეჰრუსალიმს, წასვლისას კი რქუა: "სანატრელ არიან, რომელნი დგანან შენს წინაშე და მარადის ესმის ყოველი ეგე სიბრძნე შენი." ისინიც, მნგრეველნი და მაოხრებელნი გზირნი, მტერნი სარწმუნოებისა ჩუენისა - ამბრნი, უმბრნი და არაბნი და ბულგარნი და ლანგობარდნი - მოივლტოდნენ და უსმენდნენ და პატივს მიაგებდნენ სულნელოვანსა მამასა ჩუენსას. წარმომშობი ანტონისი არს "ქუეყანაჲ, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამნი შეინირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების". ქუეყანაჲ ესე ცნობილ არს სიმშუენიერითა და ხალისითა, სიძუელითა და ჭეშმარიტებითა, ერთგული წმიდისა სარწმუნოებისა ქრისტეისი, რომელიც ეუწყათ დედაკაცისა მიერ დიდისა იმპერატორისა ჩუენისა კონსტანტინეს წარგზავნითა და მეოხებით. ქვეყანა ესე ქრისტეში დაქვემდებარებულ არს ეკლესიასა ანტიოქიისასა, რამეთუ მიჰრონი იქიდან მიჰყვანდათ ოდით, ამას მოწმობს სქოლასტიკოსი სოგრატ. ყმაწვილ-კაცობა მამისა ჩუენისა ანტონისი ყოფილა ბობოქარ, ვითარცა ყმაწვილ-კაცობა ნეტარისა აუგუსტინესი. თავიდანვე შეჰყვარებია ანტიურობა; სიბრძნის-მოყუარეობა და ხელოვანება მისი. ყმაწვილ-კაცობაში თავად ყოფილა რიტორ, პიიტიკოს და მესტიხე, მეტრფე ერთისა დიდგუაროვანი დედაკაცისა [ეს იყო ტრფობა წამებულისა] თანახმად მემატიანისა ერთისა და უძლვნა მას შაირი მაღალი, საერო და ფუჭი, მსაგავსად სოლომონისა, რომელმან სულამიტისა სადიდებლად მიჰმართა "ქებასა ქებათასა". მცირე ნანილი შაირისა თვითონ დედაკაცს შეუნახია, დანარჩენი არსად იპოვება ——— /// +++ < --- >"[1] ეს ერთადერთი ეპიზოდია ტექსტში, სადაც ასეთი დახვენილი ავტორისთვის შეუფერებლად, თხრობა უხეშად წყდება, ისე, რომ შეწყვეტილი ამბავი არც წერტილებით არის შევსებული და არც სხვა რამ მინიშნებაა გაკეთებული. ბოლო სიტყვის - "იპოვება" - შემდეგ გაუგებარი და ქაოტური, უცნაურად ამოკაწრული ფიგურები გვხვდება. სავარაუდოდ, ბატკნის ტყავით დამზადებული მაღალი ხარისხის პერგამენტი, ამ ადგილას, შეგნებულად დაუზიანებიათ, ისე ძლიერად, რომ მისი აღდგენა თანამედროვე მეცნიერული მეთოდების გამოყენებითაც კი ვერ ხერხდება. მხოლოდ აქა-იქ ქაოტურად გაბნეული ასო-ნიშნების ამოკითხვა მოხერხდა, რომელიც მთლიანობაში საზრისს ვერ ქმნის. ეს გვაფიქრებინებს, რომ ვიღაცას (ვიღაცებს)

1. ხელნაწერის ეს ადგილი დღემდე საგონებელში აგდებს მკვლევრებს, უბიძგებს მათ ეძებონ ზემოთ აღნიშნული პოემის ფრაგმენტი. სიმართლე გითხრა, მეც ჩართული გახლავართ ძიების პროცესში. არ დავმალავ, მიზანთან საკმაოდ ახლოსაც ვარ. თუ ამ ტექსტის დასრულებამდე შევძლებ მის პოვნას, აუცილებლად დავურთავ თან.

არ სურდა გაგვეგო ის, რაც ამის შემდეგ ეწერა პერგამენტზე. ისმის შეკითხვა: რა ინფორმაციას შეიცავდა ეტრატი ისეთს, რისი მკითხველამდე მიღწევაც რომელიღაცა ჯგუფს არ სურდა? შეკითხვაზე პასუხის გასაცემად... თანამედროვე კვლევებზე დაყრდნობით, ვვარაუდობ, რომ ტექსტის დაზიანების მიზეზი უნდა ყოფილიყო წმ. მამის ანტონის სასულიერო ზედმეტსახელის "წმინდასულნელმავრცელებელი"-ს წარმოშობა და მნიშვნელობა.

ამ ჰიპოთეზის დასადასტურებლად იძულებული ვარ მივმართო სხვა ჟამთააღმწერელს, ვინმე არსენ ბერს, რომელიც წმინდა ანტონის ამ სასულიერო ფსევდონიმზე თავის ფრაგმენტულ ანალებში მინიშნებებით გვეუბნება:

"და ვერცა ვერაოდეს ელირსა ჭაბუკი ფრიდონ, სხვა დროს ანტონ "წმინდასულნელმავრცელებელად" წოდებული, კეთილგანწყობას ბანოვანისა და შეიპყრო და შთანთქა იგი მომთრვალეობამ და შვიდივ ცოდვათაგან უარესმა, ნაყროვანებამ! ამან დაასნებოვნა ნაწლავნი მისნი..." ამავე მემატიანის სხვა ფრაგმენტში გადმოცემულია: "...სამი წელი და კიდევ ნახევარი კვიპაროზისა და მაყვლოვანისა ნიაღსა შინა დაეყუდნა და იკუებებოდა მხოლოლა ძირხვენითა ათას ორას და სამეოც დღესა, ძაძებით შემოსილი, მერე კი მცირედ თაფლი ველური და ღვინოც შეურია, როგორც ურჩევდა პავლე ტიმოთეს, თუმცა ამანაც ვერა უშველა. გვიანღაცა მიჰხვდნენ, რომ ეს იყო განგებულება ღმრთისა..." მესამე ფრაგმენტი კი გვეუბნება: "...გამოსცემდა და აფრქვევდა ფრიადსა სულნელებასა, წარმართთა სამე საცდურს და მორწმუნეთთვის ცხოვნებას..." ეს სამი ფრაგმენტი უმნიშვნელოვანეს ცნობებს გვაწვდის წმინდა ბერზე:

1. ჭაბუკი ანტონის (საერო ცხოვრებაში ფრიდონის) გრძნობები ქალისგან უპასუხოდ დარჩენილა, სავარაუდოდ, ამის გამო შესდგომია იგი მძიმე ასკეტურ ცხოვრებას;

2. როგორც ჩანს, მისმა დაწერილმა პოემამ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო (ვერ მოხიბლა ქალი) და ამის გამო, სანამ სასულიერო ცხოვრების გზას აირჩევდა, მანამდე საშინელ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილა და ხორციელ სურვილებს აყოლილს, უკიდურესი ჰედონისტური ცხოვრებისთვის მიუყვია ხელი;

3. ასეთმა თავაშვებულმა ცხოვრებამ (მემთვრალეობამ და ნაყროვანებამ) მას კუჭ-ნაწლავი დაუზიანა და მიუხედავად იმისა, რომ მძიმე ასკეტური მოღვაწეობა დაიწყო, - ხის ქვეშ ცხოვრობდა, მხოლოდ ბალახის ფესვებითა და ველური თაფლით იკვებებოდა და ცოტაოდენ ღვინოსაც სვამდა, - ამან შედეგი მაინც ვერ გამოიღო, ვერ შეაჩერა შეუკავებელი
სურნელთფრქვევა, რასაც ჟამთააღმწერი (რაც
გან სხვა გამოსავალს ვერ პოულობს) საბო
ლოოდ განგების ნებას მიაწერს. ამას პირდა
პირ და ლოგიკურად ებმის მომდევნო საკითხ
ის სურნელებას აფრქვევდა, რომელიც ურწმუ
ნოთათვის იყო სიმყრალე და საცდური, ხოლ
მორწმუნეთათვის - ნელსურნელება და გადარ
ჩენა...

ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა და
ვასკვნათ, რომ მამა იოაკიმე, რომელსაც ას
ჰყვარებია ლაპარაკი, სწორედ იმიტომ მისუ
ლა წმინდა ბერთან, რომ ეს სურნელება ეყნო
სა და აქედან გამოწვეული ხილვითა და ინსპი
რაციით სწორი დასკვნები გაეკეთებინა; მი
ლო ზუსტი ხელმძღვანელობა იმასთან დაკავ
შირებით, თუ როგორ მოქცეულიყო ასეთ რთულ
ვითარებაში. მან კი ფუქსიტყვაობის გამო ვე
რა და ვერ ჩამოაყალიბა გასაგებად სათხოვა
რი, ამიტომ ჯერ ჩვენი მემატიანე გადაახტ
თხოვნის ეპიზოდის სრულად აღწერას, შე
დეგ კი, თუ ვივარაუდებთ, რომ იგი ტექსტ
რომელიღაც ნაწილში მაინც დაუბრუნდებო
და ამ საკითხს, ვიღაცამ (ვიღაცებმა) შეძლ
მიზანდასახულად გაენადგურებინა ეს ადგი
ლი.

S/66 - ის მიმაგრებულ არშიაზე გაკრულ
ხელით გაკეთებული კომენტარი. გაგრძელებ
(ხელნაწერის კიდეზე ზოგჯერ გვხვდება სი
მეტრიულად განლაგებული მრავალწერტილ
ანი მარგინალიები):

... ამ ვიღაცებმა, რომლებსაც შვილი მიე
ხრო, კავშირი შეკრეს ფრანკებისა და ლანგო
ბარდების მეფესთან ... სინამდვილეში კი პა
პის მიერ გვირგვინდადგმულ რომის იმპერა
ტორ კარლოს დიდთან, რომელიც უკმაყოფი
ლო ყოფილა 787 წელს ნიკეაში გამართულ
კრებით, გულის სიღრმეში არ სურდა დასავ
ლეთისა და აღმოსავლეთის დაახლოვება, რად
გან შორეულ პერსპექტივაში აღმოსავლეთზე
როგორც ძვირფას ფირუზზე, ეჭირა თვალი...
ამას თავის დროზე ვერ მიმხვდარა არცთუ გამ
ჭრიახი იმპერატრიცა ირინე... გულუბრყვი
ლოდ სჯეროდა, ყველაფერი ბერძნულად და
წერილი კრების ოქმების არასწორი ლათინუ
რი თარგმანის ბრალიაო. ვერ განასხვავეს ტერ
მინები: "თაყვანისცემა" და "მსახურება" ერ
თმანეთისგან, არ იციან ლათინებმა ბერძნუ
ლიო და ა. შ... ამასობაში კარლოს დიდმა მოიწ
ვია სწავლულები ინგლისელი ალციუს იორკე
ლის ხელმძღვანელობით და ნიკეაში ჩატარე
ბული კრების მიერ დამტკიცებული დოგმატე
ბის საწინააღმდეგო საღვთისმეტყველო კონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუსი შეაქმნევინა, იქ მიღებული დადგენილებები კი არ დაამტკიცა... გვიანღა გააცნობიერა დედოფალმა, სინამდვილეში რაშიც იყო საქმე და გული აიცრუა მის მიერვე მოწვეულ კრებაზე, რადგან ეს ხომ რომთან დაახლოვების სურვილით გააკეთა, რათა მუსლიმებისგან დაეცვა იმპერია, ახლა კი რა გამოვიდა? ჯერ საშების დოგმატით და ახლა კიდევ ხატებით ისლამური სამყარო საბოლოოდ გადაიმტერა ... ააუ გაღრმავდა პოლიტიკური კრიზისი ბიზანტიაში მე-9 საუკუნის დასაწყისში და გამწვავდა დავა საკითხზე: სულიწმინდა მამისაგან გამოდის თუ ძისაგანაც (Filioque)? ... კონსტანტინოპოლის ახლოს მდებარე მონასტრის იღუმენი თეოდორე კი, ირინესგან დაქოქილი, დღედაღამ ამხელდა და ტვინს უჭამდა დედოფლის მიერ მართვისაგან "დროებით" განრიდებულ მისავე შვილს; ბილწი, ჯვარდაუწერელი ქორწინების გამო ... ... ...

დედოფალმა ამ დილითაც ცუდ ხასიათზე გაიღვიძა, შემთხვევით ისევ იმ უცნაურად მომღიმარ ხატს გახედა (რატომღაც ცუდ ხასიათზე ყოფნის დროს სულ ეს ეჩხირებოდა თვალში) და გაახსენდა მამა იოაკიმე, რომელიც აგერ უკვე თითქმის ორი კვირაა სასახლეში აღარ გამოჩენილა. იმპერატრიცას არ მოეწონა ეს ამბავი, ჩემს ბრძანებებს უგულებელყოფენ, ალბათ დავსუსტდიო, - გაიფიქრა და ბრძანება გასცა, მღვდელ იოაკიმეს უხმეთო. მღვდელი მალევე გამოცხადდა სასახლეში შეპირებულ მხატვართან ერთად. როგორც ჩანს, წმინდა ანტონთან სტუმრობის შემდეგ, მისი რჩევით, ეს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

- მეგონა, სანამ დაგიძახებდი, მანამდე მოხვიდოდი!

თქვა დედოფალმა და გამომცდელი თვალებით შეხედა. მღვდელი, რომელიც კარგად ერკვეოდა პოლიტიკოსებთან ურთიერთობაში, არ დაბნეულა. "ამ დროს ყველაზე კარგი ხერხი გულწრფელობის გამოვლენააო", გაიფიქრა და უპასუხა:

- ხატმწერს მალევე მივაგენი, ჩემო დედოფალო. მთელი ამ დროის განმავლობაში ერთად ვიყავით, ვლოცულობდით და ვბჭობდით... შეგნებულად არ მოვიყვანე. სწორედ თქვენს ბრძანებას ველოდებოდი.

- ჩემს გამოცდას ჰგავს.

- სიმართლე გითხრათ, მინდოდა დაგვიწყებოდათ, რაც განიზრახეთ, ან უბრალოდ გადაგეფიქრებინათ. თუ არ მომიხმობდით, ჩავთვლიდი, რომ შეისმინა ღმერთმა ჩემი ლოცვა, ყველაფერი ხომ მისი ნებაა, მაგრამ რადგან კვლავ ბრძანეთ მოვსულიყავი...

- ესე იგი არ გადამიფიქრებია და მართალიცა ხარ.

- დიახ.

დედოფალი ხატს მიუახლოვდა, მხატვარი და მღვდელიც მიჰყვნენ. დედოფალი რატომღაც მხატვარს ზედაც არ უყურებდა, ზოგჯერ მასთან საუბრის დროს ირონიულ კილოსაც მიმართავდა.

- აი, ამ ადგილის გადაკეთება მინდა.

თქვა დედოფალმა და ხელი ტილოზე გამოსახული მომღიმარი სახის ტუჩის კუთხეებს დაადო. - ალბათ ამჩნევთ, რა ამპარტავნულად დაგვყურებს ზემოდან, ამპარტავნულად და ცინიკურად. ამ ნახატს აკლია ძირითადი ქრისტიანული სათნოება.

- რას გულისხმობთ, ჩემო დედოფალო?

ჩაილაპარაკა იოაკიმემ.

- თავმდაბლობას, მამაო, თავმდაბლობას! არ მიკვირს, რომ ვერ გამოიცანით...

უცებ მხატვარს მიუბრუნდა:

- ეს ნახატი აღმოსავლური ხელოვნების ტრადიციის მიხედვით რომ იყოს შექმნილი, დაზღვეული ვიქნებოდით ამგვარი გაუგებრობებისგან. იცით რატომ?

მხატვარმა იცოდა ამ შეკითხვაზე როგორ უნდა ეპასუხა, მაგრამ დედოფლის განრისხებას მოერიდა, მის ირონიას გამოვლენის საშუალება მისცა. უარყოფის ნიშნად უბრალოდ თავი გააქნია.

- იმიტომ, რომ, მაგალითად, სირიულ და კოპტურ ხელოვნებაში მხოლოდ სიმბოლოები და ორნამენტებია, სად ნახავთ იქ ადამიანის სხეულით გამოსახულ ღმერთებს, ეს წარმართული საბერძნეთია, სადაც ხელოვნება ოდითგანვე ემსახურებოდა რელიგიას!

"ათენელი ქალი ასპასია ოლიმპიელი ღმერთების წინააღმდეგ!" - სარკასტულად გაჰკრა გულში იოაკიმეს, ხმამაღლა კი ეს თქვა:

- შეგახსენებთ დედოფალო, რომ ჩვენ მონოფიზიტები არა ვართ, უფლის ორ ბუნებას ვაღიარებთ, ამ ორიდან ერთის გამოსახვა შეიძლება, როგორც ეს თქვენ მიერ მოწვეულმა კრებამ...

- კრების მიზანი რომთან დაახლოებით ისლამური საფრთხისგან იმპერიის დაცვა იყო, ახლა რა ხდება? ხალხი ისლამს იღებს ხატთაყვანისცემის გამო. ნაცვლად იმისა, რომ ისინი მოგვექცია, ჩვენები მიიქცევიან მათკენ.

- ჩვენ სიმფონია გვწყურია, დედოფალო!..

- მაშინ დაასრულეთ დავა.

ეს თქვა და მხატვარს მიუბრუნდა:

- შეძლებთ ამის გამოსწორებას?

ხელი ხატისკენ გაიშვირა.

მხატვარმა თავი დახარა და დადუმდა. უარ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოფის ნიშნად ძლივსშესამჩნევად გააქნია თავი. განრისხებულმა დედოფალმა მღვდელს შეხედა:

- კარგი, გასაგებია თქვენი პასუხი. დროა ისავრიელთა ტრადიცია ალვადგინოთ. კრებისთვის მოსაწვევები დააგზავნე ეპარქიებში!.. მართლაც არის ხატთაყვანისცემაში წარმართული ელემენტი!

მღვდელი იოაკიმე თითქოს უცებ გამოფხიზლდაო, მხატვარს მიუბრუნდა, მხარში ჩაავლო ხელი და მტკიცე ხმით წარმოთქვა:

- ეგ არ უნდა მოხდეს, დედოფალო, არ შეიძლება ადამიანი ერთსა და იმავე საქმეში ჯერ ღმერთმა გამოიყენოს და შემდეგ ეშმაკმა! - ვერ გაარკვევდით ამას დედოფალზე ამბობდა თუ მხატვარზე. - მხატვარს დაველაპარაკები და ახლავე დავბრუნდებით...

მართლაც მალევე დაბრუნდნენ.

- ჩემო დედოფალო, ტექნიკურად ამ ნახატის გადაკეთება შესაძლებელია, მაგრამ, მაგრამ... არსებობს საკრალური მხარეც... ხატმწერს ეშინია რომ...

აქ, მოულოდნელად, თითქოს ბალაამის სახედარმა ხმა ამოიღოო, მხატვარმა გააწყვეტინა მღვდელ იოაკიმეს საუბარი. დედოფალს სწრაფად მიუბრუნდა და სხაპასხუპით წარმოთქვა:

- რადგან ჩვენი წმინდა დედოფალი, რომელიც უფლის ტახტზეა დაბრძანებული, თავის თავზე იღებს ამ... ამ... ("ცოდვას"-ო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ თქვა) მე მზად ვარ საუკუნის წინ დაწერილ სასწაულმოქმედ წმინდა ხატში შესწორება შევიტანო, ოღონდ ამას გარკვეული დრო დასჭირდება.

დედოფალი კმაყოფილი ჩანდა. შერბილებული კილოთი იკითხა:

- დრო, რამდენი?

- რამდენიმე თვე.

- თანახმა ვარ! ხვალვე მოგიტანენ სახელოსნოში ხატს ჩემი მსახურები.

ეს თქვა და მხატვარსა და მღვდელს, იმ დროს მიღებული ეტიკეტის დაცვით, ხელით ანიშნა, დამტოვეთო. ისინიც სასახლიდან გამოვიდნენ თუ არა, ეგრევე კონსტანტინოპოლის პატრიარქ ტარასთან გაეშურნენ...

* * *

ამ რეკონსტრუირებული ადგილის მოტანის შემდეგ დროა ანალეფსისის ლიტერატურული ხერხის გამოყენებით თხრობის დრო ოდნავ უკან გადავწიოთ. მაშ ასე, მაინც რა იხილა მღვდელმა იოაკიმემ წმ. ანტონი სურნელმავრცელებელთან სტუმრობისას? ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი მემატიანე თხრობას ასე აგრძელებს:

"... ისმინა რა ანტონ ფრიად მრავალ-სიტყვიერი ღაღადისი იოაკიმისა, განზრახულობითა თვისითა გამოაფრქვია სულნელებაჲ წმიდა გამოსცემდა და ავრცობდა და იყნოსვიდა სარწმუნოებითა დიდითა მამაჲ ჩვენი იოაკიმ და ესხმოდა რეტი და აღიყვანა შეუცნობელმან ძალამან და მოიხილა ოთხნივ კიდენი ქუეყნიერებისაჲ, ვითარცა დატყუევებული იოვანე კუნძულსა მას შინა პატმოსისასა... და აღიყვანეს იგი, ვითარცა კაცი საელე, დამასკესა გზასა გამოცხადებისასა შემდგომად წოდებული პავლედ," გინა თუ ხორცითა, გინა თუ თვინიერ ხორცთაჲსა [აღიტაცა ძალამან] მესამედ ცადმდე და ესმნეს მას სიტყუანი, რომელ არა ჯერ-არიან კაცთა სიტყუად" და ეწვია იგი, მამაჲ ჩვენი იოაკიმ, გარდასულსა სამეფოსა ბაბილონისასა და იხილა: თითქოს სამეფო იგი აღივსო ფერადოვნებითა დიდითა და სხვაფერდებოდა და სხვაფერდებოდა, ვიდრე არა ემსგავსა სასახლესა მეფეთასა ბიზანტიონისასა და იყო ღრეობა და ჭამა და მემთრვალეობა ფართოდ გაშლილსა დარბაზსა მას შინა და დედოფალი ირინე ემთხვეოდა და აქებდა და უკუ-მევდა და უჩუენებდა უცნაურსა კერპსა ზევსისა გაკეთებულსა ხელოვანისა მიერ: ფიდიას. მას ჟამსა შინა გამოვიდეს თითნი კაცისანი და აწერდნეს შუბლსა ქანდაკისა ზევსისა დედოფალისა ირინესთვის სახილველად. მაშინ შესახედნი მეფისა შეიცვალა და გულისზრახვანნი მისნი აღშფოთებულ იქნეს და მუხლნი მისნი ერეკებოდეს. თითნი ხელისა მწერლისასა სწერდა სამსა ასოსა უკუე დაწერილს ვალტასარ მეფის მიმართ: მაკი, თეკელ, ფარეს. და იცვნა დედოფალმან ირინოს სიტყუანი ესე და იცვნა მამა იოაკიმ სიტყუანი ესე და მსწრაფლ დასრულდა ხილვაჲ მისი. და მიხვდა იოაკიმ გულსითქუმას ზეცითაისა და ცა... რაი უნდა მოემოქმედა მას..."

უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ ხილვის შემდეგ მოძებნა მამა იოაკიმემ მხატვარი, მათ რაღაცა მოილაპარაკეს და... ბრძანების მიღების შემდეგ ერთად გაეშურნენ დედოფლის სასახლეში. იქ როგორც განვითარდა მოვლენები ეს უკვე აღწერა ჩვენმა ინკოგნიტო მკვლევარმა თავის კომენტარში, რის შესახებაც ზემოთ ვისაუბარეთ. მემატიანე კი თხრობას ასე აგრძელებს:

"და დაასვენეს ხატი იგი მირონმდინარი მსახურთა მათ დედოფალისა მცირე რამ საპ... ხელოსნოსა შინა ხატ-დამწერისა ჩუენისა და მოიცდიდა იგი, ვიდრემდის თვალთა სახი... დახატულისასა არა ამოშრეს სისველენი სას... წაულისაჲ. და გაშრნა გამონაჟონი, განქარდ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშანი მოცემული უფლისა და შეჰხედა ჰხელოვანმან სახეს გამოხატულისასა (ჰოი, საოცრებავ!), ვერღარა ცნა ნაკუთი სახისა წმიდისა დედაკაცისა წინასწარმეტყუელისა და განმანათლებელისა ჩვენისა მხატვარმან სახელოანმან. და აღეძრა სიყუარული დიდი მისდამი, რამეთუ ვერ-რა მოიხელთა იგი და განკვირდა ფრიად. დააფიქვრებდა ესოდენი გულმაეიწყობაჲ და დაბნეულობა თვალთა მისთა..."

ამ ადგილას მარგინალიაზე ჩვენს მკვლევარს მთრთოლვარე ხელით ბრჭყალებში ჩასმული რამდენიმე წინადადება მიუწერია (საინტერესოა, რამ აალელვა ასე?):

"სახის დანახვა შეიძლება, მაგრამ მისი გაგება შეუძლებელია, ვერ ალვწერ! მას ის შეუყვარდა და პოემა მიუძლვნა, რადგან ვერ მოიხელთა. ამან ვერ დახატა, რადგან გაექცა. გვიყვარდება ის, რაც ხელიდან გვისხლტება."

ამ მცირე კომენტარიდან ჩანს, რომ ჩვენმა მკვლევარმა - სიტყვებით "ვერ ალვწერ!" - თხრობაში სუბიექტური ელემენტი შეიტანა, რაც შემდეგი დასკვნის გაკეთებისკენ გვიბიძგებს, ტექსტმა მკვლევარზე ზემოქმედება იქონია, თავის გავლენაში მოაქცია. მემატიანე თხრობას ქვემოთ ციტირებული მცირე ფრაგმენტით მოულოდნელად ასრულებს:

"...აკვირდებოდა გაკვირვებითა დიდითა მხატუარი იგი გამოსახულსა ღვთაებრივითა რამ ხელოვანებითა და შესტრფოდა და გაუმიჯნურდა ძლიერ. და იმარხვიდა ორმეოც დღე და ორმეოც ლამე და ვერა შეჰბედა წმიდანისა დამშუენებულ სახესა შეხება ფუნჯისა მინიერისა. მიეახლებოდა და ჰხელნი მისნი ჰკრთოდენ და უვარდებოდა საწერი ხელთაგან... და უჰხმო შემდეგ მამასა იოაკიმესა და რქუა: აჰა, აღვასრულე დანაპირები ესე, წარვიდეთ და წარვსდგეთ წინაშე დედოფალისა და ვაჩუენოთ ხატი ესე და იოაკიმ კუალად შეაჰხსენებდა შეთანხმებასა დადებულსა მათ მიერ... და მიეხლენ დედოფალსა სასახლესა შინა და დაასვენეს ხატი იგი დიდსა სადარბაზოსა და გარდაჰადნეს ფარდაგი გადაველებული სახესა მისსა და რა იხილა ირინოს შეცვლილი სახე წმიდანისა შეჰკრთა, შეჰკივლა და მიჰვარდა ხატაა და განრისხებულმან დაადო ხელნი ტილოსა წმიდასა და - დამაბრმავებელი შვილისა თვისისა ირინოს, რომელმან ძალით განაყენა მემკვიდრე იგი კანონიერი ტახტსა მამამისისა ლეონ მეოთხე ისავრიელისა და ბოლოს მოაკუდინა იგი სიკუდილითა ძნელითა, - ვითარცა ცოლი ლოთისა, ძეგლ მარილისა იქმნა."

S/66 ფრაგმენტის ქალალდის არშიაზე თანამედროვე მკვლევრის მიერ გაკეთებული ბოლო მინაწერი:

დედოფლის სასახლიდან გამოსულმა მღვდელი და მხატვარი პატრიარქ ტარასთან გაემართნენ, შემდეგ სამივემ მოძებნა ნიკიფორე (ვინ იყო და რა გააკეთა? პორტრეტის გამოსაკვეთად და დაწვრილებითი ანალიზისთვის იხ. შრ. დილი, ბიზანტიის ისტორია.), რომელსაც პრეტენზია ჰქონდა ტახტზე, დედოფალ ირინოს უზურპტორად მიიჩნევდა. ეს შეხვედრები რამდენიმე თვე გრძელდებოდა და საბოლოოდ შეთანხმებამდე მივიდნენ... მხატვარი სახლში დაბრუნდა თუ არა, პატრიარქ ტარასის მიერ გადაცემულ კოლბაში მოთავსებული სითხით დაიწყო ხატის დამუშავება. რომ არ შეხებოდა, სპეციალური ხელსაწყოებით, მის ყოველ ქსოვილს დღე და ლამე საგულდაგულოდ ამუშავებდა. ბოლოს, როდესაც საქმე დაასრულა, მამა იოაკიმეს უხმო, როგორც ხელნაწერიდან ჩანს, მან კიდევ ერთხელ შეახსენა შეთანხმება ("იოაკიმ კუალად შეახსენებდა შეთანხმებასა დადებულსა მათ მიერ") ხატი სქელ ნაჭერში გაახვიეს და დედოფლის სანახავად გასწიეს. შეცვლილი ხატი ერთ-ერთ სადარბაზო ოთახში მოათავსეს და დედოფლის შემობრძანებას დაელოდნენ. დედოფალი მობრძანდა, როგორც ჩანს, კარგ გუნებაზე იყო:

- აბა რა ქენით, დაუბრუნეთ ჩვენს წმინდანს წმინდანის სახე?

ამაზე მამა იოაკიმემ მიუგო:

- როგორც გვიბრძანე, ჩვენო დედოფალო...

- კარგია. ამას მრევლს ვაჩვენებთ და შეიქმნება ჭეშმარიტი თაყვანისცემის საუკეთესო ნიმუში, როგორც წერია: "სული არს ღმერთი, და თაყუანისმცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანა-აც თაყუანისცემაჲ." თანაც სამომავლოდ განსაზღვრული იქნება იკონოგრაფიის (დედოფალმა თქვა: ხატწერის) კანონი. ეს თეოლოგიურთან (მან თქვა: საღმრთისმეტყველოსთან) ერთად პოლიტიკურ დავებსაც გაანეიტრალებს, იქნებ ცოტა ამოვისუნთქოთ. ახლა კი მოხსენით ნაჭერი, შევხედო ნამუშევარს!

მხატვარი ნახატს მიუახლოვდა, თვალით მოძებნა ნაჭერზე ნახშირით მონიშნული ადგილი, ფრთხილად მოჰკიდა ხელი და სწრაფად გადახადა! დედოფალმა შეხედა გადაკეთებულ სახეს და გაოგნდა... სწრაფად მივარდა ნახატს და ხელით სახის იმ ადგილს შეეხო, რომელმაც ასე ალაშფოთა, ეს იყო ტუჩის კუთხეები. იმდენად ხმამაღლა შესძახა, რომ მცველები შემოცვივნდნენ:

- როგორ გაბედეთ! თქვენ თითქმის არაფერი შეგიცვლიათ! ეგ კი არა, უფრო ცინიკურიც კია მისი გამომეტყველება!..

და უცებ გაშლილი ხელით მხატვარს რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალი და ღონე ჰქონდა სილა გააწნა. მხატვარი შებარბაცდა, მაგრამ თავი შეიმაგრა. დედოფალმა მხატვრის სახეზე საღებავი შენიშნა. ხელებზე დაიხედა და მასაც საღებავით ჰქონდა მოთხვრილი. - ეს რაღა ჯანდაბააო, - თქვა და მცველებს წყლის მოტანა უბრძანა. მცველებმა ბრძანება სწრაფად შეუსრულეს. დედოფალმა ხელები ხატის წინ დაიბანა, იოაკიმეს კი უთხრა:

- ვბრძანებ, ახლავე წახვიდე პატრიარქ ტარასთან და დღესვე გაგზავნო შიკრიკები ეპარქიებში, რათა მოსაწვევები დაარიგონ! უმოკლეს დროში საეკლესიო კრება უნდა ჩატარდეს.

იოაკიმემ თანხმობის ნიშნად თავი დახარა.

იმპერატრიცამ მტკიცე ხმით ჩუმად ჩაილაპარაკა: - ახლა კი დამტოვეთ, აწი მე ვიცი რასაც ვიზამ!

აღელვებული მხატვარი და დამშვიდებული მღვდელი დედოფლის სასახლიდან გამოვიდნენ და სხვადასხვა მიმართულებით წავიდნენ. აფორიაქებული მხატვარი ექიმთან გაეშურა, მღვდელი კი, დედოფლის ნათქვამის შესაბამისად, მართლაც პატრიარქ ტარასთან წავიდა, საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინა... მხატვარს ნამდვილად ჰქონდა აღელვების მიზეზი, რადგან იმ საღამოს დედოფალ ირინეს სხეული გამოუცნობი რამ წყლულებით დასნეულდა და დილამდე საშინელი ტანჯვით გარდაიცვალა (ალბათ ეს იგულისხმა მემატიანემ, როდესაც დაწერა: "მიჰვარდა ხატსა და განრისხებულმან დაადო ხელნი ტილოსა წმიდასა... [და] ვითარცა ცოლი ლოთისა, ძეგლ მარილისა იქმნა."), მხატვრის ამბავი კი დღემდე უცნობია... ასე დასრულდა კონსტანტინოპოლის წმინდა დედოფლის ირინეს მმართველობა, რომელსაც ღმერთი იყენებდა თუ ეშმაკი დღემდე გაურკვეველია. მის შემდეგ იმპერატორის სკიპტრა ნიკიფორემ აიღო ხელში.

* * *

საინტერესოა, როგორ დასრულდა წმინდა ანტონის ცხოვრება? ამაზე ჩვენი მემატიანე ზოგად და ოდნავ გაუგებარ ცნობას გვაწვდის. ის ძირითადად რელიგიურ სიმბოლოებსა და პოეტურ მეტაფორებს მიმართავს, რაც გვაფიქრებინებს, რომ რაღაც არსებითს მალავს:

"...სცდიდა მას ეშმა დღე და ღამ და ვერლარა აცდუნა. ბოლოს აღიყვანა უცხო რამ ძალამან სართულსა მას ზედა ტაძრისასა აღმართულსა მთასა პარნასისა და მიეცნეს ანტონს ფრთენი წმინდანისა და პიიტიკოსისა დიდისა და აფრინდა იგი და შეერთო სულთა სირასა, ვითარცა ენუქ, რომელ სათნო ეყო ღმრთისსა, დადიოდა მასთან და არღარა იყო, რამეთუ გარ-
დაცვალა იგი ღმერთმან..."

ამ ადგილის გასწვრივ აკანკალებული ხე-
ლით (ისე რომ ასოებს ძლივს გაარჩევს ადამი-
ანი) მარგინალია გაუკეთებია ტექსტის აღ-
მდეგნ მკვლევარს. ეს ადასტურებს ჩემს მიერ
ზემოთ გამოთქმულ ეჭვს, რომ მკვლევარი ტექ-
სტმა ააღელვა, ჩაითრია და ძლიერი გავლენის
ქვეშ მოაქცია. ალბათ მისი ცხოვრების რომე-
ლიღაცა მივიწყებული ტრაგიკული ეპიზოდ
გაუცოცხლდა და ამან მისი შემდგომი ცხოვ-
რება განსაზღვრა კიდეც... იქნებ ამიტომ ვერ
მივაგენით დღემდე და ვერ დავადგინეთ მისი
ვინაობა? (ეს ჩემი თამამი ვარაუდია, სიტყვე-
ბი ხომ ადამიანის შინაგანი ძალის გამომხატ-
ველია...):

"ეს ადგილი ადასტურებს, რომ წმინდა ან-
ტონმა თავი მოიკლა, ის კლდიდან გადმოვარ-
და. შემიძლია გავუგო. ძლიერ ემპათიას იწვე-
ევს. სიყვარულმა შეიწირა."

უნდა ითქვას, რომ მკვლევრის მიერ დაწე-
რილ ამ რამდენიმე წინადადებაში ნამდვილად
იგრძნობა მეცნიერის შეუმცდარი ალღო. ინ-
ტუიცია, რომელიც გულით მიხვედრა უფრო
ვიდრე გონებით წვდომა... სულ ახლახანს აღ-
მოვაჩინეთ ზემოთ ნახსენები ბერი არსენის მი-
ერ დაწერილი კიდევ ერთი ფრაგმენტი, რომე-
ლიც კონსტანტინოპოლში ცნობილი ბერ-მო-
ნაზონი ანტონის აღსასრულზე ასეთ მნიშვნე-
ლოვან ცნობას გვაწვდის: "და აღიყვანა მაშინ
იგი სულმა ლავგარდანზედა ტაძრისასა; უმაღ-
ლესსა სართულსა მიჯნურობისა. და აყნოს
სუნელებაჲ სხეულისა თვისისა აფროდიტ და
მოიხილა ანტონ მიჯნური იგი ყმაწვილ-კაცო-
ბისა, მოღიმარი და შუენიერ. ტანსა მისსა, ვი-
ნაკადული მთისა, მოილვრებოდა სხივი სინათ-
ლისა და აღავსებდა კიდეთ ქუეყნისასა. და შე-
იძრა სულით ანტონ და წარმოთქვა სახელი მი-
სი: ირინე! და ესმა ანტონს ხმაჲ შორითგან მო-
მავალი: თუ გიყუარდა გარდაიგდე თავი და შე-
ერიე ნეტარებასა მიჯნურობისასა! და ვერლა-
რა აღმოჰხდის ანტონ: "განვედ სატანავ!", რა-
მეთუ უჭვრეტდა იგი სახესა სახიერსა მიჯნუ-
რისასა, ანგელოსებრივ მანათობელსა და შუ-
ენიერსა. უჭვრეტდა და ერწყმოდა ერთსა რა-
მე საკუჲრველსა, რომელი ენითა ვერა-რა აღ-
წერების და ვერლა-რა იმაგრებდა თაუსა, ვერ-
ცა რამ სიტყუაჲ სატყუარი სწვდებოდა ყურ-
მისსა, რამეთუ ამართულიყო წინაშე თვალთა
მისთა სუეტი სინათლისა, რომელიდანაც მო-
დინებოდა ნათელი, როგორც რამ წმიდა ბინ-
ლი. და ესრეთ ასხივებდა მიჯნური მისი, რო-
მელიც თვით იყო მიჯნურებაჲ, ნათელს სა-
კუთრივსა და მოაფენდა ყოველსა და ნათელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ვერ-რა გამოითქმის ენითა კაცთათვს მიცემულითა, როგორც ამას ამოწმებს ბრძენი ქალი დიოტიმა. და გარდამოევლო წმინდა ანტონ ზეგანსა გაშლილსა აღმოსავლისა და მიეცა მას ფრთენი და სული მისი მიეახლა მზესა ჭეშმარიტებისასა და სხეული მისი დაცემისას უცნაურად განიბნა და განქარდა, მსგავსად სხეულისა მოსესი, რათა სულმდაბალთ არ დაესვათ კერპად, და იქცა იგი ცეცხლად და წყალად და ჰაერად და მიწად და შეჰძინა ოთხივ სტიქიონსა სულნელებაჲ წმიდისა და გაუჩინარდა. ასე დაამხო და სძლია ანტონ ძლევითა საკუჱრველითა მანქანებაჲ ეშმაკისა."

არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ანტონმა ეშმაკის მეორე ცდუნებას ვერ გაუძლო, რადგან ეშმაკი დიდ სიყვარულს საცდურად ვერასდროს გამოიყენებს. მან ხომ ნებისყოფის დაძაბვით მიაღწია ზნეობრივ სრულყოფილებას. სწორედ ამიტომ არ ჩაუთვალა ეკლესიამ ანტონს ცოდვად ეს თვითმკვლელობა და წმინდანად შერაცხა. არსებითად, მისი ქმედება სუიციდი არც ყოფილა, ეს იყო შერწყმა, ზიარება წმინდა ნათელთან, სიყვარულთან, რომელიც, - როგორც ამას მითური დიოტიმა გვეუბნება, - სამყაროს ერთიანობის ღვთაებრივი კანონია!

შეიძლება რომელიმე სკეპტიკოსმა ეჭვი შეიტანოს მემატიანის მონათხრობაში, თქვას: რა იცოდა რომელიმე ბერმა, რა იხილა ანტონმა სიკვდილის წინო? შეკითხვა მართლაც ლეგიტიმურია დღევანდელი Homo Faber-ის გადმოსახედიდან, მაგრამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთი ფაქტი, როდესაც ეს უძველესი ტექსტები იქმნებოდა, მაშინ მემატიანეებს ღმერთი შთააგონებდა, თუ როგორ უნდა დაენახათ და აღეწერათ მოვლენები. რომ არა ღვთაებრივი ინსპირაცია, თხრობა მშრალი და ბანალური გამოვიდოდა. ამიტომ, თანამედროვე მკვლევარს (მკითხველს) შეუძლია ყურადღება არ მიაქციოს ძველი ხელნაწერების მისტიკურ მხარეს და მხოლოდ ფაქტობრივ მასალას დაეყრდნოს, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, ის ამით ბევრს დაჰკარგავს, ვერაფრით შეძლებს მთლიანი ობიექტური სურათის აღდგენას (აქ ერთგვარი პარადოქსი წარმოიქმნება: მეტისმეტი ობიექტურობით ობიექტურობა იზღუდება). ზემოთ მოტანილი ინკოგნიტო მკვლევარით სწორედ იმიტომ მოვიხიბლე, რომ იგი არასდროს ერიდებოდა ტექსტში სუბიექტური ელემენტის შეტანას. მართალია ამ მიდგომის ნაკლი თამამი დასკვნების გაკეთებაშია, მაგრამ განა არ ღირს? განა ორიგინალური აზრებისა და დასკვნების თამამად გამოხატვის გამო არ გვხიბლავს ფსიქოანალიზის ფუძემდებლის ნაშრომები? ვიღაცა იტყვის, ის ზუსტი მეცნიერება არც არისო. ისტორია?

ამ მსჯელობის შემდეგ ეჭვი გამიჩნდა, იქნებ ჩვენმა მკვლევარმაც იცოდა არსენ ბერის რამდენიმე წლის წინ აღმოჩენილი ზემოთ მოტანილი ფრაგმენტის შინაარსის შესახებ და აქ აღწერილი ეპიზოდის ძალით შთაგონებულმა სიცოცხლე... აშკარაა, ტექსტმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, ამას ადასტურებს აღელვებული წერის მანერა და მისი უგზოუკვლოდ გაუჩინარება. რთულია იმ ადამიანის ცხოვრება, რომელსაც მდიდარი წარმოსახვა აქვს.[2]

P. S. დასასრული (ჩემეული დასკვნა):

1. წმინდანის სახემ მხატვარი ჩიხში მოაქცია, რადგან სახის დამახსოვრება შეუძლებელია;

2. თხრობამ ჩვენი გაუჩინარებული მკვლევარი ჩიხში შეიყვანა, რადგან მოყოლა შეუძლებელია;

3. მიჯნურობამ ანტონი ჩიხში შეიყვანა, რადგან სიყვარული მოუხელთებელია;

4. ერთადერთი, ვინც სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით ჩიხიდან თავის დაღწევა შეძლო, მამა იოაკიმეა;

5. მე კი უმჯობესია აქ დავსვა წერტილი.

---

2. ანტონი დიდის მიერ დანერილი პოემის ფრაგმენტი ნაპოვნია. მისი ნაკითხვის შემდეგ, მივედი დასკვნამდე, რომ ფრაგმენტს მხოლოდ ირიბი მიმართება აქვს ჩვენს ტექსტთან და არ არის მასთან პირდაპირ და არსებით კავშირში, ამის გამო თანდართვა გადავიფიქრე. ეს არ იყო მარტივად მისაღები გადაწყვეტილება, რადგან ინტელექტუალური კეთილსინდისიერება და მკითხველისთვის მიცემული პირობა (თუ აღმოვაჩენ დავურთავ-მეთქი) მიბიძგებდა პოეტური ფრაგმენტის გამოქვეყნებისკენ, მაგრამ საბოლოოდ მაინც ძირითადი ტექსტის განვითარებისა და დასასრულის ლოგიკამ მიკარნახა რა უნდა მექნა... ესთეტიკის სასარგებლოდ თხრობის კანონების დარღვევა სახიფათოა, ტექსტში დარჩენა ჯობია. თუ ვინმეს მაინც დააინტერესებს აღმოჩენილი პოეტური ფრაგმენტი, მიმართოს ავტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი შერვაშიძე

# ცხოვრება ტკბილი...



ეროვნული ბიბლიოთეკა

- მამა, ხვალისთვის სკოლაში თემა მაქვს დასაწერი.

- მერე დაწერე.

- შენზე უნდა დავწერო.

- ჩემზე რატომ?

- რავი, ეგრე მითხრეს, მშობლებზე რამე დაწერეთო. ვინ არიან და როგორებიო?

- მერე დედაზე დაწერე.

- მე შენზე მინდა.

- ვაჰჰჰ... აქაც არ უნდა მომასვენოთ, რა. მიდი, ჰა, მითხარი, რა გინდა.

- მომიყევი შენზე. ოღონდ, სად მუშაობ და ეგეთები არა. აი, ის მომიყევი, სულ, სულ თავიდან...

- დაბადებიდან?

- ჰო, დაიწყე...

- მოკლედ, მე რომ დავიბადე, უკვე გვიანი ღამე იყო. დედაჩემს დიდხანს უწვალია. მისი კივილი, თურმე, მთელ კამოს ქუჩას ესმოდა. ბიძაჩემისგან ვიცი ეს ამბავი. როცა შეთვრება და ჩემ სადღეგრძელოს ამბობს, ყოველთვის ამ ისტორიას იხსენებს. ჰოდა, კიდევ იმას, რომ 2 ბოთლი შამპანური ძლივს იშოვნა. მაშინ მაგდენი მაღაზიები კი არ იყო?! და არც შამპანური იშოვებოდა აგრე ადვილად. თანაც ყველაფერი ადრე იკეტებოდა. კომუნიზმი იყო, რა... ახლა არ მკითხო, ეგ რა არისო? ამაზე სხვა დროს გიამბობ. ჰოდა, სად გავჩერდი? ა, ჰო, ნუ, მოკლედ, დავიბადე... რა თქმა უნდა, სახლში დიდი სუფრა გაშალეს. იმ დღეს არა, ალბათ, ერთ თვეში. ან ორში. შეიძლება, სამშიც. ფოტოები მაქვს ნანახი. მე სულ პატარა ვარ, "პილიონკებში" გახვეული. ბებო და ბაბუ კიდევ ძალიან ახალგაზრდები არიან. შენი ბებო და ბაბუ, თორემ ჩემები, მაშინაც ისეთები იყვნენ, როგორებიც სამუდამოდ დამამახსოვრდნენ... კარგი ხალხი იყო... რა მითხარი? ა, ჰო, იმ ფოტოზე სუფრაა გაშლილი. მთელი კამპანია სახეზეა. ამათი ამეგობრრო, "მუზეინიკები". მაგარი გადარეული და გიჟმაჟი სასტავი. უკრავენ, მღერიან, ვილაცა ხელში მათამაშებს ბურთივით... ერთ ფოტოში ამდენი როგორ ჩანს? მერე ვინ თქვა, რომ ერთია? შავ-თეთრი ფოტოების მთელი სერიაა, ნაშ... ძეობის აღნიშვნისას ერთ ფოტოს, აბა, ვინ დასჯერდებოდა?! სხვა, მრავალი ფოტოც არსებობს. ერთზე კიდევ, ეტყობა, ქეიფი უკვე მაგარი გახურებულია და "მუზეინიკებსაც" მაგარი აწყვეტილი აქვთ. დედაჩემი მაგიდაზეა აძვრალი, პირში ცერა და საჩვენებელი თითი უდევს და უსტვენს. რატომ უსტვენს? აბა, მე რა ვიცი, ალბათ, მელოდიას აჰყვა. აჯაზებს, რა... მამაჩემი კიდევ იქვე თავისთვის ზის, სრულიად ფხიზელი და გიტარას აჩხაკუნებს. სავარაუდოდ, "ბითლების" რამე "ვეშს" უკრავს. შეიძლება, "ჰეი ჯუდსაც", ან სხვა რამეს. ეგრევე ჩანს, იკითხება, რომ დედა მაგიდაზე სულ სხვა მელოდიამ აიყვანა. იმათ, სხვა დანარჩენთაც, მაგარი კმაყოფილი სახეები აქვთ. იგუდებიან სიცილისგან. ალბათ, "ტრულაილას ფული რად უნდა"-ს მღერიან, ხორხოცებენ. ადრე, აი, ეგეთი ქეიფები იცოდნენ. ეგეთი ტკბილი ცხოვრებაც ჰქონდათ. ჩემი მშობლებიც, აი, ეგეთი განსხვავებულები და მაინც ერთად არიან, დარჩნენ, შერჩნენ... აგერ უკვე 40 წელიცაა... ვატყობ, კიდევ უყვართ ერთმანეთი.

- მამა, შენ ბაღში არ დადიოდი?

- ბაღში არ დავდიოდი? დავდიოდი, აბა, რას ვშვრებოდი. აი, იქა, მუშთაიდთან ახლოს იყო ჩემი ბაღი. ერთხელ მამას კიდეც დავრჩი, დავავიწყდი. უფ, როგორ მწარედ მახსოვს ეგ ამბავი?! დედას ეგონა, რომ მამას უნდა გამოვეყვანე და იმას კიდევ პირიქით. მაშინ ეგრე კი არ იყო ეს მობილურები და ტელეფონები?! საღამოს, უკვე შებინდებისას, სახლში რომ დაბრუნდნენ, მაშინღა აღმოაჩინეს, ბაღში დამტოვეს. მახსოვს, იმდენი ვიჯღავლე, გავსკდი... მასწავლებელს რომ არ დაენახა, ტუალეტში გავდიოდი და იქ ვტიროდი. თან შემოსასვლელი კარიც იქ იყო. იმ დიდ შუშას ვეკვროდი სახით, ვტიროდი და გარეთ ვიცქირებოდი, ველოდი. ჰო, რა იყო, კარს დიდი შუშა რომ ჰქონდეს, გასაკვირია? თან ჩემი ცრემლისა და წვინტლისგან ძალიანაც დალაქავებული? გეცინება ხომ? ახლა მეც მეცინება. მაშინ კი არ მეცინებოდა. არა, კაცო, მარტო ცუდი როდი მახსოვს?! მახსოვს, ბებიჩემი მარო, მარიამი, მარუსა რომ მაკითხავდა ბაღში. შავი, ტყავის, დიდი, მრგვალსახელურიანი ჩანთა ჰქონდა. აი, იმ ჩანთის სუნი ახლაც კი მახსოვს... შიგ ყოველთვის წნევის გასაზომი აპარატი ედო და კიდევ საგზალი. ეგეთი აპარატი შენ ნანახი არ გექნება. შავი იყო და იშლებოდა. მეც ვიცოდი მაგის მოხმარება და ვუზომავდი კიდეც. მართალია, დიდი აზრი არ ჰქონდა, რადგან იმხელა წნევას ატარებდა, სულაც არ ეზომებოდა, მაგრამ მე მაინც მომწონდა ეს პროცესი. "გრუშას" დააკაჩავებდი, ფონენდოსკოპს ყურებში გაირჭობდი, წამოვიდოდა გულისცემა, ბაგაბუგი... მერე გახედავდი და მორბის წვრილ შუშაში ვერცხლისწყალი. სადაც გულისცემა ბოლოს დაარტყამდა, გულის წნევაც ეგ იყო. რა თქვი? კი, გაგაზომინებ, როცა გაიზრდები. უკვე დიდი ხარ? კარგი, მაშინ, როცა, მე მექნება შესაბამისი წნევა, მაშინ გავიზომოთ. ჰოდა, მომაკითხავდა ხოლმე ჩემი მარო ბებო საბავშვო ბაღში და მივყავდი მუშთაიდში. ერთს ჩამიკრავდა გულში და მაგისი მოფერებაც ეგ იყო. კოცნა არ იცოდა, არ მახსოვს ეკოცნოს. ჩამოვსხდებოდით სადმე, გრძელ სკამზე, შეიძლება ამფითეატრთანაც და გახსნიდა იმ თავის შავ ჩანთას. უჰ, რა სუნი ამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდებოდა ხოლმე იქიდან... ჭყინტი ყველისა და ვალერიანის წვეთების ერთდროულად... იქვე, გაზეთზევე, გაშლიდა პატარა სუფრას, გამხეთქავდა კიტრით, პომიდვრით და მერე მივყავდი სახლში. აი, ასე, გაზეთშივე ჰქონდა გახვეული ის კიტრიცა და ის პომიდორიც. დაამრობდა ჩანთიდან პატარა ჯაყვას, დანას, და ორთავეს გათლიდა, გაფცქვნიდა. კიტრს გრძლად, ოთხად გაჭრიდა და პომიდორს კი ორად. ხელსახოცში გამონასკვულ მარილსაც გააჩენდა, მოაყრიდა, ყველსაც დაჭრიდა, თონის პურსაც დატეხავდა და... მაგარი იყო მარო ბებო... დროც კარგი იყო და ცხოვრებაც ტკბილი... აი, კოცნა ხომ არ მახსოვს და, სითბო კიდევ იმდენი, რომ ულევი... ეგრე ყველას მართლა არ შეუძლია.

- მაააა, სპორტზეც დადიოდი?

- დავდიოდი, მაშ, აბა, როგორ?! დინამო სტადიონზე კალათბურთის სექცია იყო გახსნილი და იქ დავდიოდი. ძალიან მომწონდა. ახლა, ვარსკვლავებს არ ვწყვეტდი და იყვნენ ბიჭები, რომლებიც ჩემზე ბევრად უკეთაც თამაშობდნენ, თუმცა, ჩემ ჭიას ვახარებდი. ხან მამას დავყავდი და ხანაც ბებოს. ოღონდ, მეორე ბებოს, ლუდმილას, რომელსაც მოფერებით მილას ეძახდნენ. აი, ასე, რაღაცნაირად სიმაღლეზე იყენებდა ხოლმე წითლად შეღებილ თმას. პომადაც სულ ესვა, "პუდრიც". მე ბაბულიას ვეძახდი, ოღონდ, რუსული აქცენტით უნდა თქვა ეს სიტყვა, რათა ძალიან მკვახე არ გამოვიდეს. რატომ? თავადაც ნახევრად რუსი და ნახევრად გერმანელი იყო და იმიტომ. თანაც არც ეგ სიტყვაა ქართული. ისე ძალიან ინტელიგენტი ქალი კი იყო. სხვათა შორის, იმავე სკოლაში დადიოდა, რომელშიც მე, ოღონდ, მაშინ იქ ქალთა გიმნაზია იყო. ამას კიდევ, მილას, სულ "გუვერნანტკები" ზრდიდნენ. ეგენი ვინ არიან? ვინ არიან და აღმზრდელები. არა, ძიძა კი, არა, ისა... უფრო მასწავლებლებივით იყვნენ, რა. აი, თან ქცევასაც რომ ასწავლიდნენ, ხალხში თავის დაჭერას, მიხრა-მოხრას, დანა-ჩანგლის სწორედ ხმარებასა და ეგეთებს... რად უნდოდათ? შვილო, მაშინ სხვა დრო იყო, სხვა ეტიკეტი ჰქონდათ და ცხოვრების სიტკბოებაც სხვანაირად ესმოდათ. მოკლედ, კალათბურთზე ბაბულიას დავყავდი და ძირითადად ფეხით დავდიოდით. გზად ლექსებს მასწავლიდა, პუშკინს, ლერმონტოვს... ეგენი ვინ არიან? რუსი პოეტები. ხომ გითხარი, ნახევრად რუსი იყო და ქართულადაც არასდროს საუბრობდა-მეთქი. გერმანულად? არა, გერმანულადაც არ საუბრობდა. გერმანულად მხოლოდ დათვლა მასწავლა. „აინს, ცვაი, დრაი"... "ხენდე ხოხ" და "ეტა ტვოი გიტლერ"... მაშინ გერმანული არავის მოსწონდა. მაშინ იყო საბჭოთა კავშირი... ჰო, ჰო, მოკლედ გიტყვ ბევრს აღარ გავაგრძელებ... ჰოდა, თუ ნაწვიმარი დაგვიხვდებოდა, გზად გუბეები და რამე ეგრევე ჩვენი თამაშის თამაშს ვიწყებდით. ვითომ, გუბე ზღვა იყო და მშრალი ადგილი კი ხმელეთი, კონტინენტი... მეც გიჟივით დავხტოდ ამ კუნძულებსა თუ ნახევარკუნძულებზე და ბევრჯერ შიგ ოკეანეშიც კი მომიდენია ბრაგვანი. კი, მამასაც დავყავდი. არა, იქ არ დავუტოვებივარ. თუმცა, ერთხელ ჩანთაში შორტის ჩადება დაავიწყდა და იქ რომ მივედით, მაშინღა აღმოვაჩინეთ ეს ამბავი. რაღას იზამდა, აიჩეჩა მხრები და ტრუსით შედიო. მეც შევედი. ძალიან კი მცხვენოდა, მაგრამ ისე არ მინდოდა ვარჯიშის გაცდენა, დავიკიდე. ისე იმ ტრუსსა და იმ შორტს შორის, მგონი, დიდი სხვაობა ისედაც არ იყო. ორივე ისეთი მოფლაშული გახლდათ, ახტომისას კვერცხებიც კი მიჩანდა. შენ იცინი და მე კი მაშინ, იმ დღეს, სულაც არ მეცინებოდა. არადა, მახსოვს, ცხოვრებაში პირველად "ლიფსოთი" სწორედ მაგ დღეს ჩავაგდე. "ლიფსო" რაღაა? სროლაა, რა, ეგეთი, გვერდული. თან "ტრენერმაც" დაინახა და სექციის დირექტორმაც, ძველი კალათბურთელი იყო. ორივეს გურამი ერქვა. მამაჩემსაც... ყველას გაუკვირდა... და მე კიდევ მეცვა მოფლაშული ტრუსები და ახტომისას კვერცხები მიჩანდა.

- რა სასაცილო ხარ მამა... და შენ დროს სკოლა თუ იყო? უფრო სწორედ, როგორი იყო?

- მაიცა, შენ ახლა ამ ყველაფერს სადმე იწერ თუ იმახსოვრებ?

- ვიმახსოვრებ. მერე რაც ყველაზე საინტერესო იქნება, იმაზე დავწერ.

- მალადეც, ჭკვიანი ბავშვი ყოფილხარ. ის კვერცხების ამბავი, შეგიძლია, ეგრევე დაივიწყო. არაა აუცილებელი, შენმა ქართულის მასწავლებელმა ასეთი ნიუანსები იცოდეს. რაღაც მკითხე, მგონი?

- შენ დროს სკოლა როგორი იყო-მეთქი?

- ა, ჰო, გამახსენდა. სკოლა იყო სკოლა... მთელი საუკუნე ვისწავლე იმ სკოლაში. იქაურობა დიდად არ მიყვარდა, თუმცა მთელ დღის კი მაინც იქ, იმ გარემოში, ვატარებდი. ეგ სკოლა ჩვენი ქუჩის ბოლოს იყო და გაკვეთილები რომ დამთავრდებოდა, ფეხბურთის სათამაშო ისევ იქ გავრბოდით. ეზო ჩვენ არ გვქონდა და მოედანი. ამიტომაც, ისევ სკოლის სტადიონისკენ მიგვეჩქარებოდა. ან კი, პირდაპირ, დაირეკებოდა თუ არა ბოლო ზარი, დავყრიდით ჩანთებს და სულის შეხუთვამდე ვაგორავებდით ბურთს. აი, ნაღდი ტკბილი ცხოვრებაც მაშინ იყო, თუ იყო. რამდენჯერ სკოლის ფორმაც და ფეხსაცმელიც კი დამიხევია იმ სტადიონზე. არადა, ყველაფერი თითო წყვილი მქონდა. სიმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრით შეძენილი, ნაშოვნი... კაცო, რა, გამახსენდა და, დღეს ხომ ხუთშაბათია? კი, ნამდვილად ეგრეა. ესე იგი, გამოდის, რომ დღეს დიდი ხუთშაბათია და ხვალ კიდევ წითელი პარასკევი იქნება. ეგენი რა არის? მაიცა, შვილო, შენ რა, იმ სკოლაში მართლა საერთოდ არაფერს გასწავლიან? ახლა, ეს კვირა, არის ვნების კვირა. აღდგომის წინა კვირას ქვია ეგრე. ბზობა? არა, ბზობა სხვაა. ეგ წინა კვირა დღეს იყო. ჰოდა, სწორედ მაგ ბზობას შევიდა მაცხოვარი დიდებით იერუსალიმში და რომ დახვდა ის ხალხი დიდი ზეიმით, ტაშ-ფანდურით, მერე იმავ ხალხმა ხმა მისცა მაგის ჯვარცმას, აბა?! კი, ნაღდად ეგრე იყო. ბევრჯერ წარმოვიდგენ ხოლმე ვირზე შემჯდარი მაცხოვარი როგორ შედის იერუსალიმში. ულევი, ზღვა ხალხი ეგებება, გზად ფეხქვეშ უფენენ რაც ხელში მოხვდებათ და თაყვანსაც სცემენ, მის ნაფეხურებსაც კოცნიან. ის კიდევ, ზაქე, მეზვერე ზაქე, ტანად რომელიც პატარა იყო, წინ გაიქცა და ლეღვის ხეზე აძვრა, რათა მაცხოვარი თავისი თვალით ეხილა. დიდი ამბავი იყო მაშინ, თან მაცხოვარს უკვე ბრმისთვის თვალიც აეხილა და მთელი ქალაქიც ამ სასწაულის მღელვარებას მოეცვა. ეს ტანმორჩილი ზაქე კი, რომელიც მრავალს სტანჯავდა უსამართლო გადასახადების აკრეფით, ძლიერ განიმსჭვალა იესო ქრისტეს პიროვნებით, სიტყვით. სინანულშიც კი ჩავარდა. მათხოვრებისა და ბავშვების გუნდს შეერია, წინ გაიჭრა და ხეზე აძვრა, რათა იესო უკეთ ეხილა. ამხელა თანამდებობისა და პატივმოყვარეობის კაცი, მეზვერეთა უფროსი, აძვრა ხეზე... აბა, თქვი, როგორია? მერე კიდევ, მაცხოვრისთვის თავისი სიყვარული, სინანული და გულწრფელობა რომ დაემტკიცებინა, ქონების ნახევარი ღარიბებს დაურიგა და მეორე ნახევარით კი ნაწყენთ ოთხმაგად აუნაზღაურა დანაკლისი. მაცხოვარიც მიჰყვა, სახლში ესტუმრა და ყური არ ათხოვა ბოროტ ენებს, რომელნიც ამბობდნენ, ეგ როგორი მესიაა, მეზვერესთან სტუმრობს, პურსა ჭამს, ძმაკაცობსო? მაიცა, კაცო, ამ პურის ჭამაზე გამახსენდა, მგონი, რაღაც ამერია. დიდ ხუთშაბათს საიდუმლო სერობა გაიმართა და, აბა, მაშინ ზაქესთან როგორღა ისადილებდა? არა, ნამდვილად რაღაც ამერია. ზაქე, მგონი, იერიქონში იყო და საიდუმლო სერობა კიდევ იერუსალიმში. კი, ნამდვილად ეგრეა და სწორედ ამ სერობაზე იყო მოწაფეთა ფეხთბანა, ტრაპეზი და ზიარებაც. აქვე ამხილეს იუდაც. სწორედ აქ ითქვა, ერთერთი თქვენგანი, აქ შეკრებილთაგანი გასცემსო. რა თქმა უნდა, ყველამ იუარა. იუდამაც... თავი გააქნია, ეგ მე არ ვიქნები, უეჭველი სხვა ვინმე არისო... არადა, უკვე გაყიდული ჰყავდა. იცი, რა მითხარი? და რა მკითხე, შვილო? სკოლაო? უი, გამახსენდა, შენ სკოლაზე მეკითხები და მე კიდევ სად წავედი?! გამექცევა ხოლმე ეს ოხერი აზრები. ეჰ, ტკბილია ცხოვრება, სიბერეა მწარე...

- მამა, შენ ჯერ არ ხარ მოხუცი. ეგრე რატომ იძახი?

- ვიცი, ისე, სიტყვას მოვაყოლე, თორემ იმდენი ჯანი კიდევ შემწევს, სულ ყველაფერი შეგისრულო, რაც კი მოგინდება და რასაც რომ ინატრებ.

- მაშინ მიამბე შენ თავზე. აი, როცა პატარა ბიჭი იყავი...

- გიამბობ, აბა, რას ვიზამ. ისევ სკოლაზე გინდა? კარგი, მაშინ მისმინე... და არაფერი რომ არ მაგონდება, რა ვქნა? თუმცა, მოიცა, აი, რაღაც მოგონება წამოვიდა, დაიძრა. სკოლა, შენობა, მის წინ დანთებული ცეცხლი, მგონი, კაბელია გახეთქილი, მე-9 ფიდერი უნდა იყოს. არა, ეს სხვაა... სხვა ცეცხლია... ეს, ეს ჭიაკოკონაა, სკოლის წინ რომ გაგვიმართავს. დიახ, ნამდვილად ეგრეა. იცი, რა არის ჭიაკოკონა? ეეე, აზრზე არა ხარ?! ძალიან მაგარი რამეა. სწორედ ამ დღეს, დიდ ხუთშაბათს, ვმართავდით ხოლმე ჭიაკოკონას. ინთებოდა დიდი, უშველებელი ცეცხლი და ვიკრიბებოდი ხოლმე სულ, სულ ყველანი. დიდიცა და პატარა ბავშვებიც. ვნვავდით საბურავებსა და ძველ ავეჯს. მერე კი, როცა ალი ცოტა განელდებოდა, ამ ცეცხლზე ხტომას ვიწყებდით. ჰო, ეგრე, რა, გავექანებოდით და ამ ცეცხლს ზედ ვახტებოდით. რატომ? რაღა რატომ, მთელი მულამიც ეგ იყო და იმიტომ. ვინც უფრო მაღალ ცეცლხს გადაახტებოდა, ყველაზე ყოჩაღიც ის გამოდიოდა. თან ერთგვარი რიტუალიც გახლდათ. ტრაკიდან ეშმაკების განდევნის რიტუალი. ნუ, მარტო ტრაკიდან არა, სხვა ბნელი ხვრელებიდანაც. კარგი, ჰო, ნუ მიყურებ ეგრე, აღარ ვიტყვი ცუდ სიტყვებს. ისე კი, ეს რიტუალი, მართლა ეშმაკების განდევნას უკავშირდებოდა. ,,არული კუდიანებსაო", დასჭყივლებდა ხოლმე ერთი ჩემი მეზობელი და იმხელა ცეცხლში შერბოდა, მეხანძრეც ვერ გაბედავდა შესვლას. მაგარს ვილხენდით, ვცეკვავდით, ვმღეროდით, ვთამაშობდით და ჩუმ-ჩუმად ერთმანეთს კიდეც ვეხუტებოდით. კი, იყო ეგეთი ამბებიც, ცხოვრებაც მეტად ტკბილად მიედინებოდა და მოგონებებიც მეტად მსუყე, მწიფე იყო. მერე ერთხელაც, ისე მოხდა, რომ ცეცხლზე გადასახტომად მე ერთი მხრიდან გავექანე და იქიდან, მეორე მხრიდან, კიდევ სწორედ ის გოგო გამოექანა, რომელსაც ვეპრანჭებოდი. შიგ კოცონის შუაგულში შევხვდით ერთმანეთს. აი, ეგრე, ჯიხვებივით, თავებით შევასკდით... მე გვერდზე გადავვარდი და ის კიდევ შიგ ცეცხლში არ ჩავარდა?! ატყდა ერთი წივილ-კივილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწყალი გოგო სულ შეიტრუსა. იქიდან რომ გამოიყვანეს, აღარც წარბი ეტყობოდა და აღარც წამწამი. ჩემზე იყო მერე ძალიან გაბრაზებული. მგონი, მთელი წელიც არ მელაპარაკებოდა. არადა, მე რა შუაში ვიყავი? სიმართლე გითხრა, დიდად აღარც მე დამწყვეტია გული. ეგეთი, უწარბო და უწამწამო, საერთოდაც აღარ მომწონდა. ოღონდ, ეგ მერე იყო და მანამდე, იმ დღეს, როცა ყველა მე მეჩხუბა და იმისი შეტრუსვაც მე დამბრალდა, გვიან ღამით, ისევ იმ ცეცხლათან დავბრუნდი. უკვე ჩამწვართან, დანახშირებულთან და ცხელ გულზე, მეტი რომ ვერაფერი მოვიფიქრე, სკოლის ფანჯრებს ქვები დავუშინე. მოდიოდა მინები წივილ-კივილით და ეცემოდა დაბლა ხმით ძლიერითა... არ ვიცი, რამ გადამრია, მაგრამ სკოლის მინების ნახევარი კი ჩამოვილე იმ ღამით. მერე მაგრად ვინანე. ჩემი საკლასო ოთახის მინებიც მიმიყოლებია. მთელი კვირა "უშუშო" კლასში ვიჯექი, ვიყინებოდი და ისევ ყველა მე მლანძღავდა, მაგინებდა. უფრო სწორედ, ვინც ეს მინები ჩალეწა, ჩაამსხვრია, მე იმის ასე და ისეო, ერთხმად გაიძახოდნენ. მე კიდევ ვიჯექი პირში წყალჩაგუბებული და ვლოცულობდი, არავინ მიმხვდარიყო ჩემს მრუდე საქმეს. ცემაში მომკლავდნენ ის ოჯახქორები. დიდებიცა და პატარებიც. განსაკუთრებით კი ისტორიის მასწავლებელი, რადგან სწორედ მაგ დროს დაემართა შარდის ბუშტის ანთება თუ ცისტიტი.

- მამა, სკოლა...

- მკლავს ეს ქარიანი ამინდი. მთელ ენერგიას მაცლის. ეს ვნების კვირა კიდევ საერთოდ მახელებს. ამ კვირაში ხომ ისეთი ამბები ტრიალებს, ხდება, რომ საუცხოო, გასაოცარი... ახლა დღეს ხომ საიდუმლო სერობა და პირველი ზიარება იყო?! მერე ხვალიდან კიდევ ისეთი დღეები მოდის, რომ სულ უფრო ძლიერ ამაფორიაქებელი. მოიცა, რაო, სკოლაო? სკოლაზე მკითხე, ხომ? კი, სკოლაში მართლაც დავდიოდი. თანაც ორშიც. ერთში იქ, სადაც უფრო ადრე ბებიაჩემი მილა დადიოდა და მერე კიდევ ღამისაშიც. უფრო სწორედ, საღამოს სკოლაში. მგონი, მართლა ეგრე ერქვა - საღამოს სკოლა. მსგავსი უბადრუკი რამე არაფერი გენახოს. ჯერ მარტო შენობა რად ღირდა? დიდუბეში იყო, კლასიდან კლასში შედიოდა და შუშაბანდი კიდევ საერთოდაც ხელით ეჭირათ. ჰო, ზუსტად ეგრე, კოლონებზე რომ დაკუნთული კაცების ბარელიეფია. მოსაფსამად რომ გასულიყავი, სამი საკლასო ოთახი უნდა გაგევლო და, შეიძლება, თავი სამასწავლებლოშიც კი ამოგეყო. ჯობდა, ბოლომდე, ბოლო ამოსუნთქვამდე გეთმინა, ვიდრე, მთელ სკოლას, თავისი დღისა და საღამოს განყოფილებით, გაეგო, რომ მოსაფსამად გახვედი. ამ გასვლაზე გამახსენდა, იცი, სწორედ სერობის შემდგომ რომ გავიდა მაცხოვარი გეთსემანიის ბაღში მოსალოცად და რომაელმა ჯარისკაცებმაც იქ შეიპყრეს? იქ იყო იუდას განთქმული კოცნაც და მღვდელ-მოძღვარის მონისგან ყურის დაკარგვის ამბავიც... და იესოს განთქმული სიტყვებიც: „მიაქციე მახვილი ადგილსავე თვისსა, რამეთუ ყოველთა რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითა წარწყმდენ"... ცხოვრებაც, ტკბილიც და მშვიდიც, სწორედ მანდ, დიდ ხუთშაბათს, გეთსემანიის ბაღში დასრულდა და მაცხოვარიც უმალ მიატოვეს მისმა მოწაფეთა, გაიქცნენ.

- მამა, რა დავწერო? ველარაფერი გავიგე?

- გახსოვს უწინდელი ცხოვრება, დრო, სანამ ეს საგიჟეთი დაიწყებოდა?

- დიახ, ყველაფერი მახსოვს.

- მაიცა, ჩაიდანს დავადგამ და ახლავე მოვალ.

- მამა...

- ზუსტად ორ წუთში დავბრუნდები. არსად წახვიდე.

* * *

ჩაიდანში წყალი დუღს. ეს შობელძაღლი დამდუღრულივით კივის, არ ჩერდება. მივდივარ და გაზქურას ვაქრობ, ვრთავ. ჩაის ვიკეთებ და ოთახში ვბრუნდები. სავარძელში მოხერხებულად ვთავსდები და კაქტუსის უშველებელ ბუჩქს ვუცქერ. მგონი, ცერეუსის ჯიშისაა. კი, ზუსტად მახსოვს, ეგაა. მერე ისიც მახსენდება, რომ ცოლი არა მყავს. არც არასდროს მყოლია. შესაბამისად, არც შვილი მყავს, არც არასდროს მყოლია. აბა, წეღან ნეტავ, ვის ვესაუბრებოდი? მერე მახსენდება ჩემი ფსიქოლოგის რჩევა, რომ არ დავურეკო იმ შემთხვევაში, თუ საკუთარ თავს ვესაუბრები. არც მაშინ, თუ უსულო საგნებთან გავმართავ ლექციას, მონოლოგს. მხოლოდ მაშინ უნდა დავუკავშირდე, როცა ისინი, უსულო საგნები, პასუხს გამცემენ. მგონი, დროა ჩემს ფსიქოლოგს დავუკავშირდე. კი, ნამდვილად, ასეა. საგანგებო მდგომარეობაც კიდევ 1 თვით გაახანგრძლივეს. ასევე კომენდანტის საათიც... სახლიდანაც უკვე საერთოდ აღარ გავდივარ. ყველაფერი მოაქვთ, ურთიერთობის გარდა. მარტოობა ისევ მარტოობად რჩება. იმედია, ძველი დროცა და ტკბილი ცხოვრებაც როდესმე დაბრუნდება. ნეტავ, სად დავიწერე იმ ოხერი ფსიქოლოგის ტელეფონის ნომერი?

- მამა, აგერ, დენის ქვითარზე არ მიაწერე „კორონა"?

- რა გულმავიწყი ვარ?! შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა?! ჰოდა, სად გავჩერდით, რას გიყვებოდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ ზაზანაშვილი

# თამაში და მელანქოლია



2011 წელს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ყოველწლიურ გამოცემაში "კრიტიკა" (6) გამოქვეყნდა ჩემი წერილი "წინადღეს", რომელიც ვახტანგ ჯავახაძის შემოქმედების ადრეულ პერიოდს ეძღვნება. ამ წერილში აღნიშნულია, რომ ჩვენში "პერიოდებიანი" პოეტი (თუ იძულებითი სოცრეალიზმის პერიოდს გამოვრიცხავთ) ძალიან ცოტაა და ერთი მათგანი სწორედ ვახტანგ ჯავახაძეა: "ეგზისტენციური" პერიოდის შემდეგ ის პოსტმოდერნიზმის გზას გაუყვა.

ეს ჩემამდეც ჰქონდათ შემჩნეული მწერლებს - აი, რას ამბობს დავით წერედიანი: ვახტანგ ჯავახაძის პირველი პერიოდის ლექსი - "ერთ მოულოდნელ პოეტურ იდეაზე ასხმული ფაქიზი, ცოცხალი, ლირიკული ხვეული, რთული და ამავე დროს გამჭვირვალედ სადა" - თითქოსდა ასევე უნდა გაგრძელებულიყო, "მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს პოეტმა ეს გზა დასრულებულად ჩათვალა, (...) თავის ძირითად სათქმელად კი აქცია ლექსი-თამაში". ამის გამო ცოტათი გული დამწყდა, მაგრამ როდესაც ახალი ლექსები წიგნად შეკრული ენახე, სულ სხვა სურათი წარმომიდგაო: "ხალისიან, თითქმის უდარდელ ტონს მიღმა, სიტყვებისა და სტრიქონების თითქმის ჯამბაზურ ილეთებს მიღმა, როგორ მკაფიოდ ასახულიყო ჩვენი ყოფის აბსურდულობა, უმწეობა, ტრაგიზმი, თანაც ერთი ლირიკული წამოკვნესების გარეშე!" (ერთტომეული "ვახტანგური", გამომც. საარი, 2012).

ახლა, მოდით, პოეტის მეორე - "ლექსი-თამაშის", იმავე პოსტმოდერნისტულ პერიოდზე გავამახვილოთ ყურადღება. ზოგადად პოსტმოდერნიზმზე ტარიელ ჭანტურიას პოეზიისადმი მიძღვნილ წერილში ვისაუბრე ("არილი" 8, 2018) და ამას აღარ გავიმეორებ და არც ვახტანგ ჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახაძის მეორე პერიოდის პოსტმოდერნულობის დასაბუთებას დავუთმობ საჟურნალო სივრცეს - ეს ჩემამდე გააკეთეს ჩვენმა ლიტერატურათმცოდნეებმა; აი, მაგალითად, რას წერს ლევან ბრეგაძე ნარკვევში "პოსტსაბჭოური კულტურის სივრცე და ლიტერატურული პროცესი" (კრიტიკა 1, 2005): "გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან პოსტმოდერნისტულ პოეტურ ტექსტებს (კოლაჟებს, დეკონსტრუქციებს და სხვ.) უხვად ქმნის ვახტანგ ჯავახაძე. მის გამომგონებლობას ამ სფეროში არა აქვს საზღვარი, უამრავ ნაცად თუ ორიგინალურ პოსტმოდერნისტულ ხერხს ვხვდებით მის ლექსებში." ლევან ბრეგაძეს უფრო ადრეც აქვს ეს აზრი სხვა წერილში სხვა სიტყვებით გამოთქმული. მე მხოლოდ ერთ კომენტარს დავურთავდი ამას. ჟურნალ "არილში" გამოქვეყნებულ ზემოთ ნახსენებ წერილში ნათქვამია, რომ ჭანტურია თავიდანვე პოსტმოდერნისტი იყო, ოღონდ ეს ალბათ თვითონაც არ ჰქონდა გაცნობიერებული. ჯავახაძეც ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, რომ მისთვის სულერთია, როგორ "აკლასიფიცირებენ" მკვლევარები მის პოეზიას: პოეტი, ფაქტობრივად, ინტუიციურად გაჰყვა ამ ახალ გზას...

ჩემი განცდით, აი, რა მოხდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პოეტურ პროცესში. კიდევ ერთი ციტატა ლევან ბრეგაძიდან: "სამოცდაათიანი წლების შუა ხანებში პოსტმოდერნიზმი ქართულ მწერლობაში ერთ მძლავრ სტილურ ნაკადად ჩამოყალიბდა" ("სჯანი" 1, 2000). და ალბათ სწორედ სამოცდაათიანი წლები უნდა მივიჩნიოთ გარდატეხის პერიოდად პოეტურ პროცესშიც. ამ დროს (ან ცოტათი უფრო ადრე) რამდენიმე გამორჩეულმა პოეტმა გუმანით იგრძნო, რომ გვიანდელი მოდერნიზმის ხანა საქართველოშიც დასასრულს მიუახლოვდა - მან, ერთი მხრივ, მიაღწია თავის მწვერვალს, მაგალითად, ოთარ ჭილაძის შემოქმედებაში (ამ მხრივ, ჩემი აზრით, ერთგვარი ნიშანსვეტია ლექსების წიგნი "გულის მეორე მხარე", 1974); ხოლო მეორე მხრივ, გვიანდელი მოდერნიზმი არასაკმარისად პროტესტულია, ზედმეტად ესთეტიკური თუ აკადემიურია მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულების მშფოთვარე მსოფლიოსა და ლპობადი საბჭოეთის კონტექსტისათვის; საჭიროა რალაც ახალი გზების მონახვა და სწორედ ამ ინტუიციურ, სპონტანურ ძიებაში იკვეთება პოეტი-ნოვატორების - და უპირველესად ჯავახაძისა და ჭანტურიას - ახლებული ესთეტიკური იდეოლოგია და შესაბამისი პოეტიკა.

წინათ მათ ხშირად აწყვილებდნენ და ქართულ პოეზიაში ეგრეთ წოდებული ირონიულ-პაროდიული ნაკადის (არსებითად, პოსტმოდერნის) დამაარსებლებად მიიჩნევდნენ და ეს ასეცაა.თუკი მათ "პოეტიკებს" შევადარებთ ერთმანეთს, ბევრ მსგავსებას ვიპოვით, თუმცა განსხვავებაც ბევრია და, ჩემი შეხედულებით, ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი განსხვავება ისაა, რომ ჭანტურია თავიდანვე რადიკალური თუ ექსტრემალურია; ჯავახაძე კი "ეგზისტენციური" პერიოდიდან პოსტმოდერნზე თანდათან გადადის და მის ლექსებში პირველი პერიოდის ოდნავ მელანქოლიური კვალი ბოლომდე მაინც არ ქრება... და შესაძლოა, ამის ყველაზე მკაფიო მაგალითი იყოს, უკანასკნელ დროს შექმნილი, ქართული პოეზიის შედევრი "ელეგია: ყელსაბამი", თავისი ანაქრონული ელემენტით - რეფრენით: "*გირეკავენ და სახლში არა ხარ და არამარტო სახლში არა ხარ*"... ჯავახაძის პოეზიის ამ ზოგად მახასიათებელზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ.

ვახტანგ ჯავახაძე ადრევე დაოსტატდა (ესეც შეამჩნიეს მკვლევარებმა), რაც -ცნობილია, რომ გამორჩეული ნიჭის ერთ-ერთი გამოხატულებაა: და პოეტი ზედმიწევნით ზუსტად გრძნობს თავისი ლექსის ნიუანსებს, მათ შორის თამაშისა და მელანქოლიურობის, მაჟორის და მინორის შერწყმასაც და იმასაც, რომ დროა, ესთეტიზმი ცოტათი გვერდზე გადგეს და"სიცილსაც" დაუთმოს ადგილი: ამ თვალსაზრისით 1987 წელს შექმნილი ეს ლექსი ("ირონიულ-პაროდიული") "საპროგრამოდაც" შეიძლება ჩაითვალოს -

*უკვდავების გარანტია:*
*მაჟორს მოსდევს მინორი!*
*პაროდია პარადია,*
*ირონია - მირონი.*
*დაუდგებათ დრო და დრონი*
*ნილბებიან განძინებს,*
*ატომმა და ნეიტრონმა*
*თუ ვერ გადაგვარჩინეს,*
*და სიცილი გადაარჩენს*
*ჩვენს ცოდვიან გვარ-ჯილაგს,*
*თუკი სილამაზემაც*
*ველარ გადაგვარჩინა.*

* * *

ზემოთ ნახსენებ 480-გვერდიან "ვახტანგურს" "წინასიტყვაობის მაგიერ" წამძღვარებული აქვს ცნობილი ქართველი ლიტერატურათმცოდნეებისა და პოეტების "მინი-რეცენზიები", რომელთაგან ერთ-ერთი ზემოთ უკვე ვახსენეთ. მათ შორისაა ტარიელ ჭანტურიას მოკლე ჩანაწერიც, რომელიც ასე მთავრდება: "რაც შეეხება საკუთრივ ირონიულ-პაროდიულ ნაკადს, ამ თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო და ჯეროვნად შეუფასებელი პოეტი ერთია ჩვენში ამჟამად: ვახტანგ ჯავახაძე." ძნელი სათქმელია, ზუსტად რას გულისხმობს ტარიელ ჭან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურია, მაგრამ თუკი ლიტერატურულ შეფასებაზეა საუბარი, თავს უფლებას მივცემ, ნაწილობრივ არ დავეთანხმო ბატონ ტარიელს: შესაძლოა, მართლაც აკლდა ჯავახაძის პოეზიას კვლევა, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ის ლიტერატურულმა კრიტიკამ მთლად უყურადღებოდ დატოვა: მას არაერთი წერილი მიეძღვნა და არა მხოლოდ 21-ე საუკუნეში, არამედ ადრეც, საბჭოთა პერიოდშიც (2019 წელს კი ჯავახაძის პოეზიაზე სამაგისტრო ნაშრომიც შეიქმნა: ავტორი - ელენე ღვინეფაძე, ხელმძღვანელი - თამარ პაიჭაძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

ლიტერატურათმცოდნეებმა თავიდანვე შეამჩნიეს ვახტანგ ჯავახაძის "თამაშისადმი მიდრეკილება" და შესაბამისი პოეტიკური ფორმების სიუხვე. თუმცა, ამ გარემოებასაც მცირე დაზუსტება ესაჭიროება: მოგეხსენებათ, რომ იოხან ჰიოიზინგა თამაშს საერთოდ ადამიანის არსის განმსაზღვრელ თვისებად მიიჩნევდა - მისი აზრით, ადამიანი არის "მოთამაშე ადამიანი" (Homo ludens) და თამაში კულტურის ნაყოფი კი არ არის, არამედ მისი საფუძველია. კულტურის სხვა არაერთი მკვლევარი თუ ფილოსოფოსი ხელოვნებასთან მიმართებით იგივეს ამბობს. ამიტომ იმის კონსტატაცია, რომ ვახტანგ ჯავახაძის თუ სხვა პოეტის შემოქმედებაში თამაში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს - ბევრს არაფერს ნიშნავს. ჩემი აზრით, ჯავახაძის პოეზიასთან მიმართებით სხვანაირად უნდა ითქვას: თამაში მისი ლექსის პოეტიკური საფუძველია, ვახტანგ ჯავახაძის მთელი მეორე პერიოდი თამაშზე დგას - ირონიასთან, სატირასთან და გროტესკთან შერწყმულ თამაშზე და ეს ჰიოიზინგას იმ განსაზღვრებასთან შეიძლება დავაკავშიროთ, სადაც ფილოსოფოსი თამაშზე, როგორც თავისუფალ ქმედებაზე საუბრობს.

ჯავახაძის პოეტიკური ფორმებიც გაანალიზებულია ჩვენი მკვლევარების მიერ: მის "სათამაშოების ყუთშია" ისეთი ფორმები, როგორიცაა - გამოცანა, ბავშვური გათვლა, ენის გასატეხი, ზღაპარი, ანდაზა, ხალხური თქმა, ზოგადად იდიომატიკა და სხვ. და ასეთი ლექსები ხშირად აწყობილია - ჯავახაძის პოეზიისათვის ასევე ზოგადად დამახასიათებელ - სიტყვებით თამაშზე, ახლებურ (თუ ალორძინებულ ძველებურ) რითმებზე, ალიტერაციებსა და სხვა მსგავს ელემენტებზე - მაგალითად, წავიკითხოთ ბოლო დროინდელი "მაჯამა - მარაო": *"მსურს მკათათვის მარაო / მოვიწარამარაო, / მწიფობისთვის ნიავი / ვიდრე მეტყვის: კმარაო!"* (2019); უფრო ადრინდელი ("სოფელი გამახსენდა"): *"მახსოვს ჩიტების ჩაჭიკჭიკება, / მახსოვს ტაჭკების ჩაჩიქჩიქება, / მახსოვს სეფა და შუში ღვინო და / ჩაის ჭიქების ჩაჭიქჭიქება."* (2008); ძველი ლექსებიდან - *"აჟღურტულდა, აჟღურტულდა ბეღურა, / წამოიწყო ძველი ხასანბეგურა. / გაიხსენა ძველი ხასანბეგურა, / დაივიწყა ვალები და ბეგარა. / დაივიწყა ვალები და ბეგარა, / დაივიწყა ბაწარი და ბაგირი (...)"*; ისევ ძველები - სარითმო მოლოდინის გაცრუებაზე და "უკულმა-ანდაზებზე" თუ უკულმა-ხალხურ იდიომებზეაწყობილი: *"რაც უნდა იჩალიჩო, / რაც უნდა იბობოქრო, / მაინც იელვებს თმაში / თითო-ოროლა... ვერცხლი (...)"*; ან: *"ყველაფერი შეიცვალა, შენ ხარ ჩემი ბატონი, / კოკამ წყალი მოიტანა, ძაღლმა იცნო პატრონი."* პოეტი საკუთარ ასაკსაც კი "ეთამაშება" (ლექსიდან "დღეს შემისრულდა ოთხმოცდასამი..."): *"მსაჯულმა შემომიტია (მე ვისმენდი და ვითმენდი): / რისი ოთხმოცდასამიო: ასს გამოვაკლოთ ჩვიდმეტი! / (...) / ხვალ ანას წიგნი დამიცავს, ხვალზევ - მურმანის წიგნები, / გაისად ასს გამოვაკლოთ თექვსმეტი წლისა ვიქნები."*

სიტყვებით თამაში უკიდურესობამდეა მიყვანილი 2006 წელს შექმნილ 12-მონაკვეთიან ციკლში "დანაღმული რითმები". აქ თვითონ ამ თამაშზე არანაკლებ საინტერესოა ციკლის ეპიგრაფი: *"მესამე ლექსი კარგია"*... შ ო თ ა  რ უ ს - თ ა ვ ე ლ ი ; გასაგებია, რომ საუბარია "სალაღობო, ამხანაგთა სათრეველ" ლექსზე... და მე მგონია, რომ ესეც ჯავახაძის პოეტურ კრედოზე მიანიშნებს - ლექსმა კიდეც უნდა გაართოს მკითხველი, გასართობ ლექსში ცუდი არაფერია... მხოლოდ ერთს დავამატებდი ამას: თუკი ასეთი ლექსი ნიჭიერი და დაოსტატებული პოეტის ხელიდანაა გამოსული.

თვითირონიული ინტონაცია მსჭვალავს ჯავახაძის მთელ შემოქმედებას და ამსუბუქებს მას: *"თუ მომატყუეს თვალმა და ყურმა, / კვლავ უნდა ჩავრგო წიგნებში ცხვირი, / მე კარგად ვიცი, რა არის ხურმა, / მაშასადამე არა ვარ ვირი."*

ის ქმნის უჩვეულო, ახლებურ რიტმებს, მაგალითად, ერთსა და იმავე ლექსში კავშირების ხშირი ფუნქციური გამოყენებით - *"ატმებთან და / ნუშებთან და / წყაროსთან და / ნაკადულთან / გათენდა და / გაბრწყინდა და / გამწვანდა და / გაზაფხულდა."*

ვახტანგ ჯავახაძემ, ასევე "თამაშ-თამაშ", აალორძინა ქართულ პოეზიაში გრაფიკული ლექსი, რომელიც, თუ სწორად მახსოვს, აპოლინერის გამოგონება თუ არა, მის მიერაა თავის დროს მოდერნისტულ-ავანგარდისტულ პოეზიაში შემოტანილი, რითაც ჩვენში ფუტურისტები და ფუტურისტულ პოეტიკაზე მდგარი ადრეული ალიო მირცხულავა "სცოდავდნენ". ჯავახაძის გრაფიკული პოეზიიდან შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად (კრებულიდან "მეშვიდე", გამომც. მერანი, 1974) - "გზადაგზა", "პირამიდა",

"კიბე", "აღმართი და დაღმართი", "ქარწვიმა"; გავიხსენოთ, ასევე, "ავტოპორტრეტი", შუა დატოვებული, ვახტანგ ჯავახაძის სახის ოვალს მიმსგავსებული, ცარიელი სივრცით - რომლითაც იხსნება ერთ-ერთი სხვა კრებული ("მარტი აპრილი მაისი", გამომც. მერანი, 1977) და სხვ. ამავე რიგს ეკუთვნის ძალიან საინტერესო სერია "აცაბაცა" (ნახატი პალინდრომები).

ტარიელ ჭანტურიასადმი მიძღვნილ წერილში იმასაც ვწერდი, რომ "პაროდიული" მთლად ზუსტი განსაზღვრება არ არის და ეს ვახტანგ ჯავახაძის ლექსსაც ეხება: მათთან მიმართებით პაროდიაზე, პაროდიულობაზე, პაროდირებაზე მხოლოდ იმავე ირონიულობის (ფართო გაგებით) "ქოლგის ქვეშ" შეიძლება ვისაუბროთ, მაგალითად, რომელსამე ძველი ტექსტისადმი თუ "პერსონაჟისადმი" ირონიულ დამოკიდებულებაზე, მის პაროდირებაზე თუ პოეტურ დეკონსტრუქციაზე; ხოლო რასაც საბჭოთა კრიტიკა და ფართო მკითხველი გულისხმობდა და გულისხმობს - ეს უფრო სატირაა, ხშირად გროტესკამდე, კარიკატურულობამდე მიყვანილი სატირა. ჯავახაძეს, სოციალურ-პოლიტიკური დისკურსით, ბევრი ასეთი დასამახსოვრებელი ლექსი აქვს შექმნილი და ამ თვალსაზრისით ის, ჩემი განცდით, ილიას და აკაკის უშუალო მემკვიდრეა (ამ კონტექსტში შეიძლება გავიხსენოთ საინტერესო და ნიშნეული ლექსი "აკაკი", სადაც აკაკი მხოლოდ სათაურშია ნახსენები, ლექსი კი მისი სახელის მოლოდინზეა აწყობილი - "ილია და..."):"*არ დაელია ლუარსაბების / ქვეყანას პურის ჭამის საბაბი. / უცხოვრია თუ უარსებია - / ყველა ქართველი ლუარსაბია.*"; პოეტი ადრეც მაინცდამაინც არ ერიდებოდა და არც ახლა ერიდება ძლიერთ ამა ქვეყნისა, სკამის და ფულის მოყვარულებს: "*ესე პარლამენტარი ქუჩაშიაც ნავლია, / და ქუჩაში არა მარტო მიკროფონი აკლია. / უცებ - უმიკროფონო! - შიშველია! შიშველი! - / არაფერი ეშველება, ისემც ღმერთი გვიშველის!*"

ამ ყაიდის ლექსებში ლექსიკაც შესაფერისია: პოეტი ხშირად იყენებს სლენგს და ხანდახან არც უწმაწურ სიტყვებს თუ მინიშნებებს უფრთხის.

ზემოთ გაკვრით აღინიშნა, რომ პოეტი ქმნის ახლებურ რითმებს; თუ დავაზუსტებთ - ჯავახაძე რითმიანი ლექსის ერთგული და დიდი ოსტატია: "*ნეტავ რამდენს აიწონის წყვილი ასეთნაირი: / ათი ტონა ვერლიბრი და ათი ტონა შაირი? / შედარება დავაწყვილე შეჯიბრებისნაირი: / ასი ტონა ვერლიბრი თუ ასი ტონა შაირი? / აბაზი და შაური და იორი და შაორი: / ვერლიბრი და ვერლიბრი თუ შაირი და შაირი? / უნებლიეთ გამახსენდა ხელაშვილი მიხა და / მე შაირი არ მინდოდა, მე შაირი მიყვარდა.*"

თუკი პოეტურ "ხატწერაზეც" ვიტყვით ორიოდ სიტყვას - ჯავახაძის პოეზიისათვის არ არის დამახასიათებელი ტროპების თუ ტრადიციული გაგებით მეტაფორების სიუხვე (და ესეც პოსტმოდერნულობის ნიშანია). მისი ლექსისთვის მეტად დამახასიათებელია "შენიღბული", არა თვალშისაცემი პოეტური სახე, ისეთი, როგორსაც ეს ძველი რამდენიმე სტრიქონი ქმნის ("მეზობლები"):

რწყავენ პალმებს და კაქტუსებს,
მშვიდად ცხოვრობენ ასე:
ზოგი -
მეშვიდე სართულზე,
ზოგი -
მეშვიდე ცაზე.

* * *

პოეტიკური ფორმები, ხერხები, ელემენტები, რაც წინა მონაკვეთში მოკლედ მიმოვიხილეთ, კარგადაა ცნობილი, ხოლო ის, რაც ნაწილობრივ თავში მივანიშნეთ და რასაც ახლა განვიხილავთ - შედარებით ნაკლებადაა გაშუქებული.

ვახტანგ ჯავახაძე თავის ლექსებში სხვა ჩვენს პოეტებზე გაცილებით ხშირად, შეიძლება ითქვას - რეგულარულად, იყენებს რიცხვებს თუ ციფრებს (რაც ზემოთ ციტირებულ ლექსებშიც იგრძნობა): "*მერვე კვარტლის მეცხრე კორპუსის / მეცხრამეტე ბინა / მეოცეზე ორჯერ მეტად / გაენათებინა*"; "*გზის ნაპირას, კაკლის ჩრდილში, / იდგა ოთხი სკამი / (არასოდეს არ ყოფილა / ორჯერ ორი - სამი). / ჩრდილში მგზავრმა შეისვენა / მხოლოდ ოთხი წუთით / (არასოდეს არ ყოფილა / ორჯერ ორი - ხუთი)*"; "*მეორემ უთხრა მესამეს, - / შენ გჯობიაო მეშვიდე*" და სხვა მრავალი. იმდენად ხშირად გვხვდება ჯავახაძის ლექსებში რიცხვები/ციფრები, რომ კაცი შეიძლება, დაეჭვდეს - რამე ხომ არ არის აქ კოდირებული, რიცხვების მაგიაზე ხომ არ მიგვანიშნებს პოეტიო? ერთ-ერთ შესანიშნავ ლექსში კიდეც ვხვდებით ამ სინტაგმას - "მაგიური რიცხვები". ამის მიუხედავად, მგონია, რომ არაფერ საკრალურს პოეტი არ გულისხმობს - ვახტანგ ჯავახაძისათვის ზოგადად უცხოა "მაგია", ენიგმატურობა, განსაკუთრებული სიმბოლიკა თუ ქვეტექსტები და, ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც ასეა: როგორც ჩანს, ესეც უკავშირდება ისევ და ისევ თამაშის, ბავშვური გათვლების მომენტს - ჯავახაძე რიცხვებითაც თამაშობს, რაც კულმინაციურად ასეთი "დაშიფრული" ლექსით გამოიხატა, რომელიც დიდი ხნის წინ კი დაიწერა, მაგრამ მსგავსი გამომსახველობა - სიტყვის ან სიტყვის ნაწილის რიცხვებით თუ ციფრებით წარმოდგენა - სწორედ დღესაა პოპულარული, განსაკუთრებით - დასავლეთში ("მ7 ღმ1"):"*და9 ღმ1, გ100ნჯ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*მარშ10 და თ100, / მ20 ქულებს უსუფ ბრძ0 ხ100-10, / და100ა პარნ100ს იშვი10 დ100, / და100ზმრა სამ4ის მ2 10610"* (...).

ასე, თამაშ-თამაშ, უსწრებს ხოლმე დროს ვახტანგ ჯავახაძე და აი, ამის კიდევ ერთი მაგალითი: პოეტი უკვე 1977 წელს გრძნობს ციფრების და ნომრების მოძალებას (რასაც დღეს კიდევ პაროლები და პასვორდები დაემატა): *"ითვლის და ითვლის გონება / სწრაფი და დაუცხრომელი, - / რომელი დავიმახსოვრო, / რომელი ერთი ნომერი? / სახლის თუ ბინის ნომერი, / რომელი, მაინც რომელი - / ფოსტის, პასპორტის, მანქანის, / მანქანის ფერის ნომერი? / (...) / მესამე ათასწლეული / გვიახლოვდება ღიღინით / და თავისქალა მძიმდება / ტელეფონების წიგნივით."*

ახლა ცოტათი სხვა რაკურსით შევხედოთ ამ ლექსს: ყველაფერი თითქოს ნათქვამია, ყველაფერი თითქოს ნათელია, მაგრამ მკითხველი მაინც აღიქვამს რაღაც სხვასაც, ანუ ლექსის ზემოქმედების ველი მაინც სცდება უშუალოდ ნათქვამს. ამ შემთხვევაში ეს ველი მკითხველში შეიძლება წარმოშობდეს ერთგვარ "გაუცნობიერებელ განცდას": პოეტი პირველ პირში კი საუბრობს, მაგრამ მკითხველი გრძნობს, რომ ლექსი მასზეცაა, რომ პოეტს ეცოდება ნამდვილი ცხოვრებისაგან გაუცხოებული, "ციფრებში გამომწყვდეული" ადამიანი, პოეტი თანაუგრძნობს მას.

და ასეთი ინტერპრეტირების გზით მივდივართ ჯავახაძის პოეტური სამყაროს, ჩემი აღქმით, ერთ-ერთ უმთავრეს, სასაფუძვლო მახასიათებელთან: იმ, ერთი შეხედვით ძნელად შესამჩნევ ველთან, იმ ენერგიასთან, იმ გამოსხივებასთან, რაც "მოთამაშე" სიტყვებსა თუ ტექსტს თან ახლავს და თან მათზე გაცილებით მეტია. მოდით, ცოტათი კიდევ ჩავუღრმავდეთ ამ საკითხს.

"რა არის ფილოსოფიური პოეზია დღემდე ვერ გავიგე. ფილოსოფიური ლირიკა ხომ მით უმეტეს. (...) გაცვეთილ-გადაღეჭილი თემატიკა, ყოვლად ტრივიალური მედიტაციები. ყველანი ერთ თარგზე ჭრიან, ხალხური ანონიმებიცა და მსოფლიო კორიფეებიც, - რომ ცას ვერავინ გამოვეკერებით და რომ თვალის ერთი დახამხამებაა ეს ოხერი... შემთხვევა არ მაგონდება, შიგ ფილოსოფიასთან თუნდაც ოდნავ მიახლოებული რამე ამომეკითხოს. თუ დროდადრო კარგი ლექსი გამოერევა, გასაგებია, - ყოვლად ტრივიალურ თემაზეც შეიძლება შედევრი დაიწეროს" - ამბობს დავით წერედიანი. ის ამ აზრს სხვაგან კიდევ უფრო აზუსტებს - პოეზია თვითკმარიაო, ფილოსოფია ხელოვნების სხვა დარგია და ლექსში ფილოსოფიური ციტატები, ლექსის ღირსება კი არა, ნაკლიაო (დავით წერედიანი. "თემა და ვარიაციები", გამომც. ინტელექტი, 2018)...

და ზუსტად ასეთი პოეტია ვახტანგ ჯავახაძე - "არაფილოსოფიური", რომელსაც ხელეწიფება, "ყოვლად ტრივიალურ თემაზეც შედევრი დაწეროს" (და აქაც შეიძლება ჩვენი, ზემოთ უკვე ნახსენები, კლასიკოსები გაგვახსენდეს). შედევრია თუ არა ქვემოთ მოყვანილი ძველი ლექსი, არ ვიცი, მაგრამ ჭეშმარიტი პოეზია რომ არის - ეჭვი არ მეპარება. ლექსი პოპულარული იყო თავის დროს და, მე მგონი, მას დღესაც ჰყავს მკითხველი: შედის პოეტი უგამყიდველო მაღაზიაში (იყო ასეთები საბჭოეთში), ხედავს - ბლომად, ერთმანეთზე დახორაგებულ პომიდორს (თუ პამიდორს - ხალხურად), ვედროებიანი მშიერი საბჭოთა ადამიანების რიგს და... ირთვება პოეტური ასოციაციური წარმოსახვა: პამიდორების წითელი გროვა - ხანძარი, ხალხი ცეცხლის რიგში, ვედრო - ცეცხლის საქრობი პრიმიტიული საშუალება და - წავიდა! -

*უგამყიდველო მაღაზიაში*
*პამიდორების ხანძარი ენთო*
*და ცეცხლის რიგში უსიტყვოდ იდგა*
*ორასზე მეტი მშიერი ვედრო.*
*ისე ილეროდა მუქი ალმური*
*ვერ გაარჩევდი ვისმე და რასმე,*
*არ ისვენებდა ოთხასი ხელი -*
*თავგანწირული სახანძრო რაზმი.*
*უხმოდ გაჟონა ალმა სისხლივით,*
*უცებ მოედო ვეება კვარტალს,*
*ათასზე მეტი კოცონი ენთო*
*ყველა კიბესთან და ყველა კართან.*
*ყველამ ჩაცეცხლა თავისი წილი*
*და როცა გაქრა შიში და ზაფრა,*
*უგამყიდველო მაღაზიაში*
*პამიდორების ხანძარი ჩაქრა.*

რის შესახებაა ეს ლექსი? ზუსტად იმის შესახებ, რაც ლექსში წერია - არავითარი განსაკუთრებული ქვეტექსტი ლექსს არ გააჩნია; და თუ რამ ქვეტექსტზე საუბარი მაინც შეიძლება, უფრო სწორედ, ქვეტექსტზე კი არა, ლექსის სუგესტიურ ზემოქმედებაზე, უხილავ გამოსხივებაზე, მაშინ ეს "ქვეტექსტი" - ის, რაც ლექსის გამოსხივებას თავისი წყაროდან ჩვენამდე მოაქვს - არის ადამიანის, უბრალო ადამიანის სიყვარული, მის მიმართ გამოხატული გულწრფელი თანაგრძნობა, თანაგანცდა... და ამას ვერც მსუბუქად ირონიული ტროპები და ინტონაცია ნიღბავენ; მე მგონი - პირიქით, უფრო ააშკარავებენ კიდეც: ლექსი ერთიანი პოეტური სახეა, რომელიც უბრალო ადამიანების ჩვეულებრივ, ყოფით სიტუაციაში დაიბადა და იქვე დარჩა - არსად გასულა... (და ამ კონტექსტში გამახსენდა ჯავახაძის ერთ-ერთი ლექსის ბოლო ტაეპი: "ჩაგა-ჩარლი-ჩაპლინებს", რაც ნიშნეული "წამოცდენა" მგონია)...

და შესაძლოა, ასეთი "ქვეტექსტი" ყველაზე ღრმაც იყოს... "წინადღე"-ში აღვნიშნე: "(...) ბოლო ნახევარი საუკუნის ქართული პოეზიის ნაკადში ვახტანგ ჯავახაძის ლექსი, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მეტად "ადამიანურია", თანამგრძნობელია, გულწრფელია, გახსნილია: კითხულობ და აშკარად გრძნობ -პოეტს უყვარს ადამიანი, უყვარს ყველა მისი სისუსტით, შეცდომით (...)"; სხვა სიტყვებით: ეს მკაფიოდ გამოხატული "ადამიანური ვექტორი" მსჭვალავს ვახტანგ ჯავახაძის მთელ შემოქმედებას - ადრეულ პერიოდსაც და მომდევნოსაც (სამ პერიოდზეც შეიძლება საუბარი, მაგრამ ეს საჟურნალო ფორმატს შორს გასცდება).

და ჩემი აღქმით, სწორედ ესაა ვახტანგ ჯავახაძის პოეტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ზოგადი მხარე: პოეტური ტექსტის "არაფილოსოფიურობა", არაქვეტექსტურობა, თვითკმარობა და იმავდროულად ძნელად მისაკვლევი, მაგრამ ადვილად აღსაქმელი, ძლიერი სუგესტიურობა (ზოგიერთი პოეტი და ლიტერატურათმცოდნე მიიჩნევს, რომ პოსტმოდერნიზმი და სუგესტიურობა ერთმანეთთან შეუთავსებელია: მე ასე არ მიმაჩნია - სუგესტიურობა ამა თუ იმ ხარისხით ყველა ნამდვილი ლექსისთვისაა დამახასიათებელი, გინდაც მოდერნისტული იყოს ის, გინდაც პოსტმოდერნისტული და გინდაც სხვა ესთეტიკური იდეოლოგიის ფარგლებში მოაზრებადი).

***

ჩემი აღქმით, ამ გამოსხივების წყაროს კიდევ ერთი, უფრო ხელშესახები, განზომილებაც აქვს - ესაა ირონიული თამაშისა და ერთგვარი მელანქოლიურობის (ჯავახაძისთვის) ბუნებრივი შერწყმა (რაც თავშიც მივანიშნეთ). ბოლო დროს ყველაზე მკაფიოდ და დრამატულად ეს "ელეგია: ყელსაბამში" გამომჟღავნდა: უახლობლესი ადამიანის დაკარგვით გამოწვეულმა უმძაფრესმა განცდამ პოეტს შედევრი შეაქმნევინა და მეტად თვალსაჩინო გახადა ის, რასაც ადრე ცოტა ვინმე თუ ამჩნევდა. შოთა იათაშვილი წერს: "ბევრისგან გავიგონე ფრაზა, რომ ეს "ვახტანგ ჯავახაძის სხვანაირი ლექსია" (თუ პოემაა). სხვანაირობის განცდას (...), შესაძლოა, მისი ჟანრი, თემატიკა იწვევდეს, რაც ირონიულ-პაროდიულ ლექსთან, რომელიც ამ ავტორთან ასოცირდება, შესაბამისობაში ვერ მოდის. მაგრამ ეს, ალბათ, ტექსტის ზედაპირული ხედვაა. ჩემი დაკვირვებით, ვახტანგ ჯავახაძე სწორედაც რომ ერთგული რჩება საკუთარი პოეტური მეთოდების და მათი მეშვეობით ცდილობს თავისი მძაფრი განცდებისა და ტრაგიკულობის გამოხატვას. ეს კი გაორებულ განწყობილებას აჩენს ტექსტის კითხვისას: ერთი მხრივ, მკითხველი ერთვება ამ თანაგანცდაში, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს თანაგანცდა არაა უწყვეტი. სევდა, რომელიც გარკვეულ სტრიქონებს მოაქვს, ქრება, მერე ისევ ბრუნდება და ა.შ., ბოლომდე. (...) წერის პროცესი, რომელიც დიდხანს გრძელდება, მას ითრევს, სიტყვა ჩვეულ სტიქიაში აგდებს და ისიც უკვე ძველებურად ეთამაშება მას, რაღაცნაირად ადრინდელივით მხიარულად რითმავს, პოულობს კალამბურებს, ამიტომ ლექსის ინტონაციაც ხშირად მსუბუქდება." ("ვახტანგ ჯავახაძის დაობლებული საგნები", რადიო თავისუფლება, 10 თებერვალი 2017).

ამას ვამბობ - ეს შერწყმა არახალია: ჩემი განცდით, ვახტანგ ჯავახაძე ასე შეჰყურებდა და შეჰყურებს სამყაროს - თამაშის "თვალითაც" და მელანქოლიურადაც. თუ დავუკვირდებით, მის შემოქმედებაში ბევრ ასეთ ნაწარმოებს მიეაკვლევთ; მაგალითად - ლექსიდან "ერთხელ მაინც": "*ვისაც მოუსმენია ერთხელ მაინც თოვლისთვის, / მეც მომისმენს, გამიგებს, დამიცდის და მომიცდის. / (...) / ვის გზაზედაც - მთები და მთებზე - მონასტრებია, / ვისაც ერთხელ ბიჭვინთის ღამე მონატრებია. / (...) / ვინც გაურბის სერობას, როცა სხვები რჩებიან, / ვისაც სასიყვარულო დაუმესიჯებია; / ვისაც ანგელოზისთვის თვალი, ყურიც მოუკრავს, / ვისაც თავი ერთხელ მაინც მოუკლავს.*" ასეთივე დისკურსითაა შესრულებული: "ისევ დედას", "იქვე წყვილი კიპარისი იდგა როგორც და-ძმა", "დაგიბერდა ბაბუა, მარიკუნა-მარიამ", "ქება სიბერკაცისა", "გალაკტიონის მოტივებზე (I)", "გალაკტიონის მოტივებზე (II)", "შემომაბერდნენ ლექსები" და სხვ.; ან ასეთი არ არის - თუნდაც ცნობილი - "ზარი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა"? ან კიდევ ასეთი არაა ვახტანგ ჯავახაძის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლექსი, ძველი, ნახევარი საუკუნის წინ დაწერილი ლექსი, ჩემი აზრით, ასევე შედევრი - "ტრიალებდა, ტრიალებდა, ტრიალებდა კარუსელი"? - არ არის მასში თამაშიც, ირონიაც და მელანქოლიაც ერთდროულად? ან, გნებავთ, ასევე ცნობილი "ბერიკაცი" გავიხსენოთ: "*(...) მერე უცებ გაიბუტა ბერიკაცი ღრენით / და ოჯახში ორი ღერი სიტყვაც არ დასცდენია / მიატოვა სამი შვილი და ოთხივე ბადიში, / ორღობეში გაეხირა, როგორც თევზი ბადეში. / ხუთი ვერსი გაიარა, გზაზე გიჟად მონათლეს, / ექვსი ოქრო უწყალობა გაუქმებულ მონასტერს. / მეშვიდე დღეს გამოვიდა მყუდრო სალოცავიდან, / რვა სანთელი წაიღო და / ცხრა მთას იქით წავიდა.*"

აქვე აღვნიშნავ ამასაც: "ბერიკაციც", "კარუსელიც", "ზარი ნესტან-დარეჯანისაც" და ბევრი სხვაც ("როიალი დაბერდა", "ნოტარიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის კარებთან", "ყოველ დღე სამის ნახევარზე, გარდა კვირისა", "პირიქით" და სხვ.), გალექსილი "მინი-ნოველებია", ფაქტობრივად, ბალადის ფორმითაა შექმნილი - ვახტანგ ჯავახაძემ ააღორძინა ეს ფორმაც, პოეტი ლექსში ხშირად თითქოსდა ჰყვება ამბავს და ესეც ბუნებრივად ეხამება ზოგიერთ ზემოთ დასახელებულ სტრუქტურას, რასაც ჯავახაძე თავის პოეტურ სამყაროში მუდმივად იყენებს (ზღაპარი, ხალხური თქმა და მისთ.).

***

ვახტანგ ჯავახაძე თავის ადრეულ ლექსებში წერდა, რომ დიდი მორწმუნე არ გახლავართო, მაგრამ ასეთი მსოფლაღქმისა თუ მსოფლგანცდის პოეტი შეუძლებელია სიღრმისეულად რელიგიური არ ყოფილიყო მაშინაც (რაც კიდეც მჟღავნდებოდა აქა-იქ); შემდგომ კი ამას ჯავახაძე აღარ მალავს, მისთვის ჩვეული უშუალობით გადმოგვცემს (ჩემი აღქმით, ესეც შედევრია):

*ფანჯარასთან ამიშენეს კოკროჭინა*
*ეკლესია,*
*ჩემი ალავერდია და გრემია და ნეკრესია.*
*რეკავს! - მაგის მოლოდინმა ადრე*
*გამაჭალარავა,*
*"ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე" და მე მარტო*
*აღარა ვარ.*
*დარდიანს რომ დამინახავს, შემარცხვენს*
*და შემომიტევს,*
*თავის ფეხით მეახლა და "ლამის სახლში*
*შემოვიდეს".*
*ვენაცვალე მაგის ზარებს! - ცოდვილებს და*
*საცოდავებს -*
*ანახევრებს და ნახევრის ნახევარსაც*
*აცოტავებს.*
*რეკავს! - ექო მიბრუნდება მოდარაჯე*
*გალავანთა,*
*რეკავს! რეკავს! მაინც მესმის, სახლში ვარ*
*თუ არა ვარ და*
*როცა ნაუ-ნაუ-ნაუ მოაქვს სიჩუმეში ნიავს,*
*სახლში მარტო დარჩენისა უკვე აღარ*
*მეშინია!*

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ერთი რამ კიდევ უნდა ვთქვა. ჭანტურიასთან მიმართებით აღვნიშნე, რომ ეს "ნაციონალისტური პოსტმოდერნიზმია". ჯავახაძე ნამდვილი ინტერნაციონალისტია (გავიხსენოთ თუნდაც მისი ადრეული პერიოდის ძალიან საინტერესო, არსებითად ანტისაბჭოთა, ნაწარმოები, ლირიკული პოემა "ღია ქალაქი") და იმავდროულად ისიც ნამდვილი "ნაციონალისტია", ნამდვილი პატრიოტია, ამ სიტყვის ყველაზე ტრადიციული გაგებით - ასე იყო თავიდანვე (გავიხსენოთ კიდევ ერთი შედევრი "ქეთევან წამებული") და ასეა ახლაც - 88 წლის პოეტი წერს კორონავირუსობის ჟამს: "*მინდა მუდამ ვიქართველო და არასდროს ვირუსო, / რას გეერჩოდი, ჩინეთიდან მოგზავნილო ვირუსო (...)*"; ან ცოტა უფრო ადრე: "*ქარებს მიაქვთ საქართველო, / წვიმებს მიაქვთ საქართველო, / სეტყვებს მიაქვთ საქართველო, / მეწყრებს მიაქვთ საქართველო, / რუსებს მიაქვთ საქართველო, / შენ სადა ხარ, სა, ქართველო?*"

* * *

გადავხედე წერილს და შევამჩნიე - ხშირად გამომიყენებია "შედევრი", მაგრამ არაფრის შეცვლას არ ვაპირებ; ზუსტად ასეთი სათაურის მქონე ლექსში ვახტანგ ჯავახაძე ამბობს - "*სარკით მეთამაშება, თითქოს ათინათია / ერთხელ ვერ მოვიხელთე: ვიდრე დავწერ, ნაღდია.*" მე კი მგონია - არაერთხელ მოიხელთა და არა მხოლოდ ბოლო დროს, არამედ დიდი ხნის წინაც: ასეთი პოეტია ვახტანგ ჯავახაძე, ჭეშმარიტი პოეტია, ძალიან მნიშვნელოვანი პოეტი; და აი, ამის კიდევ ერთი დასტური ია ანთაძესთან ინტერვიუდან: "მე ლექსს რომ დავწერ, გავა დრო და აღარაფერს ვწერ. ასე მგონია, ლექსი არასდროს დამიწერია და კიდევ დავწერ თუ არა, არც ეგ ვიცი. ვიღაც გკარნახობს და ან გიკარნახებს, ან - არა." - ამგვარი განცდა მხოლოდ ჭეშმარიტ პოეტს შეიძლება დაეუფლოს...

ცნობილია, რომ ჩვენში ვისაც მართლა ეკუთვნის, მათი დაფასება მაინცდამაინც არ არის "მიღებული" - ვინც მონად დაუდგება და თან თავს გადასჭამს ხელისუფლებას, ვინც მეტს ხმაურობს და "აბრახუნებს" ტელევიზიიდან თუ სხვა ეგეთებიდან, "გამარჯვებულიც" ის არის... ჰოდა, სადა აქვს ჭეშმარიტ პოეტს ამის თავი?..

არადა (ახლა სულ მთლად მარტივად ვიტყვი), ჩემი განცდით, ვახტანგ ჯავახაძე იცით როგორი პოეტია, როგორი შემოქმედია? - თვითონ რომ ამბობს სხვაზე, აი, ასეთი:

უსიკვდილოდ, უეჭველად, უსათუოდ,
უთუოდ,
კართან უნდა უდარაჯოთ, ღამე უნდა
უთიოთ.

უხმაუროდ, უსიმღეროდ, უხმოდ,
უსაზანდაროდ,
სულში უნდა ჩაიძერინოთ, ხელის გულზე
ატაროთ. (...)

პოეტი ისევ მხნედაა და ისევ "შემოქმედებით ფორმაშია": მკითხველი ელის მისგან ახალ-ახალ ნაწარმოებებს.

ბიბლიოთეკა

# *რობერტ ლოუელი*

## ელიზაბეთ ბიშოპს

მინიმალური ძალისხმევით დახატული ახალი ტილო
ნაჩქარევად მოსმული ფუნჯი, სალებავები შერეული ჩვეული ხერხით
განათებული სხვენი ფრანგული პლენერსის ნაცვლად
ალბერტ რაიდერის ქარვისფერი მთვარის დაბზარული რელიეფი
მზეზე დამწიფდა. მისი ტილოები თავიდან დაიხატა.
მისი ყველაზე მცირე ნახატიც მკლავებს დაგაწყვეტს
ვის შეიწირავს ცხენოსანი, თუ ცხენს ლაგამს არ ამოსდებს?
გინახავს, როგორ მიცოცავს მატლი ფოთოლზე,
ბოლოში კიდეს ეკიდება, ჰაერში იწევს, ადის, ტრიალებს,
გრძნობს, რომ ვილაცამ მიაღწია უცებ საწადელს? ისევ
ჰაერში კიდებ სიტყვებს, ათი წელია
კედლის პატარა დაფას აწებებ, უტოვებ ადგილს
შეუმცდარ მუზას, ჯერ უთქმელი ფრაზების
სრულყოფილად დასაწყობად?

*თარგმნა დალილა გოგია*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელიზაბეთ ბიშოპი

## ნორზ ჰეივენი

ერთი მილით შორს მე შემიძლია, გავიგონო ის ხმაური,
ზღვაში მხუნას გასვლას რომ ახლავს; შემიძლია დავითვალო
კირჩები ნაძვზე. ეს უნარი გამყვება მანამ,
რძისფერ კანს არ გადაიძრობს ფერმკრთალი ყური; ცამოწმენდილზე
ერთადერთი ღრუბელი მოჩანს, ცხენის კუდივით მოგრძო და თხელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ზაფხულს აქეთ კუნძულები სულ არ შეცვლილა,
რაც არ უნდა თავს მოვაჩვენო, ადგილიდან არცკი დაძრულან.
არადა ვხედავ ოცნების თვალით, როგორ ცურავენ
ხან ჩრდილოეთით, ხან - სამხრეთით, ხანაც - გვერდულად,
ლურჯი საზღვრების ტყვეობაში კუნძულები თავისუფლად დათარეშობენ.

ამ თვეში ჩვენი საყვარელი ერთი მათგანი სულ ჭრელა-ჭრულა
ყვავილებით გადაიპენტა:
წითლად ბრდღვიალებს სამყურა და ყვითლად - ბაია, მოდებულია სარეველა, მწვანე ბალახში
თვალს აკვესებენ გვირილები - ყვითელგულები.
ჩალის ღერებსაც ვარსკვლავები ჰგონიათ თავი. "ჰგონიათ" რაა,
უფრო მეტიც - ყვავილები დაბრუნებულან, რომ ნექტარებით მოგვიხატონ
მინდორ-ველები.

დაბრუნებულან ნიბლიები, ან შეიძლება ახლა ვერ ვამჩნევ და ესენი
მათი მსგავსი სხვა ჩიტებია,
ისევ გაისმის თეთრყელიანი ბელურების ხუთნოტიანი სიმღერები, -
ვედრებას რომ ჰგავს და თვალს ცრემლს რომ გვადენს.
ბუნება თავის თავს იმეორებს, ან: იმეორებს დაახლოებით:
ჯერ იმეორებს, იმეორებს, მერე ალბათ გადაამოწმებს.

როგორც მითხარი, მგონი აქ იყო, წლების წინ
(1932-ში?) პირველად რომ აგეხილა ქალებზე თვალი,
ერთდროულად რომ გისწავლია ცურვა და კოცნა.
შენს სიტყვებს თუ გავიმეორებ, "მაგარი დრო" გიტარებია, კლასიკური ზაფხული გქონდა.
(როგორც ეტყობა, "დროსტარება" შენ ყოველთვის თავ-გზას გიბნევდა ... )

მაშინაც ხომ ასე მოხდა? - შენ დატოვე ნორზ ჰავენი, მის კლდეებთან ჩაშვებული ლუზა აუშვი
და შესცურე მისტიურ ლურჯში... ახლაც, მე ვიცი, უკეთესის
იმედით გვტოვებ. რომ იცოდე, შენ ვერასოდეს გადააკეთებ, ვერ გადააწყობ ხელახლა
ლექსებს. (მაგრამ ბელურებს შეუძლიათ ისევ სიმღერა.)
უკვე დაწერილს ვერაფრით შეცვლი, რადგან შენ თვითონ ვერ შეიცვლები, ჩემო მწუხარე მეგობარო,
ველარასოდე

*თარგმნა მანანა მათიაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიტყვები ჰაერში

## ფრაგმენტები ელიზაბეთ ბიშოპისა და რობერტ ლოუელის მიმოწერიდან

*ინგლისურიდან თარგმნეს მანანა მათიაშვილმა და დალილა გოგიამ*

ამერიკელი პოეტები ელიზაბეთ ბიშოპი და რობერტ ლოუელი ერთმანეთს პირველად ნიუ იორკში შეხვდნენ 1947 წლის იანვარში საერთო მეგობართან გამართულ სადილზე. როცა რენდელ ჯარელმა, იმ ეპოქის გამორჩეულმა პოეტმა და კრიტიკოსმა, ერთმანეთს წარუდგინა ძველი მეგობარი რობერტ ლოუელი და ახალი მეგობარი ელიზაბეთ ბიშოპი, მან თავისი თაობის ის ორი ამერიკელი პოეტი შეახვედრა ერთმანეთს, რომელთაც ყველაზე მეტ პატივს სცემდა. მეტისმეტად მორცხვმა ელიზაბეთმა, რომელიც ხშირად ღელავდა და სიტყვაძუნწი ხდებოდა ლიტერატურულ წრეებში მოხვედრისას, ლოუელისა და ჯარელის საზოგადოებაში მოულოდნელად შინ იგრძნო თავი, - წერს მკვლევარი გრეგორი თომაზინო, რომელმაც რედაქტირება გაუწია და გამოსცა ბიშოპისა და ლოუელის ეპისტოლარული მემკვიდრეობის სრული ვერსია, სათაურით "სიტყვები ჰაერში", 2008.

შეხვედრის მომენტში ბიშოპი 36 წლის იყო, ლოუელი კი - 30. გასაცნობად ამაზე უკეთეს მომენტს ვერც კი ინატრებდნენ: ორივეს ახალი გამოცემული ჰქონდა ახალი კრებულები, ორივეს ჰქონდა მიღებული მნიშვნელოვანი ჯილდო და ორივე სარგებლობდა ლიტერატურული სამყაროს აღიარებით: 1946 წელს ბიშოპის პოეტური კრებული "ჩრდილოეთი და სამხრეთი" დაჯილდოვდა ჰაუთონ მიფლინის პრემიითა და სტიპენდიით კრებულის სამომავლოდ გამოცემის პირობით (ამ ხელნაწერმა გაიმარჯვა საკონკურსოდ წარდგენილ 800 ხელნაწერს შორის), ხოლო რობერტ ლოუელს ახალი მიღებული ჰქონდა იმ წელს პულიცერის პრემია პოეტური კრებულისთვის "ლორდ უიარის ციხესიმაგრე", რომლის კონკურენტი ასევე იყო ბიშოპის ზემოხსენებული კრებული. პულიცერის მიღების შემდეგ ლოუელი იმ დროისათვის ამ ჯილდოს ყველაზე ახალგაზრდა მფლობელად ითვლებოდა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრის მომენტისთვის ლოუელი გაცილებით დიდი ცნობადობით სარგებლობდა საზოგადოებაში, ვიდრე ბიშოპი, რადგან ხშირად ხვდებოდა მეინსტრიმული მედიის ყურადღების ცენტრში არა მარტო თავისი პოეზიის, არამედ მემარცხენე პოლიტიკური გამოსვლებისა და ფსიქიკური აშლილობის საჯარო სცენების გამოც.

1947 წელი ორივე პოეტისთვის დაულაგებელი პერიოდი იყო პირადი ცხოვრების კუთხითაც: ლოუელი ჯინ სტაფორდთან გაყრის ფინალურ ეტაპზე იმყოფებოდა, ხოლო ბიშოპი ხანგრძლივი ურთიერთობის ბოლო წუთებს ითვლიდა ქივესთის მკვიდრ მარჯორი სტივენსთან.

მეგობრობის პირველი ორი წლის განმავლობაში მათ ორმხრივი მიზიდულობის ბუნდოვანი ფაზა გაიარეს. მათი ზოგი ახლობელი იმასაც ფიქრობდა, რომ, ალბათ, დაქორწინდებოდნენ. თუმცა, ბიშოპი წინდახედულობას ინარჩუნებდა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მას ხანგრძლივი რომანტიკული ურთიერთობები ყოველთვის ქალებთან ჰქონდა, და თანაც როგორც საკუთარი თავის, ისე ლოუელის მხრიდან არამდგრადი ფსიქიკის გამო საერთო მომავალს ეჭვის თვალით უყურებდა. მოგვიანებით ლოუელმა აღიარა, რომ არასდროს მიუტოვებია ელიზაბეთისთვის ქორწინების შეთავაზებაზე ფიქრი, თუმცა ამისთვის შესაფერისი მომენტი ერთხელაც არ დადგა მის ცხოვრებაში.

მხოლოდ ლოუელის გარდაცვალებამდე 2 წლით ადრე მიწერილ წერილში გაიხსენა ბიშოპმა, თუ როგორ ეშინოდა იმ ცნობილ შეხვედრაზე წასვლა 1947 წლის თებერვალში, მაგრამ შემდეგ გაცნობისთანავე აღმოაჩინა ლოუელში თავისი ლიტერატურული ორეული, ვისი ინდივიდუალურობაც, ენობრივ ალღოსა და ხელობისადმი თავდადებასთან ერთად, მას საკუთარ თავს აგონებდა.

მიწერ-მოწერა ორ პოეტს შორის 30 წელი გაგრძელდა და მხოლოდ 1977 წელს შეწყდა ლოუელის გარდაცვალების გამო. 2 წლის შემდეგ გარდაიცვალა ბიშოპიც. მათი მეგობრობის ამსახველი უნიკალური მიმოწერა რვაასამდე წერილს მოიცავს.

წარმოდგენილ პუბლიკაციაში პირველი შეხვედრის შემდეგ მიწერილ 2 წერილსა და თვრამეტი წლის შემდეგ გაგზავნილ რამდენიმე წერილს გთავაზობთ.

N1
*კინგ სთრითის N46*
*ნიუ იორკი,*
*12 მაისი, 1947*

ძვირფასო ბატონო ლოუელ,

არ ვიცი, როგორ უნდა დაგიკავშირდეთ ახლა, როცა რენდელი წასულია, მაგრამ ვიფიქრე, რომ ეს წერილი მოაღწევდა თქვენამდე ჰარქორთ ბრეისის დახმარებით. ამ წერილით, უბრალოდ, იმის თქმა მინდოდა, რომ, ვფიქრობ, შესანიშნავი ამბაეია ერთდროულად ამდენი ჯილდოს მიღება - მგონი, სჯობს, რიგითობით მოვიხსენიო: 1, 2, 3[i] - რაც არ უნდა დავარქვათ, ყველა მათგანი ძალიან სასიამოვნოა.

გამოსვლა უნდა მქონოდა YMHA[ii]-ს საშაბათო საღამოზე, მაგრამ წასვლა ვერ შევძელი და, იმედი მაქვს, ჩემი არყოფნა ჯობდა იმას, რომ მივსულიყავი. იმაზეც ვწუხვარ, რომ სწორედ იმ დღეს, როცა მინდოდა თქვენ და ჯარელები მოსულიყავით ჩემთან, ავად გავხდი. თუ ჯერ ისევ ქალაქში ხართ, იქნებ, შემომიაროთ ნებისმიერ დროს. ძალიან მინდოდა თქვენი ნახვა. ჩემი ტელეფონია WA 5-1706, ან დამირეკეთ ან, უბრალოდ, მაცნობეთ, თუ დააპირებთ.

საუკეთესო სურვილებითა და უღრმესი მილოცვით,

ელიზაბეთ ბიშოპი

N2
*გზატკეცილი 202; მე-15 ქუჩა.*
*ნიუ იორკი*
*23 მაისი,1947*

ძვირფასო მის ბიშოპ,

მაპატიეთ, რომ გუშინ თქვენთან სადილზე ვერ მოვედი. ვშიშობ, საკმაოდ მძიმე ზამთარი გადაიტანეთ.

თქვენ საუცხოო მწერალი ბრძანდებით, და თქვენი ბარათი ჩემთვის ბევრს ნიშნავს.

წუხელ ჩვენთან ხანძარი გაჩნდა. ჩვენი ერთი მეზობელი დათვრა და ანთებული სიგარეტით ხელში ჩაეძინა. მერე წყლით სავსე ვედროთი წინ და უკან დადიოდა და თავისთვის ბურტყუნებდა: "ჩუმად, ჩუმად, არანაირი ხანძარი არაა, ასე თუ იყვირებთ, ყველას გააღვიძებთ." მერე სახანძროც გამოჩნდა, ის კი მაინც იგივეს გაიძახოდა: "შემთხვევით გაჩნდა, თანაც არავინ დაშავებულა", ვიდრე პოლიციელმა არ დაუღრიალა: "ამ ხალხს შეხედე, ყველა ფეხზეა." მერე კი, როცა ყველაფერი დასრულდა, ამბობდა: "მე ამერიკელი ვარ. მე ხანძარი ჩავაქრე. მე რომ არა, ყველანი ამოიწვებოდით." დღეს ჩემი ოთახი დამწვრის სუნად ყარს.

2-ში ბოსტონში მივდივარ, 9-ში კი იადოში. იმედი მაქვს, კიდევ განახავთ. მე და ჯარელებს იმედი გვქონდა, რომ ხვალ ჩვენთან ერთად წამოხვიდოდით პიკნიკზე.

მალე გამოჯანმრთელდით.

რობერტ ლოუელი

N320
*რიო, 6 ივლისი, 1965*

უძვირფასესო კალ,

ვშიშობ, ბევრ კითხვაზე მაქვს პასუხი გასაცემი, არადა 45 წუთში ერთი კვირით ბაჰიაში[iii] მივფრინავ. თუმცა უკვე ჩაბარგებული მაქვს ყველაფერი და ერთი დრო შენთვის წერილის მოსაწერად გადავინახე. (თუ სწორად მახსოვს, ერთხელ შენც გაჩერდი ბაჰიაში, არა? მე იქ არასდროს ვყოფილვარ, თუმცა ამდენი ხანია ამ ქვეყანაში ვარ). შენი ბარათი ჯერ ეგვიპტიდან მიიღე, მერე - სიეტლიდან, მერე - ორი კვირის წინ წერილი მოვიდა სამამბაიადან "ბენიტო ჩერენოს"[iv] ჩანაწერთან ერთად. ... მშვენიერი დრო გავატარე, როცა თეატრში წავედი ერთ მშვენიერ და კაშკაშა კვირადღე - ორჯერ ზედიზედ მოვისმინე ის ჩანაწერი. [ახალი წიგნის] ხელნაწერი უნდა მქონდეს სადღაც, მაგრამ ვერ მოვძებნე და ახლა ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ წიგნს, რომ დავხედო და გავიგო, როგორ შეჭრეს-შემოჭრეს, - ვვარაუდობ, რომ ამას აუცილებლად იზამდნენ. შესანიშნავი გამოდის, მაგრამ როგორც ხედავ, ძალიან დაგვიანებულია ჩემგან ამის თქმა. თვითონ ბ.ჩ.-ს ხმა მომწონს ყველაზე ძალიან. ჩემი აზრით, კაპიტანიც კარგია, მაგრამ ყოველ წამს ველოდი, როგორ გამოთქვამდა ბოსტონური აქცენტით ასო ა-ს. მთლიანობაში, რაღაცნაირად უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობის მქონე მეჩვენება ეს ყველაფერი, როცა ვუსმენ - ვნანობ, რომ ვერ ვნახე ნიუ იორკში წინა სეზონზე. ფაქტობრივად, სწორედ დროული აღმოჩნდა, რეკომენდაცია რომ გავუწიე მას აქ ყველაზე "მაღალი დონის თეატრთან" - იმედი მაქვს, არ იქნები წინააღმდეგი. არ ვიცი, რა გამოვა აქედან, - შენ ხომ იცი, რა ინერტული ხალხია ესენი - მაგრამ მაინც შევთავაზე ის ერთ პოეტს, რომელიც აქ ამ თეატრს ეხმარება. მისი აზრით, და ჩემი, ლ[ოტა]ს და ფლავიოს აზრითაც, მშვენიერი იქნება, ბრაზილიელებს სწორედ ახლა აჩვენო ამ სცენაზე საშინელი გათამაშება... - ნუ, კარგი, რაც შევთავაზე, ეს იყო "ზოოპარკის ამბავი" (ფლავიომ 2 წლის წინ ამის კარგი თარგმანი გააკეთა. მას შეეძლო, შენი პიესაც ეთარგმნა ასევე, ჩემი დახმარებით). თუმცა, უფრო მეტს გეტყვი, როცა დავბრუნდები და ამ ამბავზე მეტი მეცოდინება. ვიტყოდი, რომ რაღაცის გაკეთების შანსი აქ დაახლოებით 25 %-ია 100 %-იანი არაფრის კეთებიდან... პრობლემა ისაა, რომ როგორც საუბრებიდან და ნაწარმოებებიდან ირკვევა, ბრაზილიელებს მხოლოდ შავი ან მხოლოდ თეთრი მოსწონთ. არანაირი ორაზროვნება და გადახვევა მთავარი გზიდან. თუმცა, როცა "ზოოპარკის ამბავი" დაიდგა აქ (ინგლისურად, რა თქმა უნდა), ვნახე, რომ აქაურმა აუდიტორიამ უფრო კარგად შეაფასა და მიიღო ის, ვიდრე მე, და ამიტომ, ვფიქრობ, დრამატულად წარმოდგენის შემთხვევაში, შეიძლება მათ მართლაც გაიგონ, რის თქმასაც შენ ცდილობ, მთელი მისი სირთულის გათვალისწინებით... (უი, ის რუთ ჰერშბერგერი. სულ ახლახანს შემთხვევით მოვისმინე მისი ხმა (ხომ მართლაც ისაა?) და შენი პასუხი. რა ჯანდაბა დაემართა მაშინ, თუ ეს სიძულვილის, არაკეთილგანწყობის, ნევროზის ან სხვა რამის ბრალი იყო?...)

რა თქმა უნდა, აქაურმა გაზეთებმაც ახსენეს, შენ რომ უარი თქვი წვეულებაზე. მერე ხომ TIME-მაც გააკეთა ეს. (ძალიან სასაცილო იყო დუაითი მომდევნო ნომერში, თუ იმის მომდევნოში რომ განაცხადა, "ზეროტი ფურიას როლი შემხვდა ნათლობაზეო"[vi]). და რადგანაც - მე ვაგროვებ, -საკუთარი თვალით არ მინახავს არც ბუშენვალის[vii] ზომიერად სასაცილო წერილი, რომელიც ინგლისურენოვან გაზეთებში დაბეჭდილა - ჩემი აზრით, უფრო მომხრე გაზეთებში იყო ეს, ვიდრე მოწინააღმდეგეებში. რისი შესაძლებლობაც მეძლევა, ყველაფერს ვკითხულობ, მაგრამ, აქედან,

ეროვნული ბიბლიოთეკა



რააკვირველია, საშინლად რთულია სიმართლის გარჩევა. მაინტერესებს, სრულიად შემთხვევით, ხომ არ გექნება შენი უარყოფის ტექსტის ასლი, სრული ტექსტი რომ გამოგეგზავნა ჩემთვის? ძალიან მინდოდა, საკუთარი თვალით მენახა. ერთადერთი, რაც ვნახე TIME-ში, ექვგარეშეა, არასწორი ციტატები იყო... რა თქმა უნდა, უამრავმა ადამიანმა მკითხა ამის შესახებ, როგორც ეკითხებიან, ასე ვთქვათ, ავტორიტეტულ პირს. ამიტომაც მინდა ვნახო, რა დაწერე სინამდვილეში. სულაც არ ყოფილა დიდი ალიაქოთი დომინიკის რესპუბლიკაში[viii] ბრაზილიელი ჯარისკაცების გაგზავნის გამო. ხალხი ფიქრობდა, ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ - არა. მე კი ლამლამობით როცა ვწევარ და არ მძინავს, ვლოცულობ, რომ არცერთი ჯარისკაცი არ მოკლან! (აქამდე ჯერ მხოლოდ 3 დაჭრილი დაბრუნდა - პირველი მათგანი ხიდან ჩამოვარდა, როგორც ლოტა ამბობს, - ალბათ, ტრადიციული ბრაზილიური ჩვეულებისამებრ ხილს იპარავდა; მეორეს საკუთარი ხელყუმბარა აუფეთქდა, თუმცა სერიოზულად არ დაშავებულა; მესამეს კი ნამდვილად "მტერმა" ესროლა, მაგრამ აქაც სერიოზული არაფერია). გაზეთებში ამბობენ, რომ ამერიკის ჯარმა ისინი "საგზაო მოძრაობისთვის მიმართულების საჩვენებლად" გაამწესა: "წყნარად და მშვიდად"! ეს ისევე ჟღერს, როგორც ჩვეულებრივი, რიგითი საჯარისო პროცედურა; მჭედელი გაამწესეს საკერავ მანქანასთან, ანდა ფრანგულენოვანი ჯარისკაცები - იაპონიაში...

დიახ, როკფელერის ფონდისგან შეტყობინება მივიღე და ძალიანაც მესიამოვნა, თუმცა ამხელა დროით პასუხის გაგზავნა გადავდე სხვადასხვა მიზეზთა გამო. და ახლა შენ მეუბნები, რომ მათ ეს გრანტი უკან უნდა დავუბრუნო (უნდა მივმხვდარიყავი, რომ რაღაც გაკავშირებდა ამ ამბავთან.) თუ შეგიძლია - ვიცი, რომ მეინში ხარ - ვინმე გააფრთხილე, რომ ეს სტიპენდია ძალიან მინდა (სასწრაფოდ მინდა, მაგრამ ასე არ უთხრა!), რადგან ის ზუსტად ჯდება იმ გეგმაში, რომელზეც ბოლო დროს ვმუშაობ. ახლა არ მაქვს დრო დეტალურად მოგწერო, მაგრამ მინდა, რომ წიგნი შევკრა ბრაზილიის შესახებ - პროზაული კრებული - და იმისათვის, რომ ეს გავაკეთო, მჭირდება საკმაოდ ბევრი და საკმაოდ ძვირადღირებული მგზავრობა გემებითა თუ თვითმფრინავებით. ჩემი აზრით, თითქმის უკვე ასი წელია, აღარ ინერება სან ანტონიოსა და ბრაზილიაზე - სამწუხაროდ, დიდი ნატურალისტების შემდგომ, - ერთი ძალიან ჩვეულებრივი წიგნია და ისიც ცუდად დაწერილი ვიღაცის მიერ, ვისაც აქ მხოლოდ სამი თვე გაუტარებია... ასე თუ ისე, დასრულებული მქონდა 3 მოთხრობა, სანამ როკფელერები შემეხმიანებოდნენ. ჩემი იდეა ისაა, რომ წიგნში ერთად წარმოვადგინო სხვადასხვა ადგილი, ცხოვრებისეული ისტორია, მოკლე მოთხრობებიც ზომიერად, წერილი ალეიჯადინოზეც შევა, იმედია; ალბათ, პოპულარულ მუსიკაზეც ვილაპარაკებ და ა.შ. - და აქ იქნება ისეთ ადგილებზე ლაპარაკი, სადაც ჟურნალისტები არ დადიან, ან იშვიათად თუ დადიან, სადაც ცხოვრება, დიდი ხანია, არ შეცვლილა, მაგრამ ძალიან სწრაფად ძალიან მალე შეიცვლება. მე, რა თქმა უნდა, შევეცდები, ეს ყველაფერი წარმოსახვითი და ლამაზი გავხადო მოთხრობებზე თანდართული ფოტოებით, რისთვისაც ახალი ფოტოკამერის ყიდვა დამჭირდება. ფირებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან ძვირია ახლა, და მოკლედ... ვფიქრობდი, რომ 1 წელი ან 18 თვე დავრჩებოდი, მაგრამ მას შემდეგ, რაც შენი წერილიდან მივხვდი, რომ შემიძლია 12 000 დოლარამდე მოვითხოვო, 2 წლით ვრჩები, რაც გაცილებით უკეთესია. ჯერჯერობით ამ წიგნს მოვიხსენიებ ძველი სათაურით, რომელიც ადრე მინდოდა დამერქმია: "შავი მარცვლები და ალმასები" (სამუშაო სათაური). აი, დაახლოებით, ამას მივწერ მათაც სააპლიკაციო წერილში, და იქნებ როგორმე ბაჰიას თავი დავაღწიო, თუ მოვახერხე. რაც არ უნდა იყოს, თითქოს ღმერთმა გამომიგზავნა ეს შესაძლებლობა, აქაური ინფლაციის პირობებში და ნამდვილად დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემს თხოვნას დააკმაყოფილებენ!

ღმერთო ჩემო, ეშლი ბრაუნი ათ წუთში აქ იქნება, მე კი ჯერ ბარგი არ ჩამილაგებია და სახეც მოსაწესრიგებელი მაქვს, კიდევ სხვა წვრილმანებიც... კიდევ მოგწერ, ეს მოსაწყენი შესავალია მხოლოდ...

შემზარა შენმა დანახვამ ისეთი ნატანჯი სახით, როგორიც TIME-ის იმ ფოტოებში გაქვს, და იმედია, მეინი სასიკეთო ზეგავლენას ახდენს შენზე. მეილერის ელიზისეული* მიმოხილვა ძალიან მაგარია! ვაი, კიდევ რამდენი რამ მაქვს მოსაყოლი, მაგრამ, ახლა უბრალოდ, იცოდე, რომ ვარ მუდამ შენთან ერთად, შენთვის და ა. შ. და კიდევ საშინლად მადლიერი იმ ყველაფრისთვის, რაც ჩემთვის გაგიკეთებია.

დიდი სიყვარულით,

ელიზაბეთი

N321

*ქასტინი, მეინი*

*16 ივლისი, 1965*

უძვირფასესო ელიზაბეთ:

რამდენიმე წინადადება დავწერე შენი წიგნის წინასიტყვაობისთვის. თუმცა, ვშიშობ, ეს არ შეედრება იმას, რაც შენ ჩემი წიგნისთვის დაწერე, სადაც საუცხოო სახე უნივერსალურად გადაიქცა და სამყაროში გადაინაცვლა. ძალიან სასიამოვნოდ ჩაიარა დღევანდელმა დღემ ბელელში, სადაც ვწერდი.

"დარწმუნებული ვარ, არც ერთი დღევანდელი პოეტი არ არის მის ბიშოპივით ცნობისმოყვარე და დაკვირვებული. ყველაზე მეტად ის იქცევს ყურადღებას, რომ თითოეული ლექსი საკუთარი ტონალობით ხასიათდება, მათში ისმის მწუხარება, გულისხმიერება, სიფაქიზე და სევდანარევი ხალისი. ის საკუთარ თავში ზედმეტად დარწმუნებულია იმისთვის, რომ მხოლოდ მაღალი ოსტატობა და პრაგმატიზმი შემოგვთავაზოს. ყველაზე მეტად მას გულწრფელობა და მუსიკალური მონოტონურობა აინტერესებს. მის ბიშოპი ძალიან ძლიერი პოეტია საიმისოდ, რომ, ერთის მხრივ, დანთებული ხანძარი ვერ მართოს და, მეორეს მხრივ კი იმიტომ, რომ გადამეტებული ცივილიზებულობისთვის დამახასიათებელი უთავბოლობა დაუშვას. მას აქვს დახვეწილი იუმორი და განსაკუთრებული ნიჭი, შეამჩნიოს შეუმჩნეველი. ის ხან ცოცხლად და პირდაპირ საუბრობს, ხან კი ნამდვილ ძეგლს აღმართავს ხოლმე. ერთ დროს ის ძალიან ცოტა ლექსს წერდა, ამჟამად კი საკმაოდ ბევრი ლექსი აქვს. მისი ლექსები ახალი სამყაროს კლასიკურ სიმშვიდეს გვთავაზობს".

იმედი მაქვს, შენც მოგეწონება და რამდენიმე ფრაზა კრიტიკოსებსაც ჩაებეჭდებათ გონებაში. ციტატები შენი ანოტაციიდან "სიცოცხლის კვლევის" შესახებ დღემდე მოჰყავთ მათ, ვინც ჩემი ბოლო წიგნის შესახებ გამოხმაურებას წერს.

თავს დამნაშავედ ვგრძნობ, რომ როკფელერის ამბები ადრე არ გაცნობე. მე წერილებს არ ვწერდი და, ალბათ, ვცდებოდი, როცა მეგონა, რომ ვაშინგტონში თავს არც ისე კარგად იგრძნობდი. მაგრამ რატომ უნდა წახვიდე იქ? ბრაზილიის შესახებ წიგნის იდეა საკმაოდ მომწონს, ის სამუდამოდ დარჩება და, მგონი, ეს ისაა, რაც შენ უნდა გააკეთო და თანაც, მხოლოდ შენ შეგიძლია, გააკეთო.

მთელი წელი არაფერი ღირებული არ დამისრულებია, მაგრამ მოულოდნელად აქ აღმოვჩნდი და თეთრ სახლში ჩემი საქმეების შესახებ წერილები და ტელეფონის ზარები არ წყდება. ამიტომ წერა მომინდა. წერილთან ერთად გიგზავნი ერთ გრძელ ლექსს. მგონი, კარგად ჟღერს და საკმაოდ გონებამახვილური და ტრაგიკულიცაა. ვფიქრობ, სულ უნდა ვწერო, თუმცა, მხოლოდ იმას გამოვაქვეყნებ, სადაც ნაპერწკალი იგრძნობა. ალბათ უკვე იმ ასაკში ვარ, როცა ლოდინი აღარ შეიძლება. ბოლო დღეებში ქასტინში დროშები ნახევრად დაუშვეს საწყალი სტივენსონის პატივსაცემად. ხარისხი მეც მაშინ მივიღე, როცა მან უილიამსში, და მაშინ მითხრა, - *შენს ახალ საჯარო ცხოვრებას ინტერესითა და დიდი ხალისითაც კი ვადევნებ თვალს*. ღმერთმა უწყის, რას გულისხმობდა ამ სიტყვებში. ურთიერთგამომრიცხავი ცნობები მოდის იმის შესახებ, თუ სინამდვილეში რას ფიქრობდა ის გაერთიანებულ ერებში თავისი საქმიანობისა და მოვალეობების შესახებ. ლუის მაკ-ნისივით, ვინც ასევე გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე ვნახე, სტივენსონიც ჩვეულოდ ჯანმრთელად ლოყაწითელი და დასვენებული ჩანდა. მისი გამოსვლების პირველი ტომი რომ წავიკითხე, იმედგაცრუებული დავრჩი და ვიფიქრე, რომ ასეთი კაცი მხოლოდ არჩევის შემდეგ თუ გახდებოდა მნიშვნელოვანი. ახლა ვაღიარებ, რომ ვცდებოდი. მან ჩვენი სასტიკი სცენა ღირსებითა და საყოველთაო სიკეთით შემოსა და იქცა ჩვენი დროების ყველაზე მიმზიდველ ამერიკელ პოლიტიკოსად...

მიხარია, რომ ბენიტო მოგეწონა. ჰო, მართალია, ესპანელი კაპიტანი დომინირებს; მას ისეთივე სრულყოფილი ხმა აქვს, როგორც კარგ ოპერის მომღერალს. სცენაზე ის მაღალ ელ გრეკოს ჰგავდა, თუმცა ბევრს არ მოძრაობდა, როგორც თავისი ხასიათის, ისე როლის გამოც. ვარსკვლავი კი ნამდვილად იყო ბეიბუ: 1. დაუღალავი, მკვირცხლი, იმპროვიზაციის ოსტატი, რომელსაც შეეძლო გარდასახვა ნაზი მორჩილებიდან მგრგვინავ ბარბაროსობამდე. ტელევიზიაში, არაკომერციული გადაღებისას, ამერიკელი კაპიტანი ყველაზე მნიშვნელოვანია. 2. სცენების უმეტესობაში ცოტა მსახიობია დაკავებული, ხშირად მხოლოდ ერთი. იმედია, რიომიც ითამაშებენ. ლაპარაკობენ ლონდონში პოსტერის განთავსებაზე, სადაც ლე როი ჯონსის მიერ წარმოდგენილი იქნება რაღაც ველური შავკანიანის მსგავსი ტიპაჟი. 3. ჩემი უარყოფის განცხადების ასლი არ მაქვს. დიდი არ არის, მაგრამ მცირედი ჩემეული ფრაზის აბრუნდები ყველაფერს წყვეტს. მიურეი კემპტონმა მთლიანად გააკეთა მისი ციტირება თავის საგაზეთო სვეტში, როგორც მაგალითი დახვეწილი დამოუკიდებლობისა. ასლს გამოგიგზავნი, როცა ქალაქში დავბრუნდები. მანამდე ის შეგიძლია ნახო ხუთშაბათის New York Times-ში, რომელიც 14 ივნისამდე კვირანახევრით ადრე იქნება გამოსული. [ამ დღეს იყო ხელოვნების ფესტივალი და ამიტომ მაქვს ასე უცნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ური გზით დამახსოვრებული Times-ში ჩემი განცხადების დაბეჭდვის თარილი]. მშვენიერია შენი დაზუსტებული დეტალები საწყალი ბრაზილიელი ჯარისკაცების შესახებ. რა თქმა უნდა, არ შემიძლია, ვთქვა, რა უნდა გაკეთდეს ამ მხრივ, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ, ყველა, ჩაგვითრია ტრაგიკულმა ამაოებამ. შეიძლება, ჯონსონმაც კი ვერაფრის გაკეთება შეძლოს. ვფიქრობ, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებს ფსიქოლოგიურად. დაჭრილი ხარი, რომელმაც არ იცის, რომ დაჭრილია. სანამ ჯერ კიდევ მუშაობს ყველა მუხრუჭი, ხარისხიც ჩვენი ეროვნული ხასიათის ნაწილია.

ნიჟნის დაწერა სახელად "ბრაზილია" საოცრად ჟღერს. აუცილებლად მივწერ დღეს ფრიინდს. მახსოვს, მთხოვე, რომ ზედმეტად თავაზიანი არ უნდა ვიყო. მგონი, შენი რჩევა პირდაპირი მნიშვნელობით მივიღე. და მაინც, ყურადღებიანი მკითხველი დაინახავს, რომ მე ძალიან ბევრს ვითხოვ, მაგრამ ყველასთვის მაინც მისაღები იქნება.

დღეს წერილებს ვპასუხობ, არაფერი, შენი წერილის გარდა არაფერი მნიშვნელოვანი არ მიმიღია. მერე მინდა მშვიდად გადავიკითხო ინგლისური კლასიკა, ძველი ნიუ ინგლანდის კლასიკოსები - თორო, მარველი და ა.შ., რომ ახალი ესე დავწერო ნიუ ინგლანდზე. ერთი კარგი წინადადება დავწერე ჰოთორნზე: *"საწყალი ჰოთორნი, მისი ცხოვრება, ისევე როგორც მალარმესა და სხვების, ძალიან გრძელი გამოდგა კომფორტის შექმნისთვის და ძალიან მოკლე სრულყოფილებისთვის."* თუ არაფერს დავწერ, კითხვა გამომშრალ მიწაზე დაეცემა. ვიმედოვნებ, რომ მიწა გამომშრალი, მაგრამ ნოყიერი გამოდგება, როგორც ამინდი ამ ზაფხულზე - დამსვენებლებმა ისიამოვნეს, მაგრამ ფერმერების გადმოსახედიდან გვალვა იდგა.

რა საოცარი ხარ, ძვირფასო, და საოცარია, რომ წერილებს მწერ. სილვია მარლოუმ საკმაოდ შთამბეჭდავად გადმომცა შენი და ლოტას ამბები. ახლა, ამ შუა ზაფხულში თავს მშვიდად ვგრძნობ, მე და შენ ორივე ჩვენს ასე განსხვავებულ ბედისწერასა და ბუნებას მივყვებით. რამდენი რამ მოხდა მას შემდეგ, რაც ერთმანეთს პირველად შევხვდით ნიუ იორკსა და ვაშინგტონში! როგორ მიყვარს ჩემი პატარა, დაუცხრომელი ოჯახი.

სიყვარულით,

კალი

P.S. ჩემი ლექსი 112 სტრიქონისგან შედგება და ახლა ვერ გადმოვწერ. შეიძლება მომავალ კვირას გამოგიგზავნო New York *Review*-სთან ერთად? ვიდრე ამ წერილს დავასრულებდი, პასუხი ერთი თვის დაგროვილ ფოსტას გავეცი. მართალია, პატარა ბარათები იყო, მაგრამ მე ბეჭდვით ძალიან გადავიღალე. გუშინ საკმაოდ საინტერესო ღამე იყო, ჩარლზ აივზის ჩანაწერებს ვუსმენდი, რაც თითქმის საკმარისი აღმოჩნდა, რომ ჩემში პატრიოტი გაეღვიძებინა. თუ არ მოგისმენია და გაინტერესებს, შემოდგომაზე გამოგიგზავნი.

N322

*რიო, 2 აგვისტო, 1965*

უძვირფასესო კალ,

რამდენიმე დღით ადრე უნდა მომეწერა შენთვის, ვიცი, მაგრამ იმდენად ვიყავი ჩემზე დაწერილი შენი სიტყვებით შეძრული, რომ მარტივი წერილის დაწერაც კი ვერ მოვახერხე. უნდა გენახე, მსხვილ-მსხვილ ცრემლებს როგორ ვღვრიდი. თან ვფიქრობდი, - არა, ეს მეტისმეტია, ალბათ ცოტა უნდა შეიცვალოს ამ ნაწერში რამე, რომ ნაკლებად საქებარი გამოჩნდეს-მეთქი... ის წერილი პეტროპოლისში მოვიდა და მერიმ ტელეფონში წამიკითხა. გასულ შაბათ-კვირას კი, ერთიორი დღეს შემდეგ, ალბათ, ჩვენ თვითონ წავედით იქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საკუთარი თვალით წავიკითხე. ბობს უკვე ამოებეჭდა, ასე რომ, მთელი სისრულით ვიხილე. ისიც, ბუნებრივია, ძალიან ნასიამოვნები იყო და ამბობდა, ეს ხომ "ჩინებულია!". მე თვითონ, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით მომეწონა ეპითეტები "ცნობისმოყვარე" და "ცოცხალი" - იმედი მაქვს, სინამდვილეში დავიმსახურებ ამ ორივე სიტყვას. მხოლოდ ის მინდა, რომ წიგნი აღმოჩნდეს ამ ქების ღირსი. გულწრფელად რომ გითხრა, ასე არ მიმაჩნია, ალბათ სადღაც 4 ლექსი თუ მაკმაყოფილებს, მეტი არა. არ ვიცი, გითხარი თუ არა, მაგრამ ახლა გეტყვი, რომ ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე, "არმადილოს" მიძღვნაში შენი სახელი ჩავწერო, რადგან ასე ძალიან მოგეწონა. კიდევ მაქვს ერთი ამაზე უფრო გრძელი და უფრო პირქუში შინაარსის ლექსი კოპაკაბანას სანაპიროს შესახებ, რომელიც ასევე შენ გეძღვნება, მაგრამ იმის დამთავრება ჯერ ვერ მოვახერხე, შენი სახელი კი ძალიან მინდა, რამენაირად მოხვდეს ამ წიგნში. როცა ეს ლექსი დღის სინათლეს იხილავს, იქნებ "არმადილოზე" ოდნავ უკეთესიც გამოჩნდეს და, მოდი, ვიტყვი - შეიძლება მორების დასაგორებელ საშინელ წყვილს ვგავდეთ, არ ვიცი მართლა, - მაგრამ ის ნამდვილად ვიცი, რას ვგულისხმობდი თითოეულ სიტყვაში, რომელიც ვთქვი და ვფიქრობ, შენც იცი ეს შენი კეთილი გულის სიღრმეში. ესეს არის უზარმაზარი ანთოლოგიის ბოლოში გავედი - A Controversy of Poets[x] - და მას ში შენ თვის ცნო ბი ლი 3 ლექსი ის ლექსებია, რომლებისაც არ მრცხვენია. შეიძლება, ერთი ან ორი სხვაც არ იყოს ცუდი, მაგრამ იმ სამთან შედარება არც კი შეიძლება. ამ ანთოლოგიამ საშინლად დამთრგუნა და, როგორც ლოტა ამბობს ხოლმე,demodée[xi]-სგრძნობადამიტოვა.პროზისნე-რაზეხომარგადავსულიყავი?უხვადგამოვიყენებდიუწმაწურობებს...რაუცნაურია,არა?როცაამდენინერვული და ძა ბუ ლო ბი სა და შფო თის გან რა ღაც ზღაპ -რუ ლი "მყუდროება"იბადება?!ახლაკიმაზეცარვი-დარდებ,თუამასსხვებიცუდადმიიღებენ...რასაცშენფიქრობ,ისიცსაკმარისია!

ახლახანს წავიკითხე სილვია პლათის ბოლო წიგნი[xii] და ასევე - ოდენის. მაინტერესებს, შენ რას ფიქრობ მათზე. სილვია პ. ტრაგიკულ დანაკარგად მიმაჩნია, თუმცა, მიჭირს მისი ლექსების ბოლომდე წაკითხვა, იმდენი ტანჯვითა და აგონიით არის სავსე. ჩემი გემოვნებისთვის, ასევე, ოდნავ ფორმადაკარგულია მისი ლექსები, მაგრამ ნამდვილად დიდი ტალანტია იგი. შენ რას ფიქრობ? ოდენი კი, როგორც ჩანს, გადამეტებულად ტკბება ერთგვარი ნაადრევი მოხუცებულობით... თუმცა, რამდენიმე კარგი ლექსი ნამდვილად არის მის წიგნში. ყველაზე მეტად მომეწონა მაკნისისადმი მიძღვნილი[xiii] ... ანუ, მთლიანობაში, მომეწონა დიდი ნაწილი.

მართალია, სტივენსონიც არ მომწონდა... მერე კი, წავიკითხე რობერტ დუნკანის ერთი ლექსი POETRY-ში დაბეჭდილი, სადაც ლაპარაკია "მწოლიარე სტივენსონის შესახედაობაზე" (გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში), რითაც ერი სახეს ინარჩუნებს"[xiv]. რაღაცნაირად, ამ ნათქვამის არ მჯერა. ის კი მჯერა, რომ მას არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს კუბაში შეჭრის შესახებ... მინიმუმ, იმედი მაქვს, რომ ასეა, ვფიცავ. ექიმმა ბაუმანმა გაზეთის ამონაჭრების დიდი შეკვრა გამომიგზავნა. მათგან ბევრია შენ შესახებ, ასევე საპრეზიდენტო ნადიმზე, ხელოვნების ფესტივალზე და ა. შ. - ასე რომ, ახლა უკეთ ვარ ინფორმირებული. ძალიან მომწონს შენი წინდახედული და გონივრული ტონი - მან მართლაც სენსაცია მოახდინა! (ისიც მო- წონს, რაც დუაით მაკდიმ თქვა გაზეთ TIME-ის მიხედ- ვით, თუ მართალია: "ახლა მე ბოროტი ფერია ვარ მზ- თუნახავის ნათლობაში"), მაგრამ, ვისურვებდი, არ გა- მოეყენებინათ ის იდიოტური გამოთქმა - "ჭკუის სწავ- ლება"... (ამ ამბებზეც მომდის რაღაც ცნობები). მო- მინე, არასდროს ვიცოდი, რა უნდა მეთქვა ბალ- თვის და ახლაც, დიდწილად, იმას ვცდილობ, ავირიდ- ხოლმე ვინმესთვის რაიმეს თქმის ვალდებულება. მე- საძლოა, კარგი იყო, რომ სტივენსონი არასდროს გამ- ხდარა პრეზიდენტი - ვფიქრობ, ის მეტისმეტად და- ფიქრებული და ერთობ ფაქიზი სულის კაცი იყო ა- თანამდებობისათვის.

დღეს, როგორც იქნა, ჩავუჯექი როკფელერის ფონ- დისთვის წარსადგენ წერილს, დროზე უნდა მოვამზ- რო - ძალიან პატარა განაცხადია, მაგრამ თუ დააკმ- ყოფილეს, საკმაოდ მომიწევს აქეთ-იქით ფრენა, რაც ძალიან ძვირი ჯდება. ეს განაცხადი გულისხმობს ფო- ტოაპარატის ყიდვასაც, რამდენადაც ილუსტრაცი- ბიც დამჭირდება. მთლიანობაში რომ ვიაზრებ, ვფიქ- რობ, ამ იდეით მოვახერხე, შემეჯერებინა რაღაც, საკ- მაოდ გასართობი და ინფორმატიული, და ასევე, ს- ბედნიეროდ, ოდნავ მოულოდნელიც ამ ქვეყნის შეს- ხებ. მათ შორის, ვისი ნაწერებიც წამიკითხავს ამ თე- მაზე, გამოდის, რომ ძველი ნატურალისტები უკან- კნელი კარგი მწერლები არიან, ისინი და ალბათ ლევი- სტროსი. ცნობისმოყვარეობით ვეცნობი ამ ჟანრის ყველა წიგნს და, წლებია, ერთი წესიერი სამოგზაური წიგნი არ შემხვედრია. ასე მგონია, ჩემი უფრო მეტყ- რული ჟანრისა გამოვა და შეიძლება ორი ან სამი ნაწ- დვილ ამბავზე დაფუძნებული მოკლე მოთხრობაც ჩა- ვურთო.

იმედი მაქვს, ფონდში ყურადღებას მომაქცევენ! აქ ცხოვრება ისე გაძვირდა, რომ უკვე აკადემიის ჯილ- დოს დახარჯვაზე გადავედი, რომლის გადანახვაც ... მოგზაუროდ მინდოდა... ეს სამსახურიც... უბრალოდ არ ვიცი... ცოტა მეშინია აქაური კლიმატისა იანვ- დან მარტამდე, იქიდან გამომდინარე, რაც აქაუ- ბისგან მესმის. ბრონქები, რეალურად, არ მაქვს კარ- მდგომარეობაში, თუმცა უნდა გადავწყვიტო, ბოლ- და ბოლოს, ერთხელ და სამუდამოდ, ამ კვირაში.

(ახლა ფლავიო არის აქ - მიხარია ძველი საცურ- კოსტიუმით მისი დანახვა - ვფიქრობ, ახალი მეგობ- რი გოგონაც ძალიან შესაფერისია მისთვის! (ის- უსაზღვროდ ლამაზია, და სიცოცხლით სავსეც.) ფლა- ვიო ყოველთვის "მისტერ ლოუელ"-ით მოგიხსენიებს, რითაც შენდამი უდიდესი პატივისცემა გამოიხატება, რაც, შეიძლება, მეც მოვიხვეჭო. - ჯერ სხვას არავ- მიუღია მისგან ეს ტიტული.)

ბაჰია... ჰო, მგონი იქ ერთხელ შეგყოვნდი, თუ რამ- დენიმე მეტად უსიამოვნო დღის გატარება მოგიწ- რაღაც ასეთი მახსოვს... როცა ვერავინ ვერავისთან მოახერხა შეხვედრა. მე კი ძალიან კარგი დრო გავა- ტარე - ისე, რა სიღარიბეა - რიოს უღარიბეს უბნებზე უარესიც კი... ერთობ დამთრგუნველია. ძირითადად, შენობების გრანდიოზული ნანგრევებია... ნახევრა- დაფრიკული მუსიკა ისმოდა ყველგან და ნახევრადაფ- რიკული საჭმელიც ბლომად გავსინჯე. მეძავებმა (რომ- ლებიც მუდმივად ტაძრების შემოგარენში და ტაძრის უკანა ქუჩაზე იდგნენ) ლამის გვერდიდან ამაცალე- ეშლი, უსტვენდნენ და სისინებდნენ მეორე სართულის ფანჯრებიდან. ის ხომ პროფესორივით გამოიყურებ- - მაღალი, გამხდარი მამაკაცია სქელმინიანი სათვ-

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ლით... თან ჩერჩეტი! მგონი, ცოტა შეშინდა კიდეც. ყველა ეს "ინტელექტუალი" - ასეთები არიან ისინი, აი - რადიკალი მემარცხენეები, თუ მთლად კომუნისტები არა - ჟორჟ ამადუს მსგავსად - და მკაცრად ზრდილობიანები ჩვენი, ამერიკელების, მიმართ. რვა დღე დავრჩით...

ის არ ჰგავს იმ დიდ ადგილებს, რომელთა შესახებაც წერას ვაპირებ. პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ადგილი კია, ხალხით და ალბათ მუსიკითა და არქიტექტურით ყველაზე გამორჩეული. ოჰ, იცი, სასტუმროს მენიუში ეწერა "ტარტი კარმენ მირანდა", ასევე თვალი მოეკარი კარმენ მირანდას სახელობის დამკრძალავ ბიუროს.

მშურს შენი ახლა ამწუთას მეინში ყოფნის გამო და ძალიან მჭირდება რამე ცივი, ნაცრისფერი და მშრალი (საუბარი ან ქცევა.) ლონდონის TLS-ში ძალიან კარგი სტატია ვნახე შენზე და ძალიან გამიხარდა, რომ მათ განსაკუთრებით მოსწონებიათ ლექსი სტონინგტონზე[xv]. ფაქტობრივად, ჩემო ძვირფასო ბიჭო, აბსოლუტურად ყველგან შენ ხარ ამ დღეებში და ეს მხოლოდ მახარებს და ძალიან სასიამოვნოა.

რენდელისგან რა ისმის? იცი თუ არა, როგორ გრძნობს თავს?

ჩემი აზრით, სილვია[xvi] ცუდ დღეში იყო აქ ძალიან... არ იყო იმდენად კარგად საიმისოდ, რომ საქმეს შესდგომოდა. მაგრამ ის ხომ ძველი გვარდიის წარმომადგენელია და ერთი კარგი რეჩიტატივი დასცხო მაშინ, როცა ერთ მხარეს ქუჩაში ახმაურებული ხალხი იროდა, მეორე მხარეს კი, სწორედ მის თავს ზემოთ, ზოგიერთები მაღალი ს-ს გამოთქმაში ვარჯიშობდნენ.

უი, მართლა, დიდი მადლობა მინდა გადაგიხადო ჩარლზ აივსის გამო, მაგრამ მე მისი ჩანაწერები მართლაც ბლომად მაქვს. ერთხელ ფრანი (ჰელენა ერქვა ჯგუფში) მუშაობდა მისი ზოგიერთი ხელნაწერებზე, პროცესი მაშინ ძალიან გაიწელა და სწორედ იმ დროს გამომიგზავნა მან რამდენიმე ჩანაწერი. ორი სხვადასხვა მოსაზრება მაქვს მასზე, თუმცა ხანდახან ნამდვილად მომწონს ეს მუსიკა, ეს საგალობლის ტონალობა და სხვა, ზოგჯერ კი მეტისმეტად სამოყვარულოდ მეჩვენება ხოლმე.

გთხოვ, გამომიგზავნო ახალი ლექსი, როდესაც მის ასლს გააკეთებ. ვშიშობ, კიდევ შემხვდება ეს ვიღაც მარკ სტრენდი. ის ახალი პროფესორი ყოფილა აქ ფულბრაიტის პროგრამით. გეტყვი, რის თქმასაც ვაპირებდი - მისი ლექსები, რომლებიც თვითონ გადმომცა, ძალიან უინტერესო მეჩვენა, ასეთივე იყო მისი საუბარიც საკუთარ ლექსებზე... ეშლი სულ სხვა იყო, ხალისიანი.

ლოტას, ცოტა არ იყოს, ბევრი საქმეა აქვს. ჩვენ საშინელი შიში გამოვიარეთ მისი გულის გამო. ბოლოს, ისე რომ არ ვუთხარი მას ამის შესახებ, ექიმი და კარდიოლოგი გამოვიძახე კვირადილით. ყველაფერი კარგადაა, - მადლობა ღმერთს. ამის შემდეგ ორივეს გვეძინა დაახლოებით ოთხი საათი გადაბმულად. დაძაბულობა მოგვეხსნა და, ვფიქრობ, ალბათ ამიტომ გვეძინა ასე კარგად. ის ახლა სახიფათოდ მნიშვნელოვანი პირი გახდა ამ დღეებში. რა თქმა უნდა, ამაში ჭორების წვლილი დიდია (აქ ასეთ ამბავში ყოველთვის არის ჭორების წვლილი). ერთი ჭორის მიხედვით, ის ქონებას აგროვებს თავისი პარკის საშუალებით და მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე აბანდებს - ზოგი ამბობს ამერიკაში, ზოგი - შვეიცარიაშიო... კარლოსი შეცდომას შეცდომაზე უშვებს, ასე მგონია - რაღაც კავშირი დაკარგა ყველაფერთან, ან სხვა რამე სჭირს, არ ვიცი. არამგონია, ის აირჩიონ (ამ სიტყვებს უკან წავიღებ, თუ აირჩევენ).

შეიძლება მინასში დავბრუნდე ერთი კვირით ან ათი დღით, რადგან იქ მანქანით წასვლის შანსია და თან მინდა დავასრულო რამდენიმე ნაწყვეტის წერა, რაც ამ ადგილს ეხება. თანაც აქ ჭერს ვცვლით და მეტისმეტი ხმაური იქნება, ამიტომ ისედაც მომიწევს სადმე წასვლა. იმედი მაქვს, შესანიშნავად ატარებ ზაფხულს და მშვიდობიანად ხარ. ისე, როგორც მოსალოდნელია... და რომ ყველაფერი იქ ისევ ძველებურად გამოიყურება, ლამაზია და შეუცვლელი. ჩემი სახელი ახსენე, როცა ლურჯ მოცვს გაუსინჯავ გემოს. ისევ და ისევ დიდი მადლობა, კალ, იმ რეცენზიისათვის, -

დიდი სიყვარულით მოკითხვა შენ და შენს ოჯახს,
ელიზაბეთი

**N323**
*ქასტინი, მეინი*
*16 აგვისტო, 1965*

უძვირფასესო,

ჩემთვის დიდი ბედნიერება და შვებაა იმის ცოდნა, რომ ჩემი წინასიტყვაობა მოგეწონა. ის მგონი, წიგნის ყდაზეც საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება. *Controversy of Poets* საკმაოდ მძიმედ იკითხება და ამდენი ეფემერა ვერანაირ სიამოვნებას ვერ მანიჭებს. სნოდგრასის სტროფები ისევ ჩემს გულამდე აღწევს და თავს მის მოწაფედ ვგრძნობ, მაგრამ ამასთანავე უამრავ ნიჭიერად თუ ნაკლებად პროფესიონალურად დაწერილ ზედმეტ ადგილებსაც ვაწყდები. ანთოლოგიის ერთგვარ საწინააღმდეგო წიგნს ვკითხულობ - Oxford American Literature, რომელიც ოცდაათიანი წლების სახელებითაა სავსე: სენდბურგი, ჯეფერსი, ლოლა რიჯი, მაკლეიში, უელი. იმ პერიოდის აღწერის კითხვა ჩემში იმ დროის ნამდვილ თუ ყალბ ნოსტალგიას იწვევს. ჯეფერსს მისი პესიმიზმის გამო ელიოტის სოფლელ ბიძაშვილს ვუწოდებდი და ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ ის დიდი პოეტია. არანაირი სურვილი არ მაქვს, მეც ასეთი ბნელი ფერები გამდევდეს, თუმცა, ეჭვი არ მეპარება, რომ ამას თავიდან ვერ ავიცილებ.

ამას წინათ აქ სენატორი ტედი კენედი ახალგაზრდა კონგრესმენების ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა და ფილ ბუთმა მათთან შესახვედრად წამიყვანა. ყველანი ისეთი ახალგაზრდები და ცქვიტები იყვნენ, თანაც ბილ მერვინს ჰგავდნენ. მე თავს თეთრი ენოტივით ვგრძნობდი! ამ წერილს თან ვურთავ ერთ პატარა ლექსს, რომელიც სამოცდათორმეტი სტრიქონიდან ოცამდე დიდი ძალისხმევით ჩამოვიყვანე. ასევე დავწერე რვა სტრიქონიანი 17 სტროფი "ბიძაშვილ ჰარიეტზე", რომელიც ლიზის საკმაოდ მოეწონა. აგრეთვე ვთარგმნე მანდელშტამის ლექსები. აი, სულ ესაა. რაღაცნაირად არ შემიძლია ჩემი ესქილეს ტრილოგიის წაკითხვა. ოდენის კითხვა ნელ-ნელა მირჩევნია, თავის სახლზე დაწერილი გრძელი სერიები ერთად საკითხავად ცოტათი მშრალად მეჩვენება. მისი უკეთესი ლექსი წავიკითხე გაზაფხულზე, *Encounter*, სადაც თავის ძველ სიყვარულს იხსენებს. მაკნისიც მომეწონა. სილვიას რამდენიმე მართლაც არაჩვეულებრივი ლექსი აქვს, მაგრამ მისი წიგნი მთლიანობაში მისი ს[...] სოწარკვეთილებით მამფოთებს, და უფრო მეტად [...] იმით, რომ ის დაუსრულებელი და არეულია, თუმც[...] როცა ლექსებს თანმიმდევრობით კითხულობ, მათ[...] გამოკრთება სინათლე და დაუჯერებელი სილამაზე.

მიხარია, რომ ლოტას პრობლემებმა ჩაიარა. ჩვენ[...]გან მოკითხვა გადაეცი. ჩვენ ყველამ ცხოვრება უნდა გავაგრძელოთ. ცხოვრების ამ ეტაპზე მართლაც დი[...] ცვლილებებს გავდივართ, როგორც ბავშვობაში, თუმცა ამჯერად ეს უფრო სასიამოვნოა. მაგრამ წინ გვე[...]ლის (მადლობა ღმერთს, ჯერ შორია) სისუსტე, მე[...]გობრების გაუჩინარება, ჩვენი საკუთარი გაუჩინარე[...]ბა და ა. შ. ველოდები. მოხუცებულობის უდღეურ ასაკ[...] მგონი, დღეს ჩვენ ისეთები ვართ, ვისაც ახალგაზრდო[...]ბაში უცხოდ ვთვლიდით. დღეს ეს ჩვენი რეალობაა. [...] უცხოდ აღვიქვამდი ჩვენი ასაკის ადამიანებს. მაგრამ ეს ყველაფერი ილუზიაა, ჩვენ არ გვაქვს ასაკი, ჩვენ[...] ვართ ნისლში მბჟუტავი სინათლე.

გიგზავნი სიყვარულსა და უამრავ კოცნას.
კალი

---

i. ჯონ საიმონ გუგენჰაიმის ფონდის სტიპენდია, ხელოვნების ამერიკული აკადემიის ჯილდო და 1947 წლის პულიტცერის პრემია წიგნისთვის "ლორდ უიარის ციხესიმაგრე".
ii. ებრაელთა საზოგადოებრივი ცენტრი ნიუ იორკში.
iii. ბრაზილიის 26 შტატიდან ერთ-ერთი. მდებარეობს ატლანტიკის ოკეანის სანაპიროზე ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.
iv. ბარათი არ შემორჩენილა.
v. ამერიკული ადგილობრივი თეატრის დადგმის სახელწოდება (რეჟ. ჯონათან მილერი)
vi. 1965 წლის 14 ივნისს თეთრი სახლის ხელოვნების ფესტივალზე დუაით მაკდონალდმა ჩამოატარა პეტიცია, რომელშიც ეწერა: "ჩვენ ვიზიარებთ მისტერ ლოუელის შეძრწუნებას ჩვენი ქვეყნის მიერ ვიეტნამსა და დომინიკის რესპუბლიკაში ჩატარებულ ბოლოდროინდელ ქმედებებთან დაკავშირებით". ზოგიერთი სტუმარი ამ პეტიციამ განარისხა, მაგრამ მათ მაკდონალდმა ასე უპასუხა: "აქ მოვედი, რათა ჩვენი ნუხილისთვის პოლიტიკური ელფერი მიმეცა. [...] ბოროტ ფერიას ვგავარ, რომელიც ნათლობაზე მივიდა; "თაიმი" (25 ივნისი, 1965)
vii. ართ ბუშვალდი, "წაიყვანეთ არტისტი ლანჩზე", გამომცემელთა გაზეთი სინდიკატი (17 ივნისი, 1965)
viii. ბრაზილიას წარგზავნილი ჰყავდა ჯარისკაცები "საერთაშორისო ამერიკულ სამშვიდობო ძალებში", რომლებიც მონაწილეობდნენ დომინიკის რესპუბლიკაში ამერიკულ ინტერვენციაში.
ix. ელიზაბეთ ჰარდვიკი, "ცუდი ბიჭი", პარტიზან რევიუ, 1965 წლის გაზაფხული.
x. ანთოლოგიის (1965) რედაქტორები პარის ლირი და რობერტ კელი.
xi. ძველმოდური, დრომოჭმული (პორტუგალიურ ენაზე)
xii. სილვია პლათი, "არიელი" (გამომცემლობა ფაბერი, 1965)
xiii. ო. ჰ. ოდენი, ეპილოგი, 1965 (ლექსი "სახლის შესახებ")
xiv. რობერტ დუნკანი, "ცეცხლი" (სტრიქონები 81-82), ჟურნალი Poetry, 1965 წლის აპრილი
xv. ლექსი "წყალი" დაიბეჭდა 1965 წლის 1 ივლისს "თაიმსის ლიტერატურულ დამატებაში".
xvi. სილვია მარლოუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

*სპარსულიდან თარგმნა გიორგი ხულორდავამ*

# ნადერ ნადერფური (1929-2000)

## მოლოდინი

აფსუს! შეჰკარი ბარგი და მიხვალ,
დაუდგრომელო, მარად აშარო,
არდაბრუნების ამბავიც მამცნე,
მაგრამ გულიდან როგორ წაგშალო?

უშენო ნამთა გამოისობით
მინავლულია იმედი შვების,
გადაფლეთილა სულის საკინძე
და მე საკუთარ არსებას ვწყდები.

თუ ჩემი ლექსი ცეცხლის ალს ჰგავდა,
ეგერ, შავ კვამლად ქცეული თვალწინ,
თუ დიდი ცოდვა იყო იმედი,
ცოდვის იმედიც არა მაქვს აწი.

ეს თვალი ნათლის იყო სარკმელი,
მე სიცოცხლის გზა მებოძა მისით,
შენი ზილფი კი ნაქამანდარი,
დაუხანებლად მბოჭავდა ღილისით.

ჩემ ნახვედი და ვიჯმნი ყველასგან,
ილევა ძაფი სიცოცხლის გორგლის,
რაც მოხდა, მასზე აღარ ვინაღვლებ,
რადგან რაც მოხდა სინანულს მომგვრის.

დავუთხოვები ჩინსა და მაჩინს,
გავძლებ სხეულის ბოლო თრთოლამდე,
გულში ათასგვარ ტკივილს ვინახავ,
რადგანაც გული არ მაქვს ფოლადის.

## ღრუბელი

აღარც ცეცხლია, არც წვა და გზნება,
მოთქმას ჩაკირავს გული ურვილი,
ჩემს ცრემლს დასცინის მწარედ საწუთრო,
ცრემლიც კი შრება მისი სურვილით.

ხენი მოხარა სიბერის მწუხრმა,
ძაძას იცვამენ შვების ჩიტები,
ღვთის საუფლოდან გაქრა იმედი,
გულის სალბუნად განაკვირტები.

ჩემს მკვდარ გაზაფხულს გავტირი ნაღვლით,
სასომიხდილი ჟამთა ხურვებით,
ყურს მიგდებს მხოლოდ ბებერი ბუჩქი,
უნაყოფო და შენაურეები.

დაცლილა ლხენის ღვინის დოქი და
ზარხოშის ჟამი მიმქრალა მრუდედ,
რაც შვებამ გულის სატარტო დათმო,
იქვე ჩაკემსა ნაღველმა ბუდე.

მოდი, ვიტირებ როგორც ღრუბელი,
დავფანტავ სევდის მტვერსაც მთა-ველად,
ნამივით ვარდზე ჩამოვცურდები
და მზეს გავიცნობ ციდამტკაველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოგონება

მნდეო, დაცალე ეგ ერთი ჯამიც,
არ ვსვამ და სევდა მანევს ბინდებად,
ღვინის ღიმი და საზის ქვითინი,
დღეს, ასე ფხიზელს, რაში მჭირდება?

ჰე იმ ღამეებს, მის გვერდით განცდილს,
როს არც მეგემნა სიმწარე ეკლის,
როდესაც ჯამში ღვინო ელავდა
და შიგ იწვოდა ცის ანარეკლი.

ჰე იმ ღამეებს, მისით მიბნედილს,
კოცნით მიწევდა ტრფობის მტკიცება
და მისი ბაგე ხშირი კოცნისგან
ფიალასავით მოლიცლიცებდა.

როცა მბორკავდა ჩქერი ნაწნავთა,
ჩანგს დასცდებოდა ახალი ჰანგი,
ხელთ მისი თმების სიმი მეპყრა და
გულის ხვაშიადს დაეპყრო ჩანგი.

მისი იერი ჰგავდა ღიმილით
რიჟრაჟს, გამოსულს ღამის გიშრიდან,
ზოგჯერ მიშლიდა ვნების სალერლელს,
ზოგჯერ კი ახლოს მისვლას მიშლიდა.

ის იყო ჰანგი, სიმღერის ვნება,
გზნებად დაღვრილი გულის კარებთან...
და იმ უძირო ღამეთა რიგში,
ვით ბედი თვალი, სხივცისკარებდა.

უკვე წავიდა, თან გაჰყვა ჰანგიც
და ნაკვერჩხალმა ველარ იალა,
ეგ ერთი ჯამიც დაცალე, მნდეო,
მე ველარ დავლევ კვლავ ერთ ფიალას.

## დაისამდე

წვიმა მიმწყდარა,
მზე დამწვარ ფეხებს
მდორე წყლით იბანს.
სთველი კი წითელ კოცონთა დარად
ფოთლებს ჩექმის ქვეშ ჩააჩუმათებს.
ციცქნა ოთახში, ბაღის კიდესთან,
შენი მაღალი წვივი
ცეცხლის ალზე გაშიშვლებულა.

## სიგარეტები

ყოველ დღე, შუადღისას,
საკუთარი ფეხის ძალას დაყრდნობილი ქალაქის ქუჩებისკენ
მივემართები, როგორც ქარი საკუთარი სახლისკენ.
ჩემს ფეხქვეშ
ნახევრად დამწვარი, დაჭმუჭნული სიგარეტები
ინავლებიან,
ერთურთს ეკვრიან მტვერსა და კვამლში ამოგანგლულნი.

ყოველ დღე, მიმწუხრისას,
მზის მოფამფალებული ფორნით სიცოცხლის ქუჩებს
სიკვდილის სახლისკენ მივყვები,
მზის ფორნის ბორბლებქვეშ დღეები -
ის ნახევრად ჩამწვარი, დაჭმუჭნული დღეები -
ინავლებიან,
ერთურთს ეკვრიან მტვერსა და კვამლში ამოგანგლულნი.

## ფანჯრის კიდესთან

მზეს ჩემი ფანჯრის უკან
ღრუბლის შავი ქოლგა წამოეხურა
და წვიმის ღვარის ქვეშ ჩუმად ტიროდა.

ფაისის შუქში ქუჩის კონტურებს ვჭვრეტდი
და სარკესთან ვაერთებდი:
დახვეულ ქუჩაში ბებერი თელა
წამომჯდარიყო,
სიო სუნთქავდა მის ნაპრალში.
წვიმა ხის ხმელი სიცარიელის არსს ხედავდა
და ტიროდა სიოსთან ჩახუტებული.

მზეს ჩემი ფანჯრის უკან
ღრუბლის შავი ქოლგა წამოეხურა
და წვიმის ღვარის ქვეშ ჩუმად ტიროდა.
მე ფანჯრის კიდესთან ვიღიმოდი.

## ხე საუბრობს:

წელს, წელს შემოდგომის მდუმარებაში
ხისმჭრელის ცილინს ყურთასმენა არ მიუპყრია,
არ დასცემია ტევრს მისი ჩრდილი,
მისი ნაბიჯით ეს ბილიკიც არ გათელილა.
მე ამ მლოცველ ხელს გაზაფხულს ვუშვერ,
ფეხით მიწაში ვდგავარ მუხლამდე,
ზევით ღრუბლები საყარიბოდ მიდი-მოდიან,
გულზე ალმურად მომგზნებია მზის თაკარება,
წელზე კი დამრჩა სამახსოვრო ძველი ჯაყვისგან,
აქ, ჩემი მკერდის ცალიაში ყოველ საღამოს
ფრინველი კვნესის: რა იქნაო ნეტავ ნაჯახი?

## გულის ფორმის ქვა

შენი მაღალი წვივი
ჩემი ბავშვობის წყაროსთვალებში
ბროლის დღეების ანარეკლია,
როდესაც თავქვე ვეშვებოდი
და გარუჯულ ფეხებს
გამჭვირვალე წყლებში ვიბანდი.

შენი ნაბიჯი დილის მოსვლაა
ნოურუზის მოვერცხლილი სანდლებით,
გაზაფხულთა ბაღების ქუჩაში.

შენი ხელი ბედისწერის გადიის ხელია,
ამქვეყნიურ შვებაში
ჩემი ცხოვრების სარწეველას რომ აქანავებს.

შენი თვალი სასიხარულო ცნობაა მომავლიდან,
შენი თვალი ბუდეა ვარსკვლავთათვის,
შენი თვალი პასუხია ბედისწერის ღიმილზე.

აჰ, მარად მზეზე უფრო შორს მყოფო,
აღმოხდი ჩემში,
ჩემში ისე ამოკაშკაშდი, რომ სარკედ მაქციო,
ჩემში ისე ამოკაშკაშდი, რომ მედინ წყლად ვიქცე,
რათა უეცრად შენი ბროლის ხელი -
გულის ფორმის ქვის ნამსხვრევის ძებნაში -
სახელოდან ზემოთ აიცურო და მკერდზე დამადო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰამიდ მოსადეყი (1940-1998)

## ვაგლახ!

სამყაროს თვალში
ჩვენი სიცოცხლის ჟამი
ოკეანის ერთი წვეთია.

გალაქტიკის მზეების თვალში
სამყაროს მკვიდრთა სიცოცხლე
ერთი ჩირაღდნის ნათებაზე უფრო მცირეა.
ვაგლახ!

## ტკბილი სიზმარი

ქარიშხლის შემდეგ
მერეხის შემდეგ
წვიმების შემდეგ
ფოთლის მწვანე ცრემლის ტყის ტოტებიდან
ჩუმად წვეთავდა.

ძენწა ქარისგან,
ერთი ფოთოლი მეორისგან არ შერხეულა,
ღრუბლის ფთილები გზას აძლევდნენ მთვარეს ნათლისკენ,
მერე კი ისევ გზას უღობავდნენ.

მე ნიავივით მიმოვქროდი ტოტიდან ტოტზე,
შენ მსურდი, კარგო,
შენთან პაემნად ვისწრაფოდი ვნებით და ლხენით.

შენ გხედავ, ჰეი, ხსოვნის მტვერში დალალდამლილო,
შენ მე გიყვარვარ თვით ჩემზე მეტად,
მეალერსები ვითარცა მზე,
მზე სიყვარულის.

ქარიშხლის შემდეგ,
მერეხის შემდეგ,
წვიმების შემდეგ
სიმღერის სიჩუმის ყვავილს
შენი თვალების ნათელი ფერი
ეძლევა და მის შეხედვას ვლამობ,
ბაღნარში მქროლავ ნიავს კი უდის
შენი სხეულის სურნელი ამო.

ტკბილ სიზმარს ვხედავ, სხვა რამისთვის არა მაქვს მოცლა,
შენი სხეულის ბაღნარიდან ვკრეფ ას ცალ კოცნას.

## ადამიანის ფასი

ველები ნაბილწულა და
ლიაში ტიტა არ ამოიზრდება.

რაღაში აქნევ მერცხლის ჭიკჭიკს გახრწნილ ჰაერში?
უნდა იფიქრო პურზე
და ჰაერზე, რომლითაც
სუნთქვას გავიხელახლებთ.

ხორბლის ყვავილი კარგია,
კარგი ყვავილი კი ლამაზი,
მაგრამ, ვაი, რომ გულის მთელ ყანობირს
ღვარძლის ბალახბულახი მოსძალვია.

ძეხორციელს აზრადაც არ მოსვლია,
რომ ამ იავარქმნილ სამოსახლოში პური აღარაა.
ქალაქის მცხოვრებნი კი ყვირიან,
ცემენტი რატომ აღარ არისო?
და კაციშვილი არ ფიქრობს,
რწმენა რატომ აღარაა.

ის დროც დაგვიდგა,
როცა ადამიანის გარდა
იაფი აღარაფერია.

აქ შეიძლება ყოფილიყო
თქვენი რეკლამა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge



ეროვნული ბიბლიოთეკა
2-10
ხ 86/18